

ლიტერატურული გაზეთი

№12 (316) 24 ივნისი - 7 ივლისი 2022

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



ქეთი გზირიშვილი

დარჩენა

დედაჩემმა თავის ბოლო გაზაფხულზე
ყველა საყვარელი ადგილის ნახვა მოინდომა.
ყველა ახლობლის საფლავზე ვიყავით იმ აღდგომას,
ქალაქსა თუ სოფელში.
საყვარელ ადამიანებს ეწვია,
გეგმავდა, ზაფხულში რას მოვიწოდებდით,
მის რომელ მონატრებულ მხარეს.
იმ ზამთარს მის გამო მანქანა ვიყიდე
და მეგონა, ეს უხაროდა,
არ მიფიქრია, რომ წასვლის დროს გრძნობდა
და მოსანატრებელს იმახსოვრებდა.
როცა დარდმა ჩამჭიდა ხელი და გამომფიტა,
როცა მხოლოდ სიკვდილზე ვწერდი,
თან იმას ვფიქრობდი, რომ კარგი ლექსის წერას
სიკვდილთან ახლოს ყოფნა სჭირდებოდა თურმე,
მაშინ ვიგრძენი, როგორ მინდოდა
საყვარელი ადგილების და
ყველა იმ სახის დანახვა, ვინც ძვირფასი იყო
და დედაჩემის სიჩქარესაც —
უცებ ენახა ყველა და ყველაფერი —
გავუგე.
მას შერე, ზოგჯერ,
როცა მონატრება შემომანვება და ადგილს ვერ ვპოულობ,
ყველგან მინდა წასვლა, ყველასთვის შეძახება,
ვირინდები და შინაგან მდინარეს ვუგდებ ყურს —
ხომ არ გაიპარა, ხომ არ გაილია.
რამდენი მონატრება ჩავაჩუმე —
მდინარეა-მეთქი ხმაურიანი,
ტალღების ხმას ვაბრალებდი, მონატრების რომ არ მესმოდა,
სხვა დროს-მეთქი, ლანდებო, სხვა დროს შეგასხამთ ხორცს.
მაინც როგორ მშინებია სიკვდილის.
ან იქნებ შორიდან უფრო ლამაზია?!

IV

სიტყვის კაცი სისოი

მეტი წვეთით დაეცა ამ ქვეყანას მი- სი სიტყვის და უცებვე ამოშრა. გადაი- ლეკა. ყელზე სიტყვის მძივი ესხა, პირზე — სიტყვის ვარდის კონა. რაღაცას გეტყ- ვოდა და გეგონებოდა, მისი სიტყვის ლოდ- ები სიტყვის მდინარეში გძირავნო. კაციც სიტყვააო, იტყობა, ოღონდ უნდა ამოიცი- ნო, რომელი სიტყვა ხარო, გრძელი სიტყვა ხარ, თუ მოკლეო, საამებელი თუ სანყენიო, სალანძღავი თუ საგურგურო, ავგული თუ ალაბულა, იქნება და, განძიო?

— ჰაი, ჩაითავფო! — წამოეთებოდნ- ენ, აეტკირცებოდნენ ხოლმე მოსაუბრეე- ბი, — ამოდენა ხორცი და სისხლი, ამოდენ- ა ჯანი, ძვალი და ჯავარი, სიტყვა რანაი- რად ხარ ადამიანიო?!

— ხართო, უფლის ხელით დანერვილი სიტყვები ხართო!

— აბა, მაშინ გვითხარი ერთი, შენ რა სიტყვა ხარო? რა მოხაზულობა გააქვსო ეგეთი, რა დაგწერა ერთი ლმერთმაო?

— მე სიტყვა „წყალი“ ვაარო, ვგავარ კიდეც ხასიათითო!

— რათა, იმღერევი ხოლმეო? ნეტა არა ხრჩოლავდე ერთი ბერის ძველი ლამფა- სავით, წყალმა კი წავიღოსო.

და მიაცირდნენ სიცილს. ბავშვები კი შემოესოდნენ და არ ასე- ნებდნენ:

— აბა, ძია სისოი, მე რა სიტყვა ვიქნები, მე რააო?

— ეგ, მე არ ვიცი, ეგ თქვენ უნდა ამოი- კითხოთ თქვენი თავებიო, საკუთარი თავის წაკითხვა დიდი საქმეაო. ზოგმა განა კითხ- ვა იცისო?

— მე ვიცი, როგორ არ ვიცი, მაგრამ საკუთარ თავს ვერა ვკითხულობ, ან სად გაწერია ის სიტყვა, რაცა ვართო?

— სულზეო, — იტყობდა სისოი.

— სული სად არისო, ძია სისოი?

— სად არის და გულწრფელობისას, ან დაფიცებისას, ან გამწარებისას, ვაი მეე- ეო, მჯილს რა ადგილასაც დაიცემთ ხოლ- მე, მინდ არისო.

შემოირტყამდნენ ბავშვები პატარა ხე- ლებს მკერდის ფიცარზე, ცოტა მაღლა და ცოტა ქვევით, ესე იგი, აქა ყოფილაო.

— ჰოდა, აბა, აქ როგორ უნდა წავიკი- თხოთ, რა სიტყვა ვართო?

— თავი ჩაღუნეთ და წაკითხავთო.

თავჩაღუნული დადიოდა თავდაც სი- სოი. მხოლოდ ერთხელ ასწია თავი. წინა გაზაფხულზე, თოვლმდნარი წყლით სავსე მდინარეს ყველაფერი რომ მიჰქონდა თავ- ქვე — ქვა, მოთხრილი ხე, ვიღაცის ეზოს მოგლეჯილი ნაწილი, ცხვარი, ძალი თუ ადამიანის ფიქრი და სხვაობა; მეზობლის ბავშვიც გაეტაცებინა...

— მე ხომ წყალი ვაარო! — დაიძახა და შევარდა ხიპრინანა სისოი.

ზოგმა ქვევით მოუარა, ზოგმა ბადე გადაუგდო, ზოგმა — თოკი, ზოგმა კაცი გადაუწოდა — მოეჭიდე, სისოი, მოეჭიდე- ეო! ბავშვი ამოიყვანეს, მაგრამ სისოიმ და- მაინა, წყალი ვაარო და გააჰყვა. ვინ იცის, ახლა სად ასწავლის ადამიანებს — სიტყვა ხართო და წაკითხეთ თქვენი თავებიო.

სისოისა და ჩემი ნაროშავი კი შემორჩა სოფელს.

ბარბალოუკი

— ბობობო, ბარბალოო, გაიბერტყე ეგ თოვლიანი მხრები, გაუსვი ფეხები საჩხუში მიფენილ კონკისძველაზე და შინ შემო, შვი- ლო, არ გამიცვიდეო!

— ერთიც რაა, ბარბარე ბაბო, ერთსაც გავკოტრიალდეო და ავდგებო.

იმ თოვლიან დღეს სულ დიდი და პატ- არა ბარბარეს გადაძახილ-შემოძახილი ისმოდა შუადღემდე მათი ეზოდან. გაუკე- ვლავ თოვლზე ჩიტის დაფეხურიც კი არ- სადა ჩანდა, მხოლოდ შალხვულე პატ- არა ბარბარე გაიქცეოდა და ჩაეხეთქებო- და მუხლამდე თოვლში, მერე კისკისთ ძლ- ივსა დგებოდა, მერე გაიქცეოდა სხვა ად- გილისკენ და ასე ინაცვლებდა და ინაცვ- ლებდა.

— თოვლქვეშ ფიცარი რაიმე არ ეგდოს, გოგო, ზედ არ დაეც, არაფერი იტკინო, ეს მოსათხრელი თვალები არ დამიბნელო ამ წმინდა დღესაო.

მაგრამ ოთხი წლის ბარბარეს ისე უხა- როდა ამხელა თოვლის დანახვა, ფიფქის ბავშვსა ჰგავდა.

ჯერ კიდევ შუალამისას ბარბარე ბაბოს სამი სანთელი დაეკავებინა ხელში — ერთი ოთხი წლის ბარბარესი, მეორე თავისი ვა- ყისა და ერთიც რძლისა. ჩვენსაო, მოხუცე- ბის სანთელსაო, თიხის ფიალაზე მივაკრავ ხატის წინაო მერე, ოღონდ ახლა ესენი შე- ივედრეო, გამიმრავლდნენო და იჯანმრთ- ელონო. სანთლებით ხელში, მოფარფატე ანგელოზსა ჰგავდა ბებო ბარბარე შუალა- მისან თოვლაში. თან ბუტბუტებდა, ჯვარსა სახავდა ეზო-კარს, სახლს, ბაღსა და ბაღ- ას, სათონესა და ამბარს, ვარცლსა და ცო- ტა ხნის წინ მოხელილ ცომს — იღვივე, იღვივე, შენ გენაცვალეო.

დილით კი, რაკი პატარა ბარბარე ველ- არაფრით შეიტყუა შინ გასაშრობად, ააბ- ურბურა თავისი გამხმარი თითებივით და- კვრანჩხული ფიჩხი თონემი და პატარა ბა- რბარეც იქვე ჩამოსვა თონის თავთან ბარ- ბარეს ხატად. ჩამოფერთხა, ფეხზე გამო- უცვალა, მშრალეები ჩააცვა და აქედან ფე- ნი აღარ მოიცვალა, ვარცლი გამოვიტანო,



ნინო ქადაგიძე

დამაცადეო. ძლივძლივობით ასწია ხის ვა- რცლი ტახტიდან და გამოათრია სათონემ- დე, მერე ორჯამიანებით გულსართები გა- დმოალაგა ნიგზისა, მოხალული ფეხი- ისა და შაქრისა, ხახვმოდალული და შეზა- ვებული ლობიოსი... მერე ანთებული სან- თელი დააჭერინა პატარა ბარბარეს, თითე- ბი კი არ დაგვენვას, ეგ მზისფერი კულულებ- ბი კი არ შეგეტრუსოსო. თანა ბუტბუტებ- და, შობის მარხვის შუაძალოო, შეგვადძ- ებინე მზეს ავწვდეთო!

— ბარბარე ბაბო, აბა, როგორ უნდა ავ- წვდეთ მზესაო? ასეო? — ფეხის წვერებზე ინეოდა ბარბარე და პატარა ფუმფულა ხე- ლს მაღლა სწევდა, რომ ვერა გწვდებოთო.

— უი, შენ კი გენაცვალოს შენი მფა- რველი ანგელოზი ბარბარე და შენი საცო- დავი ბარბარე ბებოო, აი, ახლა მზის ფორ- მის ქაღებს დაეცხო და ნახე, როგორ შესწვდები შენი პატარა ხელებითაო.

ფიჩხი თონემი ტკაცუნობდა და ისრო- და ნაპერკლებს. სანთელიც ინვოდა, დღე- ეც, ის თონემი აბურხურებური ფიჩხიცა და მათი დამანყევარიც.

მერე პატარა ბარბალოს ხელები კალ- თაში ჩაეწყო დიდი ბარბალოსავით და ყუ- რადლებით უსმენდა.

— დაიმახსოვრე, შვილო, ამ წმინდა დღე- ესო, მზე ადგება და დადგებაო, განალა იძ- ვრისო, თან ემზადება მამლის სამი ნახტ- ომისთვისაო, რომ შეეჭიდოს და სძლიოს ზამთარსაო.

— ჩვენც მზესავით უნდა ვსძლიოთ, ბა- რბარე ბაბო, ზამთარსაო?

— ჩვენც უნდა ვსძლიოთ, ჩემო ქალო, ჩვენი გავიფიქრებული გულითა და მამაზეცი- ერის იმედითა და ავერე, ძირს დავცეთ ზა- მთარიო.

ბარბარეს ისევე წამოხტომა და თოვლში გაგორება მოესურვა — აი, ასე ვაგორავ- თოთ ძირს ზამთარიო? მაგრამ ბებია თონ- დან უკვე ამოაგდო ბორჯდალო დაკრუ- ლი ნიგვიანები, ლობიანები, შაქრიანები და ამობურცული გულელები ჩაუწვრიტა.

სიადანაც, გეგონება, ლობზე შემო- მჯდარიყოს ზამთრის ჩიტი, ლაღანდარა და კაფანდარა მართამ გადმოყო თავი და გამარჯობას ლოცვაც მიაყოლო — გაიზა- რდე, პატარა გოგო, ბარბალოო!

ბებია ხელის ქნევით სათონისკენ მიი- პატიჟა მარტოხელა მოხუცი მართა, ბარ- ბალომ თეფმით ლობიანი მიართვა. თან საუბრობდნენ, თან იცინოდნენ, თან ეფერ- ებოდნენ, თანა ლოცავდნენ მდგომარე დღესა და თან გემრიელად შეექცოდნენ...

ბებია აცხობდა და აცხობდა... თონე ხურ- და და ხურდა... არცა ნელდებოდა, არცა ლამდებოდა. საშუადღეოს მზე იდგა შუ- ალამემდე. დიდსა და პატარა ბარბალოს რომ არა სცნობებოდათ, მართა მართლა თავიანთი მეზობელი იყო, ერთი მარტოხე- ლა და განუკითხავი — აი, ავერ სამი სახლ- ის იქითა ცხოვრობდა პატარა ბელეტაჟიან სახლში, უთუოდ სტუმრად მოსული წმინ- და ბარბარე ეგონებოდათ.

იადორა

ხმელ-ხმელი იყო იადორე. იმ ალვის ხესავით ანონილი და მოხუცი, რომლის ქე- ვშაც დგებოდა ხოლმე ნაშუადღევს. მხრი- დან მძიმე-მძიმედ ჩამოიხსნიდა უშველებ- ელ შავ ჩანთას, გაშლიდა ასფალტზე ცე- ლოფნის გადასაფარებელს და ჩამოაწიკნი- კებდა ნიგნებს, ყურნალებს, მისალოც ბა- რათებს... ზოგი სქელი ნიგნი იყო, ზოგი —

თხელი, ზოგი ზედმეტად შელახული გა- ცრეცილი ყდითა და ამოცვენილი ფურც- ლებით; იმეოვით გამოცემები, გამეულე- დამომვლელებზე ასაკით ბევრად ხნიერე- ბი, ჩამჭკნარ-ჩაბერებულები. იდგა იადო- რე ნიგნების წინ, თან თავისსავსე გადახვე- ულ პაპიროსს აბოლებდა, თან ნატრობდა — იქნებ ერთი ნიგნი მაინც გაიყიდოს, ერ- თი ნიგნი ერთი პურისა და გზის ფულიაო. ხელის კანკალით დაიხრებოდა ხოლმე და ნიგნებზე ჩაცვენილ გაყვითლებულ ფოთ- ლებსა კრეფდა. მოხუცი ალვის ხეც, მის ქვეშ მდგარი გამხმარი იადორეცა და გაც- რეცილი ნიგნებიც შემოდგომის ნაღვლი- ანი დღის პერსონაჟებს ჰგავდნენ რაღაც- თით.

სქელი ნიგნი ბევრ ფიქრსა და ბევრ სი- ტყვას ატარებს, ბევრი ფიქრიცა და სიტყ- ვაც მძიმეა, იადორეზე ბევრად მძიმე, ისე- თი მძიმე, რომ იადორეს გამხმარი მხარი გადაყველიფილი აქვს ნიგნებით სავსე შავი ჩანთის ტარებით. ზოგი თავისი პირადი ბი- ბლიოთეკიდან გამოიტანა, ზოგიც უცხო ადამიანებისგან ჩაიბარა. ყველა ნიგნი ხომ თავის საკუთარ ამბავს მოგვითხრობს, ავ- ტორის მიერ შექმნილ-დანერვილს, მაგრამ ყველაზე მეტად ძველი ნიგნის ყდის შიგ- ნით ნაწერილი სამახსოვრო ნარწერა მიყვა- რს ხოლმე — საჩუქრად ამას და ამას ბები- სგან ამა და ამ ნელს დაბადების აღსანიშნა- ვად; გაიზარდე ჭკვიანი და სასახლოო; ეს ნიგნი წაკითხე შენ, შემდეგ შენმა შვილმა, შვილიშვილმა, შვილთაშ... და სადაც ვაწ- ყდა უკვე ამბავიც. იადორეს ჩაბარეს გას- ასხვისებლად, სხვისი შვილიშვილებისთვის წასაკითხად. თან გაატანეს იმ დიდი ბებიის ნათითურები, ფურცლებზე რომ უხილავ- ად ეტყო; რამდენიმე წვეთი ცრემლი, ნიგნ- ის კითხვისას რომ ჩამოუგორდა დიდ ბები- ას და ერთიც მისალოცი ბარათი, რომელს- აც სანიშნად ტოვებდა ხოლმე ბებია ნიგნ- ის ფურცლებს შორის. ბებია ცოცხალი აღ- არ იქნებოდა — სამაგიეროდ იადორე იყო ცოცხალი და გადაქერცილი მხრებით დაჰქონდა ნიგნისა და ადამიანის სევდი- ანი ამბავი.

ნიგნის ყდასავით გაცრეცილი შემოდ- გომის დღე რომ მიყურებას დააპირებდა, აინთებოდა ქალაქში ლამპიონები და გამუ- ქდებოდა ჭყეტელა შუქნიშნების ნითელი, ყვითელი და მწვანე ფერები, შორიხლოს დავდებოდი ხოლმე და ნარმოვადგენდი — მხრებში მოხრილი იადორე მიდიოდა წინ ცარიელი ჩანთით და უკან მიჰყვებოდ- ნენ ხვნემით სქელტანიანი, ხელჯოხიანი

ნიგნები; გამხდარი, ყდადასვრილი და ფუ- რცლებფრიალა თხელი ნიგნები ფარფა- ტით; ქარი ააფრიალებდა აღმებოვით მის- ალოც ბარათებსაც შემოდგომის ნაცრის- ფერი სალამოს გასაფარადებლად, იმ ბარა- თებს, ზოგან ქალთა დღის აღსანიშნავად ყვავილების თაიგული რომ ეხატა, ზოგან — ახალი წლის მისალოცი გრილიანები. მიდიოდა იადორე შინ და ქარში გაურკვევე- ლად იფანტებოდა — სახსოვრად... საჩუ- ქრად... დაბადების... ანას... ნინოს... პაა- ტას... გიორგის... ბებოსგან... დედისგან... მეგობრებისგან... რაც უფრო მცირდებო- და ნიგნებიდან გადმოცვენილი ამბები, მით უფრო მატულობდა იადორეს ორი თუ სამი დღის ჩაისა და შაქრის ფული. ხელებს ით- ბობდა ზამთრისპირულის საღამოებში ცხ- ელი ჩაით იადორე. იმ ანონილი ალვის ხის ქვეშ კი, სადაც ცელოფანი ეფინა, კარგა ხანს კიდევ მშრალი იყო ხოლმე ასფალტი. ნამოეკრიფა იადორეს ნიგნებიც, ამბებიც, ნარწერებიც, ალვის ხის ფოთლებიცა და შემოდგომის ჟინფლიც. ყველაფერი ერთ შავ ჩანთაში გამოეკრა თავისივე ბედივით მოწყენილსა და თალხში, მიიქაროდა მარ- ტოხელა იადორე შინ მთელი ოთახისხელა მარტოობაში და უეჭველად ფიქრობდა, რომ ნიგნი და ადამიანი რაღაცათ ჰგვანან ერთმანეთს. რომ ნიგნი და ადამიანი ორივე სევდიან კვალს ტოვებს ქალაქში, რომ წი- გნსა და ადამიანს ყისმათი უნდა დაჰყვეს, ამქვეყნისხელა მარტოობაში რომ დაიბად- ება.

მისა პაპა გორქვამადა

მთის წვერზე ედგა, სახლი არც ეთქმ- ის, პატარა ქოხი, მარტოობით, ტკივილითა და ფიქრით ნალესი, ან როგორ ეტყოდნენ იმ პატარა ქოხში ამდენი. ზაფხულობით ბალახი მწიფდა, ზამთრობით — თოვლი. სულ მარტო იყო. ცალიკაცი თავხედ ედგა ქოხს, ბეჭებით ეჭირა ტოლგადაფარებუ- ლი სახურავი. ზამთრობით კვამლით ეკი- და ცასა და მინას შუა ქოხი, მარტოკაცის გულის ბავუნითა და საქონლის საქონლთი ცხელი ორთქლით, საქონლის ფრუტუნით, ფართო ნესტოებიდან რომ უშვებდნენ ნე- ბა-ნება. ზაფხულობით კუტბალახი და ჭყ- იმი იყო იმისი მოლი, მწვანე ხალიჩა. ეზოს ბოლოს ცალი მდინარე დაუდიოდა. ცალი სიზმარი ედო მდინარეს სველი ლოდის ქე- ეშ, მხოლოდ მარტოკაცმა იცოდა, რა სიზ- მარსა სჩქედდა მდინარე. ჩქაფაჩქუფით გადალახავდა მდინარის წყალსაც გაღმა- გამოღმა. წყალიცა ცნობდა და ეპკურებო- და გულის პირზე ფანცქალ-ფანცქალით, თევზებიც სხარტალით ეხეთქებოდნენ მკ- ერდზე. ცალი პეპელა დაფარფატებდა თა- ვზე, ცალი ჩიტი დასჭიკჭიკებდა, ცალად ყვაოდა იმის მთაზე დეკა და გუგულისკაბა, იფანიც კი ცალ ფოთოლს იბამდა. ცალ მხ- არზე ცალი მთვარე ეკაუჭებოდა, ცალზე — ცალი მზე ესახა. ცალ ვარსკვლავსა ჭე- ედა ღმერთი ყოველ ღამე ცაზე მისთვის. სულ მარტო იყო ცალუღელა, ცალქა, ცალადირე — ხიდად გადებული მთასა და ბარს შორის, ყოფნასა და არყოფნას შორის.

— მისა პაპა, როგორა ხარ, როგორო? — აბა, როგორ ვიქნები, შვილო, რვა თვეა, ადამიანის ხმა არა მსმენიაო. ძლივს გადაითოვლა, გადაიზამთრა, გადაიამინდ- აო.

აუტანდნენ ხოლმე ტანსაცმელს, სარ- ჩოს, საჭიროს. მოინახულებდნენ, იქნება და ხშირ-ხშირადაც, შემოდგომამდე. მერე მშვიერი მგელივით მიადგებოდა ხოლმე მო- ზავებულნი ზამთარს და მიჰფიქვავდა ფა- რო-ფარო, ფთილა-ფთილა. სადაც კი ზვა- ვი დასცურდებოდა, ყველა ზვავი თითქოს მის ბეჭებზე გადადიოდა გრილით. სადაც კი ქარი წამოიქოლვებდა, ზედ ბეჭებზე ეს- ეთქებოდა ეგ კუდბანარა და არიალებდა. ცალი ნათოთა ენთო შორს მთებში და იქ დანთებული ცეცხლი თუ სინათლე ბარსაც სწვდებოდა, ბარსაც ანთებდა, ბარის სოფე- ლსაც, დაბასაც, ქალაქსაც. ხალხი ფეხის აჩქარებული ნაბიჯით დადიოდა, ხვდებო- და, ხელს ართმევდა, ესაუბრებოდა ტელე- ფონით, ინტერნეტის საშუალებით. ცალი კაცი კი ცალ მთაზე იდგა და დროის წისლა ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. იქ ჟამიც იდგა.

ძალიან რომ გაუდაბურდებოდა ფიქრით, გატილდებოდა, გადასწევდა ფარდასა და გადმოიხედავდა აქეთ — ბარ- სა თუ ქალაქში. ხელს მოიჩრდილავდა თვა-



ლებზე — აბა, როგორ ხართ უჩემოდო? მისი ხმა, რა თქმა უნდა, არავის ესმოდა, მაგრამ სადაღაც გულის კუნჭულში კი ერთი წამით რაღაცა სტიკოდან ადამიანებს და ვერ გაეგოთ, რა იყო, ისე იყვნენ გართულები თავ-თავიანთ საფიქრალში, თავ-თავიანთ მდულარე ცხოვრებაში, ისიც მხოლოდ ერთი წამით წაწახვლევდათ ფიქრი. მერე კიდევ ავიწყდებოდათ, და არც-კი იცოდნენ, რომ სადაღაც შორს მთებში ცალულელა, ცალქა, ცალადირე კაცი ცოცხლობდა. ყველას ნაცვლად ის ტკეპნიდა და პატრონობდა იქ მიტოვებულ მიწასა თუ ნაფუძრებს, მთის ძუძუმტე იყო, ერდო-ბანის ძუძუმტე, იქაურობის პატრიარქი.

წყალიკაჟია ნათი

— ეპა, ჩამოვიღის ნათე და დაავალე, მე რა უნდა გაგეგზავნო რა, განა სხვა საქმე არა მაქვს, რაო?!

გაიხედავდი და მართლაც — ზემო უბნიდან ჩამოვიღიდა ნათე ილლიაში ამოჩრილი გაცრეცილყდიანი რვეულით, ორივე ხელით ალუმინის ცარიელი ბალონს მოიქნევდა, დადგებოდა სოფლის თავში წყაროსთან, ბალონებს იქვე დაალაგებდა, გადაშლიდა რვეულს, გეგონება, უშველებელი სია ჰქონდა და ვერ იმახსოვრებდა, გულდასმით ჩაიკითხავდა — აბა, ერთი ვისი ჯერია, ვინა მყავს სიაში პირველი, ვის მივრბენინო და გამოვართო ამ დილაადრიანად წყაროს მარჩხი წყლითაო? ჩამოჰყვებოდა თითოთი სახელებს — ბებერა ნინა, გიორგას ელო, ვანოანთ იტო... ამ სამი მარტოხელა მოხუციდან ერთი თავში ეწერა, მეორე — ბოლოში, მესამე — შუაში. მეორე დღეს კი დაუნაცვლებდა სახელებს და ახლა ვინც ნინა დლით პირველი იყო სიაში, იმას ბოლოში გადასწერდა, ბოლოს რიგით მეორე ნომრად ჩასწერდა და ასე — თავდაც ერთობოდა და მარტოხელა, ჩაკუტებულ მოხუცებსაც ართობდა, თან დღის საკმარ წყალს მიუზიდავდა სასმელად, სადილის მოსამზადებლად თუ სარეცხად...

შეჰყვირებდა ჭიჭიკრიდან — იტო ბებო, თქვენ წყალი და წყალობაო, მე მაღლი და მაღლობაო!

— უი, გაიხარე და გაუმრავლი დედაშენსო, — გამოსძახებდა საბრალო მოხუცი, — ეგრე ადრინანდ რამ წამოგაყენა, შვილო, ამ დარში... მერე ამ ავდარში... მერე ამ ჟიჟმატში, მერე ამ ხვატიან-ალხიანში... რა იყო, ბიჭო, წყალს ძილსა და სიზმარს არ დააცდიდი მაინცაო?

დღე დღესა ცლიდა, ღამე — ღამეს, ბალონი — ბალონს... ვინ ემაღლიერებოდა ნათეს, დღიურ ლუკმას აწვდიდა ავადმყოფი დედისთვისაც. შინ დაბრუნებული ნათე წყლის შეჭამანდს მოუხარშავდა დედას ბრინჯით, ქინძითა და ქონით, მონაგრებულ პურს ხელით შეაჭმევდა, დაანაყრებდა და თავად კვლავ წყლის ბილიკებს გაუყვებოდა. ვინ დასცინოდა კიდევ, ეგ ტვინწყალაო! არადა, რად იყო ტვინწყალა, რა-

დგან ხშირად იმეორებდა — სოფლის დასაწყისში, ძირსა და საძირკველში, ჯერ წყალია და მერე ნათელი?! წყალი უფლის უბეში იყო შეფარებული, სანამ ქვეყანა შეიქმნებოდა, ზედ სულიწმიდა ჩამოსივებდა ხოლმეო, დადგებოდაო? წყალი ღვთის სულის საყდარი იყო და სულიწმიდამ იმიტომაც განწმინდაო?... მოკლედ, დადიოდა ალმა-დალმა ნათე წყლიანი ბიდონებითა და დაჰქონდა მთელი ცამყარი.

პირველად მაშინ ატირდა და ნახდა ნათე, წყაროსთან მისულმა წყალნაკლებობა რომ შენიშნა. ერთი ბიდონის ავსებას ნახევარ დღეს ანდომებდა, მერე — თითქმის მთელ დღესაც. ჩაიშუხლებოდა იქვე და ცრემლიან ცდალობდა, გადაეცვო ცარიელი ბიდონები, მაგრამ რომ ვერაფერს გახდა, ადგა და დაიწყო სოფელ-სოფელ სიარული, არსად მცირე ბინულს არა ტოვებდა, ჭასა და ეზო-კარს, ლამის ქვასაც კი წყალს ადენდა — მე წყალი და წყალობაო, თქვენ მაღლი და მაღლობაო! ასე დაიწყო წყლის კრეფა თუ ხვერპა, სადაც კი მოიხელთებდა ერთ ჭიქასაც კი თავის ბიდონში მოაქცევდა. შეერქვა კიდევ წყალიკრეფია ნათეო, მიმოვა მაღიმალეო.

ბოლოს ნათლისებდასლა შევამჩნიე — გახარებული, წივივის გამოსვლის შემდეგ, ზამთარი გატყდაო, იყვირა ნათემ და ალბათ წყლის საკრეფად დაეშვა.

ხარა-პერიას ხარება

ზამთარშიმომოცმენილი მზე ცის საბუდრიდან ჯერ მინდვრებზე გადმოკოტრილდა, დაგორდა და დაუყვა ანულები-სკენ გზას. იგორა, იგორა, ბნელი ხევის პირას იების იისფერ წყაროსთან ჩაგორდა, დაენაფა. წყურვილი რომ მოიკლა, ისევ სინათლის საბუდარიში ჩაჯდა და ის სურნელიც აუშვა. გაზაფხულდა. მზისა და მინის სუნმა გამოაფხიზლა ზამთრისაგან დაღონებული ადამიანებიც, მინაც.

— ეჰე ჰეეი! გაზაფხულდაო, — გადასძახეს ერთმანეთს და გამოეფინნენ ბალებში, მინდვრებში, გზის პირებზე... მიაფიცხეს მზეს შეცივებული მხარ-ბეჭი და დამზრალი ძვლები გასათბობად. გამოუშვეს ბაგას მიშტერებული მთვლემარე საქონელიც. ზამთრის ფერადი სიზმრებიც დაკეცეს. ზოგი ჭრელი მუთაქის ქვეშ ამოდეს, ზოგი სალამურის პერანგის ჯიბეებში ჩაკუჭეს, მომავალი ზამთრისათვის გადაინახეს. ზოგიც გულისბუხარში გადამალეს, ზოგიც — თვალის გუგების შიგნით.

— ბერია, გაიღვიძე, ხარა-ბერიავ, გაზაფხულდა, კაცო, — შეაფხიზლეს ხარა-ბერიაც თანასოფლებმა, შეუხსნეს ზამთრისაგან ჩაგმანული ჭიშკარი, — დიდი უცნაური ვინმე კი არის, შენი ჭირიმე. გაიღვიძოს, თორემ ქვეყანას გადააბრუნებს, გამოვა და დადგება ისევ ვედრებადო.

ბერიას ხარას იმიტომ ეძახდნენ, რომ გუთნისდედა იყო, ხაროვით ძლიერი, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელი იყო, უცნაურად კი იქცეოდა. აღარცა ხნავდა და აღარ-

რც თესავდა. ხარება დღეს აპურს ქედზე გამოიბამდა, დანგრეული ნასაყდრალიდან გადანახულ ზარს ქედზე შეიბამდა, ხელებს ცისკენ ასწევდა ვედრებით და იდგა ასე თავჩალუნული და ხელაპყრობილი გვიან შემოდგომამდე ეზოში.

— ან არა გცივა, კაცო, ან არა გცხელა, ან არა გმია, ან არ გწყურია, ხან ზედ რომ განვიმს, ხან ზედვე რომ გაშრება ნანვიმი?

— რა ექნა, ხალხო, მზისკენ აშვერილ ხელისგულზე მერცხლები ბუდეს იკეთებენ, ხელი რომ ჩამოვნიო, ხო დაეგრევათ, ხო ველარ გაიხარებენო?! — ისეთი დანაწებით იტყოდა, აღარავინ ეპასუხებოდა ხოლმე.

— დგას და იდგეს რა, ჩვენ რააო, რო! მერცხლები ხარების მეორე დღესვე მოფრინდებოდნენ ხოლმე ხარა-ბერიასთან და მის განიერ ხელისგულზე იწყებდნენ ბუდის აშენებას. ეზიდებოდნენ ბალახსა და ტალახს. დებდნენ კვერცხებს, კარგა ხანს ისმოდა მერე ხარა-ბერიას ხელისგულებიდან ღვლიპინა ბარტყების ჭიჭიკვი.

იდგა ამოდენა კაცი მზისკენ ხელაპყრობილი მერცხლის ბუდეებით და ბაო ჩრდილი ბალახზე მცირე ჰქონდა. არც-კი ეტყობოდა დედამინას. ხან ერთი მეზობელი შემოხსნიდა კარს და ორ ლუკმას მიანვდიდა, ჭიქა ღვინოს ან წყალს შეასმევდა, თუ წვიმდა ხარა მხრებზე სანვიმარს მოაგდებდა, თუ ცხელოდა — საჩრდილობელს. ასე მიატანინებდნენ ხოლმე შემოდგომამდე, სანამ მერცხლები თბილ ქვეყნებისკენ გაფრინდებოდნენ.

იმ წელსაც ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად მიდიოდა ყველაფერი, მაგრამ უცნაური ის იყო, რომ იმ წელს თეთრი მერცხლები მიფრინდნენ ხარა-ბერიასთან.

— ბერია, ჩამოუშვი ხელები, კაცო, აბა, რანაირი მერცხლები მოგივიდნენ, თეთრი მერცხლები ვის გაუგონია, გვაჩვენეო!

— მერცხალი მერცხალია, თეთრი იქნება თუ შავი, რა მნიშვნელობა აქვს, ხო მოფრინდნენო, — დაიჟინა ბერიამ და ხელები არ ჩამოსწია.

იმდენად აინტერესებდათ ადამიანებს თეთრი მერცხლების დანახვა, რომ ზეზეურად ჩამოძინებულ ბერიას ღამე ჩუმად მიეპარნენ და ამოუხსნეს მერცხლები და დატოვეს უმერცხლოდ. თეთრი მერცხლები შეფრთხილდნენ და ვინ იცის, საით წავიდნენ...

თავიდან არ იმჩნევდა, მაგრამ მერე ნელ-ნელა ეს ამოდენა კაცი დარდისაგან ჩამოდნა, ჩამოიღვენთა და თავის ბაო ჩრდილზე პატარა გახდა. ვედარც ნასაყდრალიდან გადმოტანილ ზარსლა მრავდა, ვედარც ხელებს ეწეოდა მზისკენ. ისევ გამოდიოდა ხოლმე ხარების მეორე დღეს, მზერას მიაპყროდა ცისაკენ — იქნება და მოფრინდნენ ჩემი მერცხლებიო, მაგრამ, აბა, მერცხლები როგორღა დაეტეოდნენ მის გალუულ ხელის გულზე.

კონია

ამოიწვილა აკონილი კონია აღმართს, ხან თავდაღმა მიეშვებოდა. კონა-კონა დაჰქონდა დარდიცა და სიხარულიც, ყვავილიცა და ვარსკვლავიც თავზე. თუკი ცუდ სიზმარს ნახავდა რამეს, მდინარის პირას ჩაიმუხლებოდა ქვებზე და ააღალ-ლალებდა წყალთაღლია მდინარის ტალღებში გალურჯებულ ხელებს, იდაყვებამდე ისველებდა და ზედ რომ მოხვეოდა, სიზმრის ნაკუნები თითქოს ბაღლინჯოვებით იყრევინებდა. მდინარეც თითქოს გულმოდგინებით რეცხავდა მის ავისმომასწავებელ სიზმრებსა და ქვებზე ათხლემდა წითელ, ყვითელ, მუქ ლურჯ თუ ლემანა ფერებს. სიზმრების ფერადების გამო ხან წითელი წყალი მოდიოდა მდინარეში, ხან შავი, ხან ყვითელი ნაღვლისა და ბაღლიმისა. მებაღე იყო კონია. რაკი სიზმარს გაავლებდა, ნაღუმარი ჩამოირეცხავდა ხელ-პირიდან, გულდამშვიდებული შინ დაბრუნებოდა ხოლმე — ავი აღარაფერია მოსალოდნელიო. მერე ღრუბელგადაყრილი მიხედავდა ბაღში თავის ლურჯ, შუშა და წითელ ანემებს, მენამულ არმერიებს, იასამნისფერ დელფინიუმებს, შროშანებს, ლილიებს და რა ჯიშის ყვავილი გინდოდათ, რომ მის ბაღში არ გენახათ — ბუჩქოვანი თუ ბოლქვოვანი, მრავალწლოვანი თუ სეზონური. მინა როგორც კი სუსხის ბოქლომებს გასტეხდა, აფუთფუთდებოდა ხოლმე უბეში გაღვივებული ყვავილის თესლი, როგორც დედის მუცელში შვიდი-რვა კვირის ჩვილის გულისცემა. ამოიმზირებოდნენ მერე, ამოიტანდნენ სამყაროს სიჭრელეს, სიმშენიერეს, სიკეთესა და სრულყოფილებას ყვავილები. კონია კი თავს ევლებოდა, თითო ფოთოლზე დაჰკანკალებდა. არ კრეფდა არასდროს, მხოლოდ როცა ჩაჭკნობის დრო მოუვლიოდათ, შეკრავდა კონებად, გაახმობდა, დაახარისხებდა, მერე ზოგს ღებავდა, ზოგს ხავერდზე აკრავდა, ზოგს ატლასებსა და დიბა-ქსოვილებზე და ხან გვირგვინებს ამზადებდა, ხან კაბების ქობებსა და მაჯა-საყელოებს ამშვენებდა. სულ კონიას ყვავილებით აკონილები დათხოვდნენ ახლო-მახლოში გოგონები.

კონია კი გაუთხოვარი იყო. აიკონავდა გამხმარი ყვავილების მძივებს, სამაჯურებსა თუ გვირგვინებს და ამოვილიდა აკონილი აღმართს, ხან თავდაღმა მიეშვებოდა. არავინა ჰყავდა მხარში ამომდგომი, ავი სიზმრის დამფრთხოი, თავის წამომწვევი. ხანდახან თავისივე ნალოლიავეები ყვავილებისა ეხარბებოდა კიდევ, ხან ამოიკვნესებდა და სინანულით იტყოდა, რატომ მეც ყვავილად არ გავჩნდი, იქნება და მეც გამეხარაო. ყვავილმა იხარა და კონიამ ვერაო — გაუთავებლად უჩივინებდა თავის თავს ყვავილებით აკონილი კონია.

ალბათ არ იცოდა კონიამ, რა დარდი ჰქონდათ ყვავილებს.

ყვავილი — წყლით, ადამიანი ცრემლით ირწყვება...





ქეთი გზირიშვილი

მატარებელი

„ძმობილი სახედარი“
ნმ. ფრანცისკე ასიზელი

მხოლოდ ჩემი სხეული მყავს.
მხოლოდ ის მეკუთვნის.
მომეცა, როგორც სახლი,
როგორც თავშესაფარი,
როგორც მოლაპარაკე თუთიყუში,
როგორც წყარო.
მასზე ერთგული არავინ გამაჩნია.
მის წინაშე თავს ვალდებულად ვთვლი.
ვზრუნავ, რადგან ჩამაბარეს,
რადგან მომანდეს.
მან უნდა მატაროს რთულ ბილიკებზე,
მიმიყვანოს საზღვრამდე,
ჩამომსვას სახლთან, სადაც სინათლეა,
სადაც სინათლე ვარ.

სიჩუმი

სხეული უცებ სწავლობს იზოლაციას,
სანამ შენ ომი გაქვს,
ის წყალივით მიედინება ნაპრალებში,
სინჯავს, ერგება და ირგებს
თავისუფლებას ულიფო ძუძუებზე,
უმაღვიძარო დილებში ზანტად ახელს
სიზმრით მაძლარ თვალებს
და მზეს ეძლევა,
როცა ის ზენიტშია.
მაგრამ შენი ომი მისი ბორკილებია,
სამართლო საკანი,
სადაც ჩიტების ხმა აღარ ისმის.

ნამდვილი

ყველაზე მეტად შიშვლად ყოფნა მიყვარს.
მძიმეა ყველა ტანსაცმელი, სიფრიფანა შიფონის კაბაც.
ერთადერთი ადგილი,
სადაც შემოდის გაეთავისუფლდე, სახლია.
დავიღვარ შინ მსუბუქი და, ხანდახან,
როცა ღია ფანჯრებს გავხედავ, ვფიქრობ:
ნეტა რომელიმე მოპირდაპირე ფანჯრიდან
თუ ვჩანვარ.

იქვე მაინც დედა.
ხეები — ჩემი მცველები,
დავინყებაც ჩემი მცველია.
მხოლოდ მაშინ მერღვევა იდილია, თუ კარზე ხმაა.
სასწრაფოდ ვუბრუნდები მისაღებ ფორმას,
სანამ სტუმარს ათასი ფიქრი გაჰკრავს თავში
და რომელიმე კარშივე გამოიზიარებს:
რატომ არ აღებ, გემინია?
მე მრცხვენია, რომ ვთქვა —
მისაღებ სახეს ვიბრუნებდი.

ცხოვრებაშიც ასეა,
როცა აკაკუნებენ ჩემს გარსზე, დრო მჭირდება,
რომ მათთვის მისაღები გავხდე.
ვიღაცას მოთმინება არ ჰყოფნის და გამირბის,
როგორც უცნაურს,
მე ვფიქრობ — ნამდვილს,
ვიდრე უცნაური გავხდები.

ღაბრუნება

როდესაც ვთხოვე გულით და ვერ მივიღე —
დავშორდი, როგორც უკისრო,
ის კი ხელის განვდენის მანძილზე დადგა —
უბრი ჩემსავით.
მხოლოდ ხანდახან,
მაცივარზე მიკრული ორსიტყვა
წერილივით მხვდებოდა წინ
ქოთნის ყვავილი ქვის ჩასანაცვლებლად.
გავლიე წლები და გავლიე ცნობა, რომ ის ჩემთან იყო.
მეგონა, ვიდრე მინაზე მყარად და
ქარები ვერ მაქცევდნენ.
მოვწყინდი მას და წავიდა იქ, სადაც სალამს ეტყოდნენ,
ბალი კი ჩემი მოვლის დამსახურებით ჰყვოდა.
ყველაფერს, რაც მქონდა, ზაფხული ერქვა,
ყველაფერს, რაც მქონდა სიცოცხლე ერქვა,
სანამ ერთ დღეს,
ზამთრის უცნაურ დღეს,
ხელის განვდენის მანძილზე დავინყებულმა
ხორცი არ შეისხა.
იქცა იმად, ვინც გადმოდგა პირველად სიტყვა
და შემაბა კისერი,
ვინც მიაკრა მაცივარზე ორსიტყვიანი თბილი ხელები,
რომლებიც ფერად კოკრებს შლიან ზურგზე,
ხელები, რომლებიც მარცვლებს ყრიან
ჩემამდე გამოვლილ ნაფეხურებში,
რომ არ მომაკლდეს პური ჩემი არსობისა:
მჯეროდეს, კარი, რომელზეც ვაკაკუნებდი, გამეღო —
აქ ინყება საფრენი ბილიკი
და ცაზე გავლა შესაძლებელია.

ბანზაჰვა

სულად ქცევა როგორ წარმომედგინა ათი წლისას?
უჩინარი ხარ და ყველა კედელში გადიხარ,
ყველა ხეს ერწყმი, ყველა წყალზე ირეკლები.
და როცა კიდევ რამდენიმე ათ წელს გაივლი,
ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენ, რომ
მთელი სამყარო, ყველა ნაწილით, შენში ყვავილდება,
გლოკავს ლეკვის ენით,
გეხება ბალახის ღეროთი,
ნიავის ხელით გინუნავს თმას შუბლზე.
ერთი წამითაც არ ხარ მარტო,
გაქცევაც რომ მოინდომო,
ისევე მას ჩაუფარდები მკლავებში,
მასში ჩაითესები.
როგორ ვიდარდო სახელებზე,
რომლებმაც ყურთან გაინკარუნეს და
ჩემი თვალი მიიქციეს,
რომლებიც ჩემს ხორცს მაჯერებდნენ.
შეგხედე მათ და ვერ მოვენყვიტე.
მას კი, არასდროს გაუშვია ხელი,
მზეს მთავაზობდა დაბნეულსა და დაბნელებულს,
უკან მყურებელს მიმაქანებდა შუქისაკენ,
რომლის ქვეშეთშიც
ყველა კარია გაღებული გასაზავებლად,
ისევე, როგორც ათი წლის გოგოს პასუხში იყო.

მთელი

რაც ამდენწიანი სიკვდილი ვნახე,
უმდიდრესი კატალოგი მოკვდინების ხერხებისა,
ფიქრი დამჩემდა:
მე როგორ წავალ?
ადრე, ვიდრე ასე გავნათლდებოდი
სიკვდილის არსებულ მეთოდებში,
მხოლოდ ის ვიცოდი, რომ
მთელი სხეული მიწოდდა მქონდა,
ხელჩაურეველი —
როგორიც ღმერთმა შემქმნა, ისეთად მივბარებოდი.
ხელჩაურევად
შესწორებას, შეცვლას ვგულისხმობდი,
რადგან უმადურობის მეშინია,
უმადური არასდროს ვყოფილვარ,
ყოველთვის მადლის სიტყვა მცდებოდა
ჩემი თავშესაფრისთვის.

მაგრამ მას მერე,
რაც ქუჩებში მრავალმხრივ არეული
სახლები გამოფინეს,
ვნატრობ:
როდესაც წავალ,
ვიყო სხვისი ნებისგანაც მთელი,
მშვიდი
და მადლიერი,
რომ ყველაფერი
დროულად მერგო.



ირმა

სალამი ჩემო არეულო, კარგო ქვეყანავ,
გადაღლილი და გულნატკეპნი ისევ მოვედი,
მე შენ ალაღად მიყვარხარ და შენ კი ერთგვარად,
შენ კი ცალმხრივად მიშორებდი, მახსოვს, ყოველთვის.

სალამი. თუმცა სულ ჩემში ხარ, მაინც შეცვლილი
მზერა მაქვს, როცა მოვდივარ და როცა თვალეში
ჩაგხედავ ხოლმე, და როდესაც უხმოდ შევივლი
შენს ყელში, მხრებში, ბეჭებში და გულის არეში.

და ვგრძნობ, რომ სუნთქავ ჩემს ძველ ჰაერს,
და რომ საძილე
აბები სისხლს ვერ გავინყებენ, ამიტომ ასად
მამრავლებ, ხანაც მანანევრებ, ამ ბრმა მანძილებს
შლი და ჩემს ძველ სისხლს უერთდები
არაგვის მსგავსად.

პოეტი სარკეში

ის ცხოვრობს ასე, აწყობილად და კაცმა რომ თქვას,
გამარჯვებული უფრო ეთქმის, ვიდრე სანყალი,
თუმცა საკუთარ თანხმონებში გულივით ფეთქავს
და ხმოვნებში კი მარტოსულის მზერით წანწალებს.

წანწალებს ასე და ხანდახან საკუთარ ძარღვებს
უკითხავს ზღაპარს და იგავსაც „ნავტების არგოს“,
და ყოველ ღამე მზეში ჩამხრჩვალ სიბნელეს ალებს
რომ სიბნელეში ჩაიძიროს და დაიკარგოს.

დილით კი ყველას ჰგონია, რომ ისეთი ლალი
ფილტვებით სუნთქავს, ჰაერს ღამის სული ამოხდეს,
სინამდვილეში ყოველ ღამე ერთ სიკვდილს ალებს
და მისი ყოფაც მოჰგავს მწარე არყის გამოხდას!

ლაძა

განბილებული შემომყურებს ეს ძველი კაბა —
ვერ შევამჩნიე დიდი ლაქა გულის მხარეზე!
წარსულს სამყაროს მივინყებულ კიბეზე ვაბამ
ძალივით — პატრონს სულ რომ დასდევს და
სულ დაეძებს

და გზას ვაგრძელებ. და ცხოვრების ფართო ქუჩებში
ახალ კაბებს და ახალ დარდებს უსიტყვოდ ვიძენ
და ამ ბებერი და გულლია ყოფის უბეში
ხან მანუხებს და ხან მამშვიდებს კაბების სიგრძე.

თუმცა ეს კაბა, ეს ძველი და ღამაზი კაბა —
ასე ხმაურით რომ ინახავს ყველა იარაღს,
წარსულს აქეზებს, რომ დაბრუნდეს, მიყუროს ხარბად
და ჩემი გულის ფიქრი შესვას ლაქებიანად.



ამბები და გლობუსები

იმდენი მხრიდან შევხედე ცხოვრებას, იმდენჯერ დავატრიალე გლობუსივით ყველა ამბავი, რაც თავს გადამხდა, რომ თავბრუდახვეული საკუთარ ოკეანეში გადავეშვი. ოკეანის წყალმცენარეებით გამომედო წარსული ფეხებში:

თევზებით გაისრიალეს სასიყვარულო ისტორიებმა, დაკარგული მეგობრების ორპირმა გრძნობებმა, ძველმა, ჩაშლილმა გემებმა და იმედებმა. თევზებით კუდი მოიქნიეს და დროებით ჩაიკარგნენ ხსოვნის ნაპრალებში — (თითქოს ოკეანის ფსკერი გახსნილიყოს), თუმცა მაინც დამიტოვეს ლალატის გემო — მედუზას საცეცებიდან გამოსული შხამით მწარე და წყალქვეშა ჩანჩქერებით ამაღლელებელი.

და მე ამ გემომ მთელი ტანით შემომაბრუნა მომავლისაკენ, სადაც ჩემი ცხოვრების გემი მზად იყო, ძველი ოკეანის ზეგნებიდან და ხეობებიდან სინათლისკენ გამოვეყვანე, რათა ხელახლა დამენახა მზე, მერე მზეზე გამეთბო ხელი და ამ ხელით ისევ ხელახლა შემძლებოდა ამბების და გლობუსების დატრიალება.

სურათები. ფანჯრები. გზები.

დღეს სურვილი მაქვს, დავუბრუნდე ჩემს ოცი წლის წინ არსებულ „მეს“ და სტუდენტობის სურათები გადმოვალაგო, რომლებშიც, ალბათ, მიაბიტი თვალებით ვყვები, როგორ ყვავიან ჩემს გუგებში სხვისი მინდვრები და როგორ ვსევამ ამ გუგებით ლამაზ შენობებს: გოთურ ფანჯრებს და რენესანსის ფერად ნარჩენებს — ჭრელი ფასადით და ციცაბო სახურავებით... დღეს სურვილი მაქვს, ძველი ხმით და ძველი თვალებით და ძველი კაბით ქალაქებში ვიმოგზაურო, იაპონელ და შვედ მეგობრებს ჩაკვიდო ხელი და იმ ქუჩებში, სადაც ხშირად მტვერიც ხმაურობს, ლამაზად მოვეყვებ დაბერებულ ნარიყალაზე — რომელიც ქალაქს, ჩემს საყვარელ ქალაქს დაჰყურებს... მისმინონ ჩემმა მეგობრებმა, წარმოიდგინონ, როგორ უხდება კავკასიას ოქროს საყურე — ანუ ქალაქი მთებითა და აბანოებით... დღეს სურვილი მაქვს, ძველი ხმით და ძველი გონებით გადავამოწმო წარსული და ჩემს ჩვიდმეტი წლის შვილს მოვეუყვებ, თუ რა მდიდარი გზებით მატარა ევროპამ ღია ფანჯრამდე და ღია გულამდე (რომელიც დღემდე არ ძველდება და არც ბერდება). თან როგორ უხმოდ მასწავლა, რომ მშობლიურ გზებს და მშობლიურ მინდვრებს არაფერი არ შეედრება.

დიდხანს ვუცდიდი სხეულზე თოვას და გამუდმებით წვიმდა და წვიმდა...
შენი თითები არის ლობურა,
ხელის მტვერები კი — ფანტელები.
და ჩემს მკლავებზე ჩამომდნარ თოვლს სუნი აქვს ლურჯი მაგნოლიების.
თოვლში ხეებს ქვეშ შავად დარჩენილ, სევდის გამომწვევ მინას ვუყურებ...
სწორედ ასეა შენი თვალებიც ქანცგამოცლილი.
მინის სუნი აქვთ მუქ უპეებს...
როდისმე რომ აღარ მყავდე, რომ გათენდეს და აღარ მყავდე, რომ დაბნელდეს და აღარ მყავდე, არასდროს აღარ ჩამომადნება თოვლი მკლავებზე, ვერასდროს ველარ ვიგრძნობ მინის სუნს.
შენი თითები არის საზღვარი სიკეთესა და ბოროტებას, სიცივესა და სითბოს, შენ და ჩემ შორის...

შენამდე

გულზე ხელებს ვინყობ, თვალებს არ ვხუჭავ, ისე ვიძინებ. ჩემი ფანჯრიდან დანგრეული შენობა მოჩანს. ყოველ ჯერზე, როცა ვხედავ, ძვლები მტკივდება, ფარდა ვერ ფარავს ხმაურს და ნისლში ალაზნის ველი კავკასიონს ჭამს.

შენ შემდეგ

მამლის ყვირილი დასრულდა, კვლავ მშვიდად მძინავს, მკერდიდან ხელებს ფრთხილად ვწევ და შემდეგ ფარდას ვწევ დაუსრულებელ შენობიდან... სხივების წვიმა ნაზამთრალ კანზე ტოვებს ნაკვალევს და იმდენ სითბოს მთებზე, რომ თოვლი არ დადნეს და ველზე აყვავდეს მწვანე ბალახში შეხვეული ლურჯი იები.

მკერდზე დამადე თავი, გაუძლებს შენს მძიმე ფიქრებს, თავჩამოდებულ ღმერთის სევდას უძლებენ მთებიც. ხელებს მოგხვევ და ბიბლისივით ჩაგიტან ჩემში, ყველა დანარჩენს თუ შხამში ვკლავ, შენთვის ვარ ბუდე. თავი გედოს ჩემს მკერდზე, შენი დარდებით გულჩაზნექილიც არ გაეხსნი თითებს, მავთულხლართივით შემოგახვევ ტკივილის ზიდივით გადალილ ზურგზე. ნულარ შეიცვლი ბუდეს, სანამ შენს თვალებში ერთდება ცა და ზღვა, სანამ ნამწამებს ჯებირებით არ შეკრავ და ჩემი თითები არ დაგჟანგდება გაყინულ წელზე.

პურის ნახევარს ქუჩის ძალი მალავს მინაში (უნდა შემხედოს მისი ნერწყვით ხელებდაბანილს, მაღლიერების თუ ჯერ კიდევ არა სწამს ვინმეს), ადრე დაგნერდი, რომ მეც შიშებს ასე ვმალავდი, ახლა არ ვმალავ, მე მათ პეპლის საჭერით ვიჭერ. დილის შვიდია, რაც ნიშნავს, რომ უკვე დასრულდა — ლამპიონების ჩაქრობიდან გათენებამდე მოპარული დრო.

არ მომწონს, როცა ვერშემდგარ მამებს ლექსებს უწერენ, ისინი არც ომში დაიხოცნენ, არც ბავშვის გადარჩენისას,



უსაძირკვლო სახლებით მაშინ დაინგრენენ, როცა მუხლნატკენს ნაჭრის კატიო ხელში გეძინა. და, როგორც იქნა, თუ ფრჩხილების ჭამას მოეშვი, სასაყვედურო წერილები ისეთივე უადგილოა, როგორც სიტყვა „მამიკო“...

ბაფთები შემეყვარდა — თეთრი აბრეშუმის ბაფთები. დატალღულ თმას თითქოს თითებით მიკრავ... სიცილის დროს აბრეშუმის შეხებას ვგრძნობ კისერზე, თითქოს მეყრდნობი მზეზე გამთბარი ხელებით მხრებზე. ზამთრის ზღვასავით მარტო რომ რჩები, მზე შენში ჩადის... და მე ნაპირთან შენი თვალისფერ კენჭებს ვაგროვებ, თუ ადიდები, გახსნილ პერანგზე გადამექცივი, თუ არ იღელვებ, შენს ტალღებში ტკბილად ვიძინებ... კიდევ სიმშვიდე შემეყვარდა, შენი სიმშვიდე... და სანამ შენ ხარ, მე გაუძლებ სიციხეს და გვაღვებს, როგორც შენს გულზე აყვავებული გაზანიები.

წარმოიდგინე, თუმცა შენ ჰო ომის ბავშვი ხარ, წარმოდგენები ჩვენ გვჭირდება მავთულებს მიღმა...

ბავშვებს რომ ჩვენი ღმერთი გვყოლოდა, პირველადქმნილი ფერისა და თეთრი ხელებით, არ დაუშვებდა, „ომობანა“ მეთამაშა, როცა ბიბლიასავით იზრდებოდა შენი ნაფეხურებიდან ომი. არ დაუშვებდა, სილაში ტანკებით მეთამაშა, როცა შენ ნამდვილი ლულიდან გისროლეს, როგორც ბრმა ტყვია, რომელიც ჩემთან ვერ აფეთქდა. მინდა, გითხრა, რომ ასე გიპოვე, — მტრედივით, ნითელ ნაფეხურებით, მათ მოვეყვებოდი და მანვიმდა ნეკერჩხლის წვიმა. მაგრამ ვერ ვიტყვი, რადგან ხელებს, თვალებს მოვდევი. შენი ხმა მთელი სამყარო ღირდა. ღმერთი მყავს მონმედ (ხმის ამომღები მაინც არ არის...).

მე შემეყვარდი! (ისე უღერს, თითქოს ომგამოვლილ ბავშვს ომობანას თამაშს გთავაზობ...).

სარკაში თვალი საკუთარ ორეულს მოჰკრა. მიტკლისფერი ედო. გუგები მურაბის კაკლებით უპრიალებდა. აცახცახებული ხელები სახეზე ჩამოივსა. ოფლით დანამულ ღანვებზე სისხლი ლურსმული წარწერებით ჩამოეხაზა. დიდხანს უყურა თავს ჯერ ზიზილით, მერე — სასონარკვეთით; ბოლოს — მკვლელთა, დაიღრიალა და ამ ხმას თან გული ამოაყოლა. მოკვდა. უკვე მკვდარმა აბრეშუმის კაბა გაიხადა, საშხაპეში შეაბიჯა და სისხლიანი სახე ძლიერ წავლს მიუშვია. საბაზანოში ორთქლი ჩამოწვა. რძისფერში ჩაიძირა მისი ღონემიხდელი მკლავები, წაბლისფერი, მოკლედ შეჭრილი თმა, ფიდაისის „დაჭრილი ამაზონივით“ დაკუნთული ფეხები, მსხლელებით ძუძუები ჯერ ნაწილ-ნაწილ დაიშალა, მერე კი გაქრა.

მატარებელი გზას ნისლში გახვეულ მთებს შუა მიიკვლევდა. წვიმდა. რცხილისა და ნაბლის ხეები ერთმანეთს ენაცვლებოდა. ლიანდაგები შუა ტყეში გადიოდა. ტყეში უინჟლავდა. საღამოს 5 საათსა და 20 წუთზე ბაქანზე ჩამომდგარი მატარებლის მე-3 ვაგონში შევიდა. გამცილებელს ელექტრონული ბილეთი და პირადობა აჩვენა, მეორე სართულზე ავიდა და 83-ე ადგილი მოძებნა. ფანჯარასთან მხიარული სახის, ასე ოცდახუთ წლამდე, ბიჭი იჯდა. მკლავზე ურობოროსის ტატუ ჰქონდა. ეს ჩემი ადგილიაო, უთხრა და ტატუზე მოურიდებლად მიაჩერდა — გველი ტანით წრეს ხაზავდა, კუდი დაფრინო პირთან მიეტანა და სადაცაა თავისივე თავის ბნელ ჯურღმულში ჩაუძახებდა. ბიჭი მაშინვე წამოხტა და ადგილი დაუთმო. ფანჯარასთან დაჯდა და მატარებელიც დაიძრა. ერთხანს მის ჩუქჩუქს უსმინა, ძილი მალევე მოერია. თავს გაუძალიანდა, მაგრამ მთელი ღამის უძილოს მაინც ჩაეძინა. გამოღვიძებულმა ფანჯრიდან ტრიალი მინდორი დაინახა. აღარ წვიმდა. მზისგან გადახუნებულ ბალახს ქარი არხევდა. არ ახსოვდა, მატარებელში როგორ აღმოჩნდა. წამით თავი უწინდებურად ბედნიერ ეგონა, მაგრამ ყველაფერი ერთბაშად გაახსენდა და გულმუცელი ნალვებმა აუნვა.

— კევი ხომ არ გინდათ? — ჰკითხა გვერდით მჯდომმა და კრიალა, უდარდელი თვალებით შესხედა.

— არა, გმადლობთ, — ჩაიბურღუნა და ბიჭის ადგილას ყოფნა ინატრა. ჩანთიდან ტელეფონი და ყურსასმენი ამოიღო. დევიდ ბოუის „I'm Deranged“ ჩართო და ფანჯრის მინას საფეთქლით მიეყუდა. მატარებელმა პურის ოქროსფერ ყანას ჩაუარა, ხორბლის თავთავებში შეყუყული მწყერები დააფრთხო. შორს მთიდან მთაზე ცისარტყელა გადამდგარიყო. „No return, no return I'm deranged“, სიმღერის სიტყვები ჩურჩულით გაიმეორა.

ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა. უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს, ჩემთან უნდა დარჩეო, უთხრა ერთხელ ღიმილით ედიშმა. თბილისში იყვნენ. პეკინის ქუჩაზე. ედიშის ძველ სახელოსნოში. სახელოსნო, უზარმაზარი, მრგვალფანჯრებიანი ოთახი — ცხრასართულიანი კორპუსის ბოლო სართულზე იყო. იქ ატარებდა ედიში მთელ დღეებსა და ზოგჯერ — ღამეებს. დაუღალავად ხატავდა პალეოლითის ვენერების მსგავს შიშველ ქალებს. ელიც იმ მრგვალფანჯრებიან ოთახში გაიცნო. იქვე შეუყვარდა. დიდხანს ხატავდა ჩაფიქრებული ლამაზი ბორცვების მსგავს მის ყვრილობებს, ნუმიებერ თვალებს, წელამდე დათრეულ ნაბლისფერ თმას, გრძელი თითები, დაკუნთულ ფეხებს, ატმებივით ძუძუებს. დაუმთავრებელ ნამუშევარს პირით კედლისკენ მიაყუდებდა, თეთრად დაგრუნტულ ახალ ტილოს გადმოიღებდა და ელის ხატვას ხელახლა იწყებდა. ახსოვს, ისე მიეჩქარებოდა ედიშთან სახელოსნოში, როგორც მწყურვალე ირმების გუნდს ანკარა წყაროსკენ. კაფე „ლა სტრადას“ კარს გამოიხურა და, ვიტრინასთან ატუშულ იოშის სახლში წაიყვანდა, 2 ნომერ ტრამვაიში ჩაჯდებოდა, მე-9 სართულამდე კიბეზე შეუსვენებლად აირბენდა, კარს დაუკაკუნებლად შეაღებდა, ჩანთას იატაკზე დააგდებდა, გზადავზა ტანსაცმელს იხდიდა.

ასე გრძელდებოდა თვეები, სანამ ერთიმეორის დაჟინებული ცქერით ერთმანეთი არ შემოეყვარათ.

იმ დღეს კი ედიშმა ღიმილით უთხრა, უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს, ჩემთან

უნდა დარჩეო და ელიც სიხარულით დარწამრგვალფანჯრებიან სახელოსნოში — მარადიულ შუადღეში.

მატარებელი გვირაბში შევარდა. სიმღერა ხელახლა ჩართო და თვალები დახუჭა. 20 წლის ელი დაინახა — კოპლებიანი საცვლის ამარა სახელოსნოს საბაზანოში სარკის წინ კბილებს რომ იხეხავდა. ედიში ზურგს უკან ედგა, წელსა და მკერდზე უღუტუნებდა. საღებავებით დათხუპნილი მისი ხელებიდან დასხლტომას ცდილობდა, თან რაღაცას გაურკვევლად ბურღუნებდა, აქაფებული კბილის პასტა ნიკაპზე თეთრი წვერივით ჩამოსდიოდა. ოთახში ჩაიდანი დადულდა, მატარებლის საყვარელით გაბმულად უსტვენდა. ლურჯ მაგიდაზე ორცხობილები, ქილით თეთრი ბლის მურაბა და ჩაის ჭიქები ელაგა. ედიშს ხელიდან დაუსხლტა და აბაზანიდან გავარდა. თავისთვის ღიღინებდა: „No return, No return. I'm deranged“, მაგრამ თვალი მის ფეხდაფეხსა-

— ამ თმებს ყველაფერი ახსოვს, ყველაფერი. თურმე თმასაც ჰქონია მესხიერება, — ჩურჩულებდა, ლოყებზე კი ცრემლები დაპალუპით ჩამოსდიოდა.

მატარებელი გვირაბიდან გავიდა და სიმღერაც დასრულდა. აღარ ტიროდა. გვერდით მის თანამგზავს ჩასძინებოდა, მშვიდად სუნთქავდა. წინა სავარძლებზე ექვისოდე გოგო-ბიჭი ხორხოცებდა. კამათობდნენ — პოლიგამიურები იყვნენ თუ მონოგამიურები ქართველი მეფეები. ვერ შეთანხმდნენ და საუბრის თემა შეცვალეს. ახლა გამოცდებზე გადაედინნენ. ეტყობა, სტუდენტები იყვნენ. ცხარობდნენ, ხუმრობდნენ, იცინოდნენ ლალები ჩანდნენ, ოცნებითა და იმედით შემოდგომისპირზე ვამლის ახალგაზრდა ხეებივით დახუნძლულები. შუბლი მატარებლის ფანჯარას მიაყრდნო და თვალები დახუჭა.

მატარებელმა სიმინდის ყანები უკან ჩამოიტოვა და სოფელში შევიდა. მოხრეშილი, მტვრიანი გზის პირას ორსართულიანი, ფართოაივანიანი სახლები იდგა. ეზოებს ერთმანეთისაგან ხის დაბარლი ღობეები ყოფდა. ახასხასებულ ბალახზე ყველაგან პორტენზიების ბუჩქები ყვავდა. სოფლის ბოლოში გზაჯვარედინზე კაცი იდგა, მობილურზე საუბრობდა. გვერდით ორი ბავშვი ამოსდგომოდა. ჭრელკაბიან გოგონას ერთი ხელი თავისზე პატარა, ანთლევულლოყება ბიჭუნასთვის ჩაეკიდა, მეორეს კი მატარებლის მგზავრებს თამამად უქნევდა. ბიჭს გაოცებისაგან პირი ღია დარჩენოდა, ბუნჩულა ხელი მასაც ჰაერში აენია, თუმცა დაქნევა ვეღარ გაებუდა. მათ დანახვაზე ელის სახეზე ღიმილმა გადაურბინა. მოუნდა, ბავშვებს მისალმებოდა, მაგრამ თავიდან ხელი ვერ დაიმორჩილა, მერე კი უკვე გვიანი იყო — მატარებელმა ჩაიარა და ბავშვებიც უკან ჩამოიტოვა. მოეჩვენა, რომ გზაჯვარედინზე თვითონ იდგა, ჭრელკაბიანი პატარა ელი ხელს გამალებით უქნევდა და გული დასწყდა, რომ მასთან მისალმების ეს ერთადერთი შემთხვევაც გაუშვა.

13 წლის იყო, სიკვდილს პირველად რომ შეხვდა. ახსოვს, აგვისტო იწურებოდა. მანამდე მთაში, სოფლის საზაფხულო სამოკვარზე, მეხი ჩამოვარდა და სამასამდე ცხვარს სული ერთიანად გააფრთხოვინა. გამთენიისას ბინიდან გასულ მწყემსებს ერთმანეთზე მიწყობილი, ფეხებამევერილი, გაბერილი ცხვრებით მოფენილი მინდორი დახვდათ. მერე შავთვალა დაიკარგა, სადღაც გაქრა. ასე იცინო ძაღლებმა, უთხრა მეზობლის ბიჭმა, სიკვდილის დრო რომ მოუვათ, სახლიდან გარბიან, პატრონებს ემალეებიანო. არ დაუჯერა, შავთვალას მაინც ყველგან ეძებდა. იმ ღამეს ესიზმრა, რომ ტრიალ მინდორზე ზღვასავით აღელვებულ ოქროსფერ ბალახში იდგა. არ იცოდა, ხესავით მარტოსული იქ როგორ აღმოჩნდა. თავის თავს თითქოს სარკეში ხედავდა: თეთრი კაბა ეცვა. გაშლილ, ნაბლისფერ თმას ქარი უფრიალებდა. თავზე გვირილების გვირგვინი ედგა. ხელში ცელი ეჭირა. ბალახს თიბავდა. პატარა გოგო აღარ იყო, ტანი ალვის ხესავით აეყვარა. ღიღინებდა. მაგრამ ერთხელაც, ცელი მთელი ძალით რომ მოიქნია, სისხლის წვეთები თეთრ კაბაზე წითელი ვარსკვლავებივით შეეშხეფა. დაიკვტა, ცელი მინაზე დააგდო და უკან გადახტა. ბალახზე შუაზე გამობილი გველი დაინახა...

მეორე დილას მეზობელს — 80 წელს მიტანებულ ეკა ბებოს — ტყეში გველის წამალზე გაჰყვა. გვიანობამდე ეძებდნენ მიუვალ ადგილებზე ამოსულ ლურჯ, მზისგულა ყვავილებს, რომ მერე ეკა ბებოს მზეზე გაეხმო, ყვითელი გულები ფრთხილად ამოეცალა, დაენაყა, დათვის ქონში აერია და ჭრილობის შესახორცებელი უეზარი მალამო მოეშხადებინა. გზაში ეკა ბებო უყვებოდა, რატომ ეძახდა ამ წამალს გველისას. თურმე პირველად გველს უსწავლებია ის ადამიანისთვის. ამ ადამიანს დიდი ხნის წინ უცხოვრია და ეკა ბებოს პაპის პაპა ან პაპის პაპის პაპა ყოფილა. თიბვისას პაპას გველი შუაზე გაუნყვებია, მაგრამ საიდანღაც მისი სატრფო გამოსრიალებულა, ლურჯი ყვავილი მოუტანია, მომაკვდავისთვის მისი მტვერი მიუსვამოუსვია და ისიც მაშინვე გაცოცხლებულა. პაპას ყვა-

ნესტან ეგეტაშვილი ზღაპარი სიკვდილზე



აბაზანოდან გამოსულ გაფითრებულ ედიშს მოჰკრა და მაშინვე დაედმდა.

— ორსულად ხარ, — ხელში ორსულობის ტესტი ეჭირა და სახეში შესქქებოდა.

ახლაღა გაახსენდა, წელან აბაზანაში დატოვა, პასუხს ორი წუთი უნდა დალოდებოდა, მაგრამ გადაავიწყდა.

— მატყუებ? — ღიმილით ჰკითხა.

ტესტი უნმოდ გაუნოდა. ორი წითელი ხაზი მის თვალწინ ბავშვის დახატული ზღვის ტალღებზევით აღელდა. თავბრუ დაეხვა და უნებურად სახეზე ხელები აიფარა. უკან დასახევი გზა აღარ გვაქვს, ჩემთან უნდა დარჩეო, ედიშმა ჩუმად უთხრა და საღებავებით გათხუპნილი ხელები მკლავებზე მოჰკიდა. რომ არ ნაქცეულიყო, ხის სკამზე ჩამოჯდა. ჩაიდანის ისეუ გაბმულად სტვენდა. ფანჯრები დაეორთქლა და ახლა კედელზე დაკიდებული საათის შუშას ფარავდა. ექვს ათი აკლდა. ედიშმა მის წინ ჩაიმუხლა, თვალებში ჩახედა და, მიწადა, სულ ერთად ვიყოთო, უთხრა. თვალებიდან ცრემლები წასკდა, მანაც დაიჩოქა და ედიშს ისე ძლიერად შემოეხვია, ატმებივით მრგვალი ძუძუები ეტკინა. მერე ფეხზე წამოხტა და აბაზანაში გავარდა. გაკვირვებული ედიში უკან მიჰყვა. სარკის წინ იდგა და დიდი მაკრატლით თმას ძირში იჭრიდა.

— რას შვებ, შეიშალე? — ედიშმა ამის თქმალა მოახერხა.

ვილი დაუმასხვორებია, მერე კი შვილები-სთვის და შვილთაშვილებისთვის უსწავლევია. თითქმის ისე, როგორც ჩემს სიზმარში, ფიქრობდა ელი. უხაროდა, სიზმარი რომ აუცხადდა.

შუადღემდე ის და ეკა ბებო დამშრალ ხევეს მიუყვებოდნენ, ცოტას დაისვენებდნენ, წაიხემსებდნენ და ისევ გაუდგებოდნენ გზას. გველის ყვაილი ხევის პირებსა და კლდის კალთებზე იზრდებოდა. ელის გარეშე მოხუცი ვერაფერს გახდებოდა. მადლობას პატარა ქალბატონს იმით უხდიდა, რომ ხან თხილი ჩაუწხრილალებდა მუქში, ხანაც ტყლაპში გამოხვეულ ნიგვზის ჩურჩხელას მიართმევდა.

ერთ დღესაც ელიმ დახმარების სანაცვლოდ მოხუცს ცოტადენი მალამო მოსთხოვა. თუკი ეკა ბებო ადამიანებს მკურნალობდა, ელიმ ცხოველებისა და ფრინველების მოვლა დაიწყო. ჯერ მგლისგან დაკბენილ შავთვალას თათი მოურჩინა, მერე ღობის მავთულებში გახლართულ ფეხმოტეხილ ინდაურს უმკურნალა. ერთხელ ფრთამოტეხილი ბულბული გადაარჩინა, მთელი ზამთარი ჭრილობაზე გველის მალამოს უსვამდა, გაზაფხულის ერთ დღეს კი ოთახში აღარ დახვდა — ფანჯარა ღია იყო და მიხვდა, რომ გაფრინდა. დობტური უნდა გამოხვიდე, ნამდვილი დობტურიო, ეუბნებოდა ეკა ბებო და ნაბლისფერ თმაზე დამტკნარი ხელებით ეფერებოდა.

იმ დღეს ტყეში ერთი გველის ყვაილიც ვერ იპოვეს, გულდაწყვეტილი მიაბიჯებდნენ ელი, უკან კი ჯვრით ეკა ბებო მოჰყვებოდა. ის იყო წყაროსთან მივიდნენ, რომ საიდანაც თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრწვერა მოხუცი გამოჩნდა. კაცს ცხენზე შავით მოსილი ქალი შემოესვა. ქალს გრძელი თმა გაეშალა, სახე არ უჩანდა, მოხუცის მკლავებისგან განთავისუფლებას ცდილობდა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ცხენმა წყარო დგაფუნით გადაიარა და ხშირ ტყეში გაუჩინარდა. უნდოდა, ეყვირა, ხელი გაუშვი, ვინ ხარო, მაგრამ ვერ გაბედა. შემინებული ცხენს უკან გამოეკიდა, მაგრამ, აბა, რას დაეწოდა. ცხენმა ქარივით ჩაიქროლა და გაუჩინარდა. უკან რომ მიბრუნდა, წყაროსთან დაჩოქილი ეკა ბებო დაინახა, თავი ძირს დაეხარა და ცხარე ცრემლით ტიროდა. მისი ცრემლები ანკარა წყაროში წვიმის წვეთებით ეცემოდა. ვინ იყო, ეკა ბებო, მითხარი, იცხანიო, მოხუცს მიეჭრა, მასთან ერთად ჩაიმუხლა და კაბის კალთაზე მოქაჩა. მაგრამ ეკა ბებომ ხმა არ გასცა, მხოლოდ სევდიანი თვალებით გადმოხედა.

ამ ამბავმა გული დაუდარდიანა, თან უკვდავების ერთი ყვაილიც რომ ვერ იპოვეს. უკვე ბინდი იყო, ეკა ბებომ სახლამდე რომ მიაკვლია და უსიტყვოდ გამოემშვიდობა. ლუმელთან მოწყენილი მოიკუნტა. დედამ რძე გაუთხო და ჩაფიქრებულს ხელებში შეაჩეჩა. ეკა ბებო ხომ არ მოკვდებოდა, ფიქრებიდან გამოეჩვენა და დედას შეეკითხა. ყველაფერი ღვთის ნებააო, ამოიჩინა რაღაცა და დედამ. რომ ნახა, ელი ისევ დალონებული იჯდა, ეკა ბებო ყოჩაღია, ტყე-ღრესაც ძველებურად უვლის, ჯერ მაგის სიკვდილი შორს უნდა იყოსო, უთხრა და გულში ჩაიხუტა. მაშინვე დაწყნარდა. რძე დაღია და დასაძინებლად დაწვა. დილით გაციობული დედა ლოგინში მოკუნტებულ იპოვა. გაახსენდა, ცხენზე ამხედრებულ თეთრწვერა მოხუცს შავთვანი ქალი როგორ მიჰყავდა. ის ქალი თურმე დედამისი იყო, გაშლილი შავი თმით, შავი კაბით, გამხდარი ხელებით სიკვდილს რომ ეჭიდავებოდა, სიკვდილს რომ ვერ მორეოდა.

მატარებლების საყურებლად სახლიდან დილაუთენია იბარებოდა. თან მიჰყავდა შავთვალაც. ლიანდაგებთან ჩამოჯდებოდა და მატარებელს საათობით ელოდებოდა. გვერდით თმაბურძენელ შავთვალა ეჯდა და ისიც იცდიდა. როგორც კი ლოკომოტივის ხმას გაიგონებდა, ფეხზე წამოხტებოდა და მატარებლის ფანჯრებში მგზავრებს ხელების ქნევით ესალმებოდა. შავთვალა კი ალტაცებით ყვებოდა. მის სოფელში თითქმის არასოდეს ჩერდებოდნენ მატარებლები. გაივლიდნენ, სახმაურებდნენ ხეობას და თვალს მიეფარებოდნენ. თუმცა ის ძველისძველი სადგური ელისთვის მაინც დელფოს სამისნოს ჰგავდა, სამყაროს ჭიბი იყო. ვაგონის ფანჯრებს თვალეზაციმციმებული შეჰყურებდა. ახარებდა ნამიერად თვალმოკრული უცნობები: ერ-

თმანეთს ჩახუტებული შეყვარებულები, ფანჯრებს ცხვირმიჭყლეტილი ბავშვები, მგზავრობით დაღლილი მოხუცები, ფერად-ფერად კაბებსა და ლამაზ ქუდედები გამოწყობილი ქალები, გალიაში გამომწყვედი თუთიყუშები, საუბარსა თუ ქეიფში გართული მამაკაცები. ჩავლილი მატარებლის ფანჯრები მისთვის კინოს ჰგავდა.

მაგრამ დედის სიკვდილის მერე აღარც მატარებლების სანახავად წასულა, აღარც ეკა ბებოს გაჰყოლია ტყეში გველის ნამაღზე. მხოლოდ წყაროსთან თუ მივიდოდა, მის პირას ჩამოჯდებოდა და თეთრ ცხენზე ამხედრებული თეთრწვერა მოხუცის გამოჩენას ნატრობდა. შიშისაგან გული უსკვებოდა, ტანზე ყრუანტელი უვლიდა, მუცელი უზუყუყუებდა, მაგრამ უნდოდა, ეკითხა — რატომ მაინცდამაინც დედამისი?

მატარებელში ბიჭები და გოგოები ჩიფსებს ახრამუნებდნენ და თან კოკა-კოლას აყოლებდნენ. ხმამალა საუბრობდნენ საყვარელ საქმილებზე. ერთს ყველაფერს მწვადი ერჩია, მეორეს — შემწვარი კართოფლი. ხინკალი, ხინკალიო, გაიძახოდა მესამე და დანაჩრეხების ხმის გადაფარვას ცდილობდა. უკანა სავარძელზე მოკალათებულ გოგონებს გაღვიძებოდათ. ერთ-ერთი ტელეფონზე საუბრობდა, ეტყობა, შეყვარებულს ეკამათებოდა. ბიჭო, ნუ აფრენო, ხშირ-ხშირად ამოიკვილებოდა ხოლმე და ისევ ჩურჩულზე გადადიოდა. ურობორისის ტატიანა ბიჭს მუხლებზე ნოუ-თბუქი დაელო და ფილმს უყურებდა. ელის პერსონაჟების ხმა არ ესმოდა, ხედავდა მხოლოდ, რომ მოციხფრო ფურგონთან ორი მანქანა იდგა. ჯიბიდან შავგვრემანი მამაკაცი გადმოვიდა და ფურგონისკენ წავიდა. კართან ქერა ქალი (კიმ ბესინჯერი) ელოდებოდა. უკან მოტიტელეული მთები ჩანდა, წინ რალაც ბუჩქნარი, მგონი, სალაზარიისა. მომდევნო კადრში კიმ ბესინჯერი მექსიკელ საყვარელთან ერთად ლოგინზე იწვა. შიშვლები ერთმანეთს შეჰყურებდნენ. მამაკაცს ერთი ხელი თავქვეშ ჰქონდა ამოცებული, მეორე ქალის ყურის უკან ედო, ცერა თითით მარმარილოსავით ყვრიდა ზეფერებოდა. საუბრობდნენ. კაცი რალაცაში არწმუნებდა, ქალი იმედინადა შესცქეროდა. სიტყვები, რასაც კაცი ეუბნებოდა, აბედნიერებდა. ეს ფილმი ადრე ნანახი ჰქონდა, ვიღმთან ერთად უყურა. ქალი და კაცი საყვარლები იყვნენ, ორივეს ჰყავდა შვილები, მეუღლეები. ერთმანეთს მალულად ფურგონში ხვდებოდნენ. ამ მომენტში კაცი, მგონი, სიკვდილზე ელაპარაკებოდა, მის დამარცხებაზე არწმუნებდა. მერე ერთმანეთს ტყჩებში აკოცეს.

— რატომ ხარ ნერვებში მოცული, მოხდა რამე? — ეკითხებოდა მატარებლის უკანა სავარძელზე მეგობარი მეგობარს. ეტყობა, შეყვარებულთან ლაპარაკი უკვე დაესრულებინა.

ზუსტად ამ დროს ფილმში ხრიოკ მინაზე დაგდებულ გაზის ყვითელ მილს ცეცხლი წაეკიდა. მილი ფურგონს უერთდებოდა და ცეცხლიც იქით მიიწვდა. ფურგონის გარეთ, სალაზარიის ბუჩქებში, ახალგაზრდა გოგო იმალებოდა, ცეცხლს გაფაციცებულ უთვალთვალებდა. მგონი, ეს გოგო კიმ ბესინჯერის შვილი იყო და ცეცხლიც მან გააჩინა.

— მთელი კვირა წასულია და ერთხელაც არ დაურეკავს, — შესჩიოდა ელის ზურგს უკან მეგობარი მეგობარს, — ვიცი, პრობლემები აქვს, მაგრამ თუ ჩემთვის დროს ვერ ნახულობს, მაშინ კარგად იყოს. მე ხომ არაფერს ისეთს არ ვთხოვ, მხოლოდ ყურადღებას.

ფილმში ფურგონს ცეცხლი წაეკიდა. ბუჩქნარში დამალული გოგონა დაიძაბა და წელში გაიმართა.

— მინდა, უბრალოდ დამირეკოს, მითხრას, რომ ვენატრები, რომ ვუყვარვარ, სხვას რას ვთხოვ?

ფურგონში კიმ ბესინჯერი და მისი მექსიკელი საყვარელი პირისპირ იწვნენ და ერთმანეთს ეკვროდნენ, სექსი ჰქონდათ.

— მართალი ხარ, — კითხვაზე უპასუხა მეგობარმა მეგობარს, — საყვარულს მორწყვა სჭირდება, როგორც ყვაილს, რომ არ გახმეს.

მიშველი ქალი და კაცი ერთმანეთს შესცქეროდნენ, კაცს ხელი ქალის კისერზე ედო და სიამოვნებისაგან თვალებს ხუჭავდა. გოგონა ფურგონს დაძაბული შესცქეროდა. სახეზე შიში და სასონარკვეთი-

ლება ენერა, რალაცას ჩურჩულებდა, ალბათ თავის საქციელს ნანობდა. ფურგონი ცეცხლის ალში გაეხვია. იქვე გაზის ბალოები რიგრიგობით აფეთქდა. ცეცხლი და კვამლი ცაში აიჭრა. გოგონა უკან, სალაზარიის ბუჩქებში, გადავარდა. მთელი ფურგონი ჰაერში აინია. ყველაფერი ცეცხლის ალში გაეხვია. „ვისურვებდი ასეთ სიკვდილს?“ — ელიმ თავის თავს ჰკითხა და მატარებლის ფანჯრიდან გაიხედა, „ალბათ — კი, მაგრამ მხოლოდ ედიშთან ერთად... და ედიში? ალბათ — ისიც... თუმცა ვისთან ერთად?“ ფიქრმა დაღალა. განსჯის თავი აღარ ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს, მკვდარი იყო. იგივე სიმღერა ჩართო, თვალები დახუჭა და სავარძელზე მიესვენა.

რომ მომეხერხებინა და თეთრწვერა მოხუცის მკლავებისგან დედაჩემი დამეხსნა, ნეტავ, მაინც თუ მოკვდებოდაო, ამას ეკითხებოდა თავს სიკვდილთან შეხვედრის შემდეგ მთელი გოგოება. „წინ უნდა გადავდგომოდი, ცხენს ფეხებში ჩავვარდნოდი, ქვები უნდა დამეშინა, დედაჩემისთვის კაბაზე ხელი უნდა მეტაცა, ანდა ეკა ბებო სადღა იყო, იმას მაინც მოექნია თავისი ჯოხი“ — თავს იდანაშაულებდა. თუმცა იცოდა, ქარივით ცხენს ვერც ის და ვერც ეკა ბებო ვერ შეაჩერებდა. ალბათ მუხლებზე დამხობილი დედაბერიც მაშინ თავის უძლურებას დასტეროდა.

დედის სიკვდილის შემდეგ დაობლებული შტოლის ნუკრივით გაუბედურდა. მარტოდმარტო იყო, როგორც ტრიალ მინდორზე ამოსული ალვის ხე. ერთ დღესაც შორეულმა ნათესავმა მოაკითხა და ატირებული თავისთან სულ ძალისძალით წაიყვანა, ისევე როგორც დედამისი — სიკვდილმა. კაცი სოფლიდან მოშორებით ზედ ტყის პირას ცხოვრობდა. ცოლი ჰყავდა და პატარა შვილები. მონადირე იყო. ზოგჯერ თევობით იკარგებოდა. უკან სისხლიანი, ხორციტ გამოტენილი ხურჯინით ბრუნდებოდა. ცოლი, როცა ქმარი სანადიროდ იყო წასული, თავის ცინგლიან ბავშვებს მიხედებოდა და უმოწყალოდ სცემდა, ჯავრს მათზე იყრიდა. ქმარი რომ დაბრუნდებოდა, აღარ სცემდა, მხოლოდ წყევლიდა. მონადირე, სანამ ისევ წავიდოდა და ტყელერეში გაუჩინარდებოდა, ბუხართან იჯდა, არაყს ელიდა და ზედ ჯიბის მწვანე აყოლებდა. ელი უცხო სახლში სულ ფეხაკრეფით, აზრდითივით დადიოდა. როცა მონადირის ცოლი ტყეში შეშაზე ან სოკოზე იყო წასული, ბავშვებს უვლიდა, ზანდა, აჭმევდა, სახლს ალაგებდა, ჭურჭელს რეცხავდა. ყველაფერს მაინც თხები მწყემსებდა ერჩია, რადგან ცოტა ხნით სახლიდან გადიოდა და მარტო რჩებოდა. ჩანთაში თავის სახლიდან წაღებულ ერთ რომელიმე ფურცელდატალღულ წიგნს ჩაიდებდა, სანამ თხები მაყვლის ბარდებს იყვინდნენ შესეულეები, ქვავი ჩამოჯდებოდა და კითხულობდა. კითხვა რომ მოეზრდებოდა, ფიქრობდა, ზოგჯერ ოცნებობდა. ამასობაში იცვლებოდა, დღითიდღე ლამაზდებოდა. ტანი ალვის ხესავით აიყარა, გახდა, მუცელი შეუვარდა და ნეკნები გამოუჩნდა. მენჯის ძვლები ლამაზად ამოენია. მკერდი და თეძოები დაუმრგვალდა. შავი თვალები ფიქრისაგან დაუსვენებინდა. თმა კიდეე უფრო აუბზინვარდა. სარკეში თავისი თავი მოსწონდა, უხაროდა. ერთი ეგაა, გული სწყევლობდა, დედამ ასეთი რომ ვერ ნახა.

სიკვდილთან შეხვედრის შემდეგ თითქმის არ ლაპარაკობდა, თითქოს ენა გადაეკვალა.

ერთხელ 13-14 წლის მუნჯი გოგო ესიზმრა. გოგონას გრძელი კაბა ეცვა და ფეხდაფეხ დაჰყვებოდა, ტუჩებს მანჭავდა, რალაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ პირიდან მხოლოდ ხრიალი ამოსდიოდა. მისი ეშინოდა, გულამოსკვნილი ტიროდა, რომ აღარ დაენახა, დედას ეფარებოდა, მაგრამ მუნჯი გოგო მაინც არ ეშვებოდა, ფეხდაფეხ დაჰყვებოდა, კაბაზე ექაჩებოდა, შემომხედო, პირს ფართოდ აღებდა და საშინლად იმანჭებოდა. რომ გაიღვიძა, ოფლში ცურავდა. ეს სიზმარი წლების მერეც არ ავინწყებოდა. იმ მუნჯი სახედამანჭული გოგოს გახსენებაზე ტანზე ყრუანტელი უვლიდა.

სექტემბრის ბოლოს მონადირეს ორი მანქანით ამოაკითხეს. ქალაქიდან იყვნენ სანადიროდ ამოსულები. მონადირე მეგ-

ზურად უნდა წაჰყოლოდა. ის ღამე მათთან გაათიეს. ეზოში კარვები გაშალეს, საძილე ტომრები მოამზადეს, მერე დიდი კოცონი აანთეს, მონადირის ცოლს ხელში ფული მიაჩერეს და საქმელი მოგვიმზადეო, სთხოვეს. მონადირის ცოლმა დამარილებული ჯიბის ხორცი გარეცხა, დაკეპა, საწნელებითა და მწვანელით შეაზავა. ცომი მოზილა, გააბრტყელა, ჭიქის პირით თანაბარ წრეებად დაანაწილა და ხინკალი გაახვია. როცა გამზადდა, ოხშივარადენილი ცხელ-ცხელი ხინკალი ელის დიდი სინებით სტუმრებთან გაჰქონდა. ანწლის არყის ცარიელი ბოთლები უკან შემოჰქონდა, ავსებდა და ისევ სტუმრებთან მიაბრუნებდა. უცნობი, რომელსაც ხელებზე ოდეკოლონის მძაფრი სურნელი ასდიოდა, თავიდანვე მონუსხულივით შეჰყურებდა. არაყმა თანდათან გაათამამა, ეს რა ვარსკვლავი გყოლიათ სახლში გამომწყვედილო, მონადირეს ხშირ-ხშირად ეუბნებოდა, გამაატანეთ, ჩემთან წავიყვან, ცივი ნიავს არ მივაკარებ, დედოფალივით მეყოლება, ამისთანა მზეთუნახავს აქ რა უნდა, ეს სილამაზე ქვეყანამ უნდა ნახოსო. მონადირე მის სიტყვებზე იცინოდა, დროდადრო უტილო პირს დააღებდა, რალაცის თქმას დააპირებდა, მაგრამ უცნობს ვერაფერს ეუბნებოდა. გამთენიისას სანადიროდ წავიდნენ. ძაღლებიც თან წაიყვანეს, მარტო იოში დაინუნეს, მთაში სანადიროდ არ გამოგვადგება ფრინველზე დაგეშობი ძაღლი და სახლში დატოვეს. უცნობმა იოში ელის ჩააბარა, მარტო შენ განდობო, ჩასაჩურჩულა. ელის თავიდან მოსწონდა კიდეე უცხო მამაკაცის ასეთი ყურადღება, უკვირდა, სარკეში ხშირ-ხშირად იცქირებოდა, მართლა თუ ასეთი ლამაზი ვარო, თავს ეკითხებოდა, იოშის გვერდიდან არ იცილებოდა.

მონადირეები სამი დღის მერე დაბრუნდნენ. იმ დღესაც ეზოში გაშალეს კარვები, ცეცხლი დაანთეს, ისევ ხინკალი მოითხოვეს. იოში პატრონს კუდის ქიცინით შეხვდა. მან კი ელი ჩაიკრა გულში, ოდეკოლონიანი ხელები წელზე შემოხვია, ჩემო ვარსკვლავო, უთხრა და შუბლზე აკოცა. ისევ გაჰქონდა ელის სტუმრებთან ხინკალი დატვირთული სინები, არყით სავსე ბოთლები, ცარიელები კი უკან შეჰქონდა. როცა კაცების ხორხოცი მიწვდა და ყველა თავის კარავში შეიყუჟა, მონადირის ცოლმა ეზოში ჭურჭლის ასალაგებლად გააგზავნა. გაქონდა თევზები ერთმანეთზე აწყობდა, როცა საიდანაც უცნობი გამოჩნდა და ზურგიდან მოურიდებლად შემოეხვია. მოგწონვარო? ჰკითხა. შემინებულმა თავი დაუქნია და ძლივს გაითავისუფლა ოდეკოლონის სურნელიანი ხელებისგან სხეული. მეორე დღეს სტუმრები თავიანთ მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ. იოში და მისი პატრონი კი მათთან კიდეე ერთ კვირას დარჩნენ.

ერთ დამეს მონადირემ და მისმა ცოლმა ისე იჩხუბეს, ჯამ-ჭურჭელს სულ ლანალუნი აუყენეს. ნამძინარევი ბავშვები ლოგინიდან ტირილით წაოცივიდნენ და დედას გარს შემოეხვივნენ. ყვირილზე ელისაც გაეღვიძა, ფეხზე ადგა და მათთან გავიდა, მაგრამ მონადირის გამწარებულმა ცოლმა, როგორც კი თვალი მოჰკრა, სახე დაემანჭა და წყევლა დაუწყო: ის დღე დაიქცეს, როცა ამ სახლში ფეხი შემოადგინა, მას მერეა, რომ ყველაფერი უკან-უკან წაგვივიდა, შენ დაგედოს ჩემი შვილების ცოდო, შე კუდიანო, არ გაიხარეო. მეორე დღეს ელიმ თვალი მოჰკრა, როგორ ჩაუკუჭა იოშის პატრონმა მონადირეს ჯიბეში ფული. თხასავით გამყიდვარ, გაიფიქრა და მისი აცრემლებული თვალები რომ არავის დაენახა, თხების გარეთ გარეკვას შეუდგა. თავი დაანებე, მაგათ ჩვენ მიეხედავთო, ძლივს ამოღერდა დარცხვენილმა მონადირემ. რომ დაინახა ელის ლოყებზე ცრემლები ჩამოსდიოდა, ხმა გაეზარდა, უნდა გაემზადე, ქალაქში მიდინარე, შენთვისაც ალბათ ასე აჯობებსო, უთხრა და თავჩაღუნულმა თოფის წმენდა გააგრძელა.

არც მაშინ ამოულია ხმა, როცა უცნობმა ჯიბეში ჩასვა და მოუსვენარ იოშისთან ერთად სოფლიდან წამოიყვანა. უკანა სავარძელზე იჯდა და ფიქრობდა. დროდადრო გაოფლიანებულ ხელებს კაბის კალთაზე ინმენდა, სარკიდან უცნობის მზერას თუ მოჰკრავდა თვალს, ნითლდებოდა და ყელში გაჩხერილი ხორკლიანი ბურთის გადაყლაპვას ცდილობდა.



ლელა გაბურია

არსოტვი

ჭიმლის
ჭიუხთა ტანს ოქტომბერი
მოუხვევია, როგორც საბანი...
ახლა გამოვა ბანზე სწორფერი,
ბანისპირ პირი უნდა დაჰბანო.

თითებს სამყურას
სურნელი ასდის,
უცნაურ თრთოლვით ითვლი ნაბიჯებს
და მისი ოდნავ მოხრილი ლანდი
ისევ ისეთი სნებით გაგიჟებს.

ხრაშუნობს ფეხქვეშ გამხმარი ბაღბა,
კვდება და მშვიდი, ისე ამოა
(რა ენაღვლება,
ახლა ჩავა და
იმ გაზაფხულზე ისევ ამოვა)...

როგორც არსოტვით კეკლუცი ქალა,
მზის შუქზე ქოჩორს იყვითლებს ქუჩი.
მნიფს ოქტომბერი და ღელვას მალავს
წყაროზე თუნგის
დახრილი ტუჩი...

ვიდრე ქუდნისლას ნისლით
მზე ჩვენს კარავთან მივა,
ვიდრე სული და სისხლი
შეშლილია და ცივა...

ვიდრე ჩემს თვალში დირე
და შენს თვალეში ბენვი
მარადისობის კართან
ღია ჭრილობად მენვის,

ვერ მოვანატრებ არავს —
ნუხილს — სამყაროს მკარგავს,
თვალეებს — შენს გამო ტკივილს,
მუხლებს — შენს გამო კანკალს.

პირიქითიდან — პირაქეთისკენ
ვასხენებთ ღმერთს და ანგელოზს წვერის,
სიტყვა საღებრო — სეტყვად გვეშლება
და ხსოვნას ღელავს მითები ძველი.
ხანმატისაკენ მეტობს გულისთქმა,
ვეშვებით,
ნისლებს არ უჩანს ბოლო,
გამოგველია მწირი საგზალი,
ვსხდებით,
არაყზე ვაყოლებთ ღოღოს.

ავთო გავაჟელს

ზის მასპინძელი —
ღმერთკაცს მაგონებს,
მუჭში უყრია ცხელი თამბაქო.
ჰყვება:

„სათიბზე მართლა დავობდნენ
შქმერში — კრიმონა,
ღებში — ამბაკო“.
რაჭა ჩემს ბოლო ოცნებად ვკერე,
ვხვდები, ხილვები თუ რად დამდევდნენ,
ხის სარკმლებიდან თამარის კლდეებს
ვუმზერ, ვით ჩემი სულის ნანგრევებს.
ლექსი — მურმანის, ლხინი — სხირტლადის
და ნადირობა გაგნიძის გვიქო,
მრავალძალს ქარვის ავგაროზივით
ეკიდა მთვარის ფერადი დისკო...

ესკიზი ზღვისპირა ქალაქში...

ამ საღამოსაც ზღვა გვიხმობს, ქვიშას,
როგორც ვარსკვლავებს, იოლად დათვლი.
მსმენელს სცენისკენ უხმობს აფიშა:
„ბაროკო-პოპით“, „როკით“ და „ქანთრით“...
მიდის ვაჭრობა და გაგანია
ცხელ სეზონს ცხელი უხდება ღამე:
„ჰეი, ღამაზო,
წვიმს რახანია,
აქეთ მოინი, დავლით რამე...“
თავის სხეულის რომ იცის ფასი,
ტალღებს ნარნარად მოაპობს ქალი,
როგორც წყევლა და აპოკალიფსი,
ნაპირზე ხვდება ათასი თვალი.

14 თებერვლის გაჟო

ფიქრის გვირილებს ვაკონიალებს,
ვებრძვი ღამეთა უცხო ზმანებებს
და სიყვარულით სავსე ფიალებს
მხოლოდ და მხოლოდ უფალს ვანებებ...

ხანჯლის ფხასავით გულს ნუ ეგები,
რა ვუყოთ, სისხლით სანუთრო სცადე,
მე დაგიბრუნებ მისხალ და მისხალ
უჩემოდ გავლილ წლებსა და წამებს...
შენ ნუ იდარდებ, მზე შუბისტარზე
თუ დაიხარა და ჟამი სამხრობს,
ეს დილა იყო,
ეს ზამთრის დილა,
გაზაფხულით რომ მივსებდა სამყოფს...

სხვები ეგებებიან
შენთვის დადგმულ კიბეს,
სხვები შემპირებიან
ფარჩ-ატლასებს, დიბებს.
მათთან ლხენას მერჩივნა
შენთან ურვა-დარდი,
მე შენს ეკალს ვარჩევდი,
ამათ მოაქვთ ვარდი,
ამათ ნაკრეფ ვარსკვლავებს
მიჯობს შავი ცაი,
სხვები მეფერებიან
შენს საფერებს, ვაი...

ქუჩაში

ჩვეულებრივი გამვლელებივით
გავცდით ერთმანეთს...
ერთი კია:
ჩვეულებრივ გამვლელებს
ასე არ ეშინიათ
ერთმანეთის თვალეებს
და არც ასეთი
ხაზგასმით იყურებიან
ურთიერთსაპირისპირო მხარეს...

გახსენება

ღმერთო, აღარც მახსოვდა...
წელან, ვით მზის ამოსვლა,
სიყმანვილეს გამოცვდი,
სიყმანვილე გამომცდა.

სწორედ, სწორედ აქ იყო
ელდა, ისევ ბალღური,
ვარსკვლავები შატლის
და ლაღობა არღუნით.

მახსოვს შენი ხელიდან
უცხო რამ ჟრუნტელი,
ფეხქვეშ მინის გამოცლა,
ციდან თეთრი ფანტელი.

ვერაფერი გავიგე,
გენყინა და ნახვედი,
წუთისოფლის ქარაგმა
მერე ბევრი ავხსენით.

ალისფერი ლოყებით
მზის ალისფერს ვწვდებოდი,
სულ ცოტა დაგეცადა,
მეც ხომ გავიზრდებოდი...

კახეთი

მზის თვალს ამოხვრევს
ლხენით ნასამხრევს,
წლეულს ექნება ღვინო უღვევი,
ბიჭი ძირკოკში ნამყენს ახარებს,
ლილინით მიაქვს სავსე ურემი...
გაივლის დრო და
სურვილს ჩაუთქვამს
ტყვიის პასუხად აფრენილ ღიმილს,
ის ბიჭი ბეჭებს გაშლის ჩაუქად —
პაპისას მაინც არ დათმობს ხირიმს.
მალულად მჯდარი,
იმ ჭადრის ბოლოს,
პირველი კოცნით — ლოყა რომ უხურს,
გაივლის დრო და ის ცელქი გოგო
აუცილებლად გააჩენს ლუხუმს.
ხნულიდან შუქი კრთება ირიბი,
მზეზე ბრწყინავენ ქედები შორი
და კახთ დედოფლის თეთრ მანდილივით —
გადაჰფენია მწვერვალებს თოვლი...

კალმანის სიკვდილი

ჩიტის ნისკარტით მოტანილს ჰგავს შენი ამბავი...
ჩემი მსხვერპლი ქვიშაზე ნევეხარ.
მე კი მდუმარე, ფიქრში ნასული ზემოდან გიცქერ
და ველოდები, სიკვდილს როდის შეურიგდები,
როგორც ყველაზე დიდ ბუნებრიობას.
გდის ცივი სისხლი
და მდუმარე ვულკანით მიწვეთავს სულში.
აი, გაყურდი, აღარ გითრთის უკვე ლაყური
და ქარი ხიდან ჩამოვარდნილ ტირიფის ფოთლებს
მიაფრიალებს არაგვისკენ, როგორც სუდარას...
კვლავ ილიცილებს გუბეები მდინარის ტანზე,
ჩამავალ მზეზე იქვირითებს
შენი მოდგმა კიდევ მრავალი,

მაგრამ უშენოდ.
მზე ჩადის... ჩადის.
შუბისტარზე ნამოვაცვი გაყინული ორი თვალი
და ცრემლებს ვუშრობ

ცისკენ მზირალ აქერცლილ გუგებს.
გულალმა ნევეხარ (უხერხულია, სიკვდილს შეხვდე
უბრადმყოფივით პირქვემხობილი),
არაგვისპირას მძიმე ლოდებს ეხეთქება
მშვენიერი შენი სხეული.

ჩემი ეგრეა.

მოშიშმილე, აუფსებელი ჩემი დღეები
და ჩემი მზერა — მოკანკალე ამოსუნთქვამდე —
შეეზრდება, შეეხიზნება
საყვარელ კაცის მომდურავ თვალებს
და გაქვავებულს, ფრთებშეკვეცილს, ისე უმწეოს,
აუკინძავს სინანულის მძივებად ცრემლებს
და ჩამოღვენილ კელაპტართან მისი ხელები
(საოცარი, თბილი ხელები...
დათვლილი ხალით,
დათვლილ ხაზით,
დათვლილი ვნებით),
სიკვდილის წინ ჩემი მაჯის თრთოლვით მჭერელნი,
ამ ფოთლებივით ჩამოწყდებიან.

ჩიტის ნისკარტით
მოტანილს ჰგავს შენი ამბავი.
ჩემი ეგრეა...

ციკლიდან: „ლექსად ნათქვამი ლოცვაში“...

დამშრალ კალაპოტს დაემსგავსა
ადამის სული,
აღარ მიელტვის იორდანეს —
ცოდების დაფვლით,
ველარ მიმოჭრის წყალთა ზედა
„ვითარცა სურინ“,
ველარ აპურებს უდაბნოებს
მკალით და თაფლით.
ჩამომიჯექი სასთუმალთან,
არ მომატყუო,
აღთქმული ზეცა მოაგებე
გამოწვდილ მაჯებს,

ერთი პატარა ლოცვა ვიცი,
 იმას მოგიძღვნი,
 სხვა ყველაფერი
 უკვე დაგხარჯე.
 ბევრჯერ ვიგლოვე,
 დავიყარე თავზე ნაცარი,
 ჩამომეძინა ლამპრით ხელში,
 გელოდი ვიდრე,
 გულწრფელი ლოცვაც ბევრჯერ ვცადე,
 როგორც მასწავლე,
 მაგრამ ერთი მთაც ვერ დავძარი,
 ისევ იქ იდგნენ.

ბევრჯერ სანთელი ჩავაქრე და
 ქათო გავცერი,
 ბევრჯერ ფართო გზა ვამჯობინე
 გზას — ძნელს და იწროს,
 მოლაღატე ვარ, ჩემო ღმერთო,
 მაგრამ იმ ცრემლით,
 უდაბნოზე რომ დაეცემა,
 შენ უნდა მიცნო!

მასწავლებელი

რუხ კლდეზე თრიმლის ფოთლები
 მოჰგავს ნაკვალევს სისხლის,
 თმოგვთან ლოდები გოდებენ,
 ყორღანთან მინა იწვის.
 დახე, რამდენი სიშლეგე!
 რა ქართველებს სუნთქავ.
 გალმა მტევანი გიჩეხეს,
 გამოლმით კაფეს თუთა.
 სუყველგან სათოფურია,
 დავდივარ...
 ვტირი...
 მიკვირს.
 დედაზე უფრო უტკბესო,
 როგორ გადარჩი სიკვდილს?!

ხმა მიცუს ცინიდან

*„ჟამი მივია-მოვია
 მიცუს თორღვას კარადა“.
 ხალხური*

ერთი პირშავი ღრუბელი
 დასტირის კლდეთა სანახებს,
 ხან ეტოტება უბელო
 ცას და ბალღივით ალაღებს.
 შავ ფიქალებზე იელვებს
 დრო: წერა — მწერლის
 მცნობელი,
 ხან მწარე, როგორც იელი,
 ხან — ნექტარივით მთრობელი.
 ფეხებქვეშ მინა შუშპარობს —
 თორღვას სისხლის ნამცვრევი,
 არა მგონია, დუშმანო,
 რომ იყო ჩემი ნამქცევი.

ა-ს

შეყვარებულმა აჩუქა გოგოს
 წინდა, რომელსაც ეხატა წერო...
 და მერე წვიმდა,
 წვიმდა და წინდას
 ეწვოდა იმ დღის
 მხურვალე წამი.
 ჯერ აღრე იყო,
 რომ ეთქვა „დარჩი“,
 ჯერ სასწაულებს არ ჰქონდა ბოლო
 და წეროს
 თხელი,
 ლამაზი კანჭით
 მარადისობას
 სწვდებოდა
 გოგო.



 ჩემს სამყაროს
 ნუშისებრი, დიდი შავი თვალები აქვს,
 დიდი კეთილი თვალები.
 დიადია და ზოგჯერ ბავშვივით ანჩხლი.
 არასდროს ყოფილა ტყეში სანადიროდ,
 არასდროს მოუკლავს მწყერი, კურდღელი ანდა თევზი.
 მაგრამ ქალებზე ნადირობა უყვარს.
 კი არ ვალმერთებ, არამედ ჩემთვის ისაა ღმერთი.
 რადგან მის გამო ვისწავლე სიყვარული.
 ამ სიყვარულს ტკივილი აქვს გადაცმული.
 გრძნობები რომ პიროვნებები იყვნენ,
 წარმოიდგინეთ. ტკივილიმა გადამალა სიყვარული.
 მაგრამ ღმერთი რისია?!
 სცენაზე მხოლოდ მან იცის,
 როდის გაიხდის ტანს ტკივილი.
 და გაშიშვლდება, განსხეულდება —
 ისევ ის გახდება, ვინც თავად იყო.
 გრძნობები ცოცხალი ორგანიზმები არიან და
 ადამიანებს მსხვერპლად ირჩევენ,
 ან შესაძლო სიყვარულით.
 რადგან მე არ ამირჩევია
 არცერთი გრძნობა, თავად ამირჩიეს.
 გზაზე მივდივარ, დეკემბერია.
 დილით ნისლი და რამდენიმე მანქანა,
 რომლის ფარები ნისლში ისე ანათებს,
 როგორც დათოვლილ მთებში
 სახლების ფანჯრები ღამით,
 მზუჭთავი, დაბალი შუქით.
 რამდენიმე გადამფრენი ჩიტი,
 ცაზე წერილს რომ წერენ დილით,
 ამ წერილებს ჩვენთვის წერენ.
 მაგრამ მხოლოდ მე ვკითხულობ.

სიძულვილი ვ-ს

ჰო, ახლა მძულხართ, ძვირფასო ვ,
 და ეს სიძულვილი
 ჩემს სიყვარულზე სამი დოზით ძლიერია.
 იმაზე მეტად, ვიდრე წარმოიდგენდე.
 და გამარჯვებულსაც მე ვარ,
 რადგან მე მიყვარდი
 და ახლა ისევ მე მძულხარ.
 შენ ჩემი სიზმრის ქოთური ნაჭერი ხარ,
 ცარიელი ხარ...
 ცარიელი სული,
 მე — სავსე
 და იმდენად ძლიერი,
 შემიძლია, მთელი დღე ვიციხო
 შენს პატარა ოცნებებზე.
 შენი პორტრეტი დორიანისას ჰგავს,
 მაგრამ ალბათ არასდროს წაგიკითხავს ის წიგნები,
 სადაც სიყვარულს სწავლობენ.
 ზუსტად ამიტომ სხვებსაც სიძულვილს ასწავლი,
 მაგრამ შენ კვდები ამ დროს,
 რადგან სიყვარული გწყურია სინამდვილეში
 და იმდენად გემინია,
 არ უმხელ საკუთარ თავს,
 მაგრამ მე ვიცი შენი ნამდვილი სახე, —
 მასში პატარა გაბრაზებული ბავშვი ცხოვრობს.
 მაგრამ მაშინ, როცა სიზმრებს გიშლიდი,
 საღამოს 21:00 საათიდან დილის 07:00-მდე,
 როცა ტუჩებმა იგრძნეს სამყაროს გემო

და შენს სიტყვებს ყურს ვუგდებდი,
 შენს ხმას მივყვებოდი,
 როგორც სირენების პირველ სიტყვებს,
 ვარდისფერი ნიჟარების პირველ ცახცახს,
 უცნობ ჟრუღლას.

ეს იყო ჩვენი სიძულვილი.
 ახლა დეკემბერია.
 მალე ერთი წელი გავა
 იმ სიტყვებიდან —
 „ბედნიერ 2020-ს გისურვებ“-ო, რომ მითხარი.
 ნეტავ არ გესურვებინა...
 ალბათ ამ ტანჯვას ამაცილებდი.
 სიტყვებიდანაც ერთი წელი გადის:
 „ჩემო პატარა, შენზე ვიფიქრებ...“
 და ასე შემდეგ.

 პურიტანული პამფლეტია,
 სიტყვების ულოგიკო ბმა,
 ღამის პირველ საათზე მჯდარ თეთრ ტაქსიში
 და ჩემი მძიმე, სველი თმა ქარში,
 შენი სახლისკენ რომ იპარავს ჰაერს.
 დღევანდელი დღის მთავარი აქტი,
 რომლითაც იწყება დილა და დროის ძაფს წყვეტს,
 შენი სილუეტია, აივნის კართან მდგარი,
 და ჩემი მძინარე მოპარული მზერა,
 ყველაფერს ამას რომ იმჩნევს.

ნაცრისფერი მაისის დილა —
 შენ ფანჯარასთან მოციხფრო პერანგის ღილებს იკრავ,
 მე თოჯინასავით ვზივარ და ვუყურებ სეანსს.
 ვარდისფერი გამჭვირვალე ქსოვილი მაცვია
 და ოდნავ მცივია.
 ფანჯრებს მაისის წვიმა წვრილად ეცემა
 და შენი სანოლის საფარს თხელ მხრებზე ვისხამ.
 სათვალეს, რომელიც წიგნებზე დევს,
 იღებ და ერთად მივდივართ.
 ლიფტში სანამ ჩავალთ, დიდი სარკეა,
 ისეთი სარკე, რომ თვალებს ვერ გარიდებ...
 მუქი შავი პალტო
 და ჩემი მჭვირვალე ვარდისფერი ზედა
 დღის საგნებია —
 და ვთვლი, საგნები ადამიანებზე მეტს საუბრობენ,
 ვიდრე — ადამიანები.

 რადგან ჩემს სიზმრებში ისევ ამაყად დაიარები,
 ნიშნავს —
 ღამე შენს სხეულს ტოვებ და ჩემში სეირნობ,
 ჩემი ცეკვა დაუსრულებელი ვალსია
 მთვარის შუქზე შენს ოთახში,
 ვიცი, რომ ჩემს თმებზე,
 რომლის ზღვარი მხრებზე გადის, კვლავ გეფიქრება.

რადგან სიყვარული ყველაზე დიდი ძალაა,
 ყველა აბსურდი ჭეშმარიტებად იქცევა ბოლოს, —
 და თუ მე თვალებიდან
 ცრემლის ნაცვლად სისხლი მდის.

არაფერია,
 ეს ომი ჩვენი ღამის პრელუდიაა, —
 შენს ველოსიპედს დროის ბორბლები ამოძრავებს.

რაც გაგიცანი, ჩემი საათი გაჩერდა.

დასასრული

პლაჟზე იწვინენ. პირველად ნავიდან ერთად ზღვაზე. გზად მალაზიაში შეიარეს, ედიშმა მზისფერი საცურაო კოსტიუმი და ზღვისფერი სათვალე უყიდა. მერე საღებავებზე გაიარეს. სანამ ედიში ფერებს არჩევდა, ელიმ კარის სადაფისქვიანი ზანზალაკი აარჩია. ფული ხომ გადაიხადე, ჩემზე არ იფიქრონ, მოიპარაო, მანქანაში რომ ჩასხდნენ, მაშინლა იკითხა. ჰოდა, იტყვიან, რა კარგი ბიჭია, მაგრამ ცოლი ჰყოლია ქურდიო, სერიოზულად თქვა ედიშმა და მანქანა დაქოქა. საღებავების ყუთიდან ქვითარი ამოქექა, ჩამონათვალში ზანზალაკიც რომ ნახა, შვებით ამოისუნთქა. ზღვა დეღავდა. მზე აცხუნებდა. ქარი ქროდა და სანაპიროსკენ ტალღებს კუნტრუშა თეთრი ბატკნებით ერეკებოდა. ედიში გულაღმა იწვია. თვალეები დაეხუჭა და ელის ხელისგულზე ეფერებოდა. ელი ზღვას პირველად ხედავდა, ამიტომაც ხარბად შეჰყურებდა. დროდადრო ტალღებს თვალს წყვეტდა და ხალხს აკვირდებოდა — ყველა ბედნიერი ეჩვენებოდა, ისევე, როგორც მატარებლის ფანჯრებში თვალმოკრული მგზავრები. მამა თავის გოგონას ტალღებში კოტრილისაგან ქვიშით სავსე საცურაო კოსტიუმს უსუფთავებდა. გოგონა ცქმუტავდა, ვერ ისვენებდა, ფეხებით ისევ ტალღებს ეთამებოდა. სხვა გზა არ იყო, მამამ ხელში აიყვანა, ზღვიდან გამოიყვანა და პირსანმენდში გახვეულ ხუთიოდე წლის ბიჭუნას გვერდით მიუსვა. თვითონ მზეს მიფიცხებულ ცოლს მიუწვია. „ნეტავ მათაც ექნებათ ასეთი ოჯახი?“ გაიფიქრა. „მას და ედიშს ეყოლებათ პატარა ბიჭი, მერე — გოგონა?“ ვერ წარმოიდგინა. ეს სხვისი ცხოვრება იყო, თავისი თავი მასში ვერ დაინახა. ოჯახს დედა გამოეყო, ზღვისკენ წავიდა და მის ნაპირას ჩამოჯდა. ხვეული თმა გაიშალა. ტალღებს უცქერდა. „რატომ წავიდა?“ — ეკითხებოდა თავის თავს ელი — „იქნებ მარტობა ენატრება, ფიქრი ენატრება?“ თვითონ კი ისე იყო ფიქრით და მარტობით დაღლილი. მერე ქალმა ქმარს დაუძახა, რაღაც უთხრა. ქმარიც ადგა, ჩანთიდან ფოტოაპარატი ამოიღო და მისკენ წავიდა. „თურმე უბრალოდ ტალღებთან სურათების გადაღება უნდოდა...“ გაეღიმა. უყურებდა, როგორ იცვლებოდა ქალი აქაფებულ ტალღებში გვერდს, ხან თმას ისწორებდა, ხანაც დონჯს იკრავდა. იცინოდა. ედიშს დახედა. მგონი, ჩასძინებოდა. ხელისგულზე აღარ ეფერებოდა. ისევ ზღვას გახედა. იქვე პანანინა მდინარე ჩამოდიოდა, უერთდებოდა ზღვას. მდინარის პირას, ზედ ზღვის შესართავთან, მოხუცი მეთევზე იჯდა. ალბათ ყოველ დღილას მოდიოდა, თან დასაკეცი სკამი მოჰქონდა. ჩამოჯდებოდა სკამზე, ხელში ანკესს დაიჭერდა, ძუაზე დამაგრებულ სატყუარას მდინარისა და ზღვის შესართავთან გადააგდებდა და ელოდებოდა. „ნეტავ ჩემი სოფლის წყაროებიც აქეთ მოედინება, ამ ზღვას უერთდება?“ ფიქრობდა და მთის ლურჯ ფერდობებზე მორაკრაკე ნაკადულები ახსენდებოდა. ედიშს გაღვიძებოდა, ხელისგულზე ისევ ეფერებოდა. მისკენ დაიხარა და შუბლზე აკოცა.

— ყველაფერი მაპატიებ? — ჩასჩურჩულა. ედიშმა თვალეები ოდნავ გაახილა, — ჰო თუ არა?

ჯერ დუმდა და ელის დაბინდულ თვალეებში შესცქეროდა. იმას ვერა, თმა რომ შეიჭერიო, თქვა ბოლოს და თვალეები დახუჭა.

როცა მოვაჭრეებმა მზეს მიფიცხებულ ხალხს შორის სიარული დაიწყეს, პირველი სევედიანი ბავშვი გამოჩნდა. ბიჭს თავის ასაკთან შედარებით ძალიან გრძელი ხელები და ფეხები ჰქონდა. ცოცხვად, თითქოს სხვისი ხმით იძახდა: ცხელი სიმინდი, ცხელი სიმინდი — „ცხელი“ ე-ს, „სიმინდი“ კი ბოლოდან მეორე ი-ს აგრძელებდა. მოზრდილი თმა მზისგან გაჰყვითლებოდა, შუბლზე გაუხუშებული პარიკივით ეფარა. სევედიანმა ბიჭმა როგორც კი ჩაიარა, ორმოცე წლები თვალეებზე მდებარე ქალბატონი გამოჩნდა. გრძელი ნითელი კაბა ეცვა, თავზე ნითელივე ქოლგა-ქუდი ეფარა. ჯაჭვებზე ჩამოკიდებული ვერცხლისფერი სინი მოჰქონდა, სინზე ყავით სავსე ჭიქები ელაგა. მჟღერი ხმით მელოდურად ნამოიძახა: მივირთვით ყავა ცივი, გვეყოფათ კოტრიალი, ძილი — და გზა ნარნარით გააგრძელა. სულ ბოლოს მოხუცმა ქალმა გამ-

ოიარა. გამხდარი იყო. შავი, გაუხუნარი, კარგად გაუთოებული კაბა ეცვა და შავივე გაპრიალებული ფეხსაცმელი. ორივე ისე კარგად შენახული, თითქოს სკივრიდან სულ ახლახან ამოელაგებინა. თეთრი თმა უკან გადაენია, თავზე ნაკრული თავსაფარი კისერთან შეეკრა. ორივე ხელით ხისგან გამოთლილი ცომის გასაბრტყელებელი ეჭირა, ზედ სადაფის მძივები ეკიდა. მოხუცი ისეთი ლამაზი და სათნო იყო, უნებურად ნამოჯდა და ქალიც მას მიუახლოვდა. ყელსაბამებისა და სამაჯურების თვალთვლება დაიწყო, მერე მოხუცს ახედა, უნდოდა, რაღაც ეკითხა, მაგრამ ენა პირში ველარ მოაჭრია.

— ეკა ბებო, — ნამოიძახა და ქალს ხელი მაჯაზე ისე ძლიერად სტაცა, კინაღამ მძივებით დაფარული ცომის გასაბრტყელებელი ხელიდან დააგდებინა.

— რა იყო, შვილო? — მოხუცი გაკვირვებული მიაჩერდა.

ეკა ბებო აღარ იყო, ცისფერი თვალეებით შესცქეროდა.

— მაპატიეთ, — ელი ფეხზე წამოხტა. ხის საბრტყელებელზე სადაფის მძივები შეასწორა, ისევ ძველებურად, ერთმანეთის თანმიმდევრობით მიანყო.

შეკამა ვარსკვლავო, ელის აღარ დასძახოდა. არც ვენებისაგან თავბრუდახვეული უკოცნიდა სხეულს. ყვიროდა, იგინებოდა, ბრაზობდა. ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებოდა, ამტვრევდა. დუშმორეული ელის ზედ ნიხლებით შედგებოდა და სცემდა. ერთხელ, როცა ოთახიდან ოთახში თმებით ათრევდა, იოში ეცა და ფეხზე უკბინა. გააფრებულმა ძალი კინაღამ ცემით მოკლა. მას მერე იოში სამუდამოდ დაკოჭლდა. იმ დღემს ელი კართან მივიდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ნიხლები დაუშინა. ფეხებში ძალი რომ გამოელია, სამზარეულოდან ყველაზე დიდი დანა აიღო და კარის დარეხა სცადა. ვერაფერს გახდა, კარი ძველი კი იყო, მაგრამ ქვასავით მაგარი. სასონარკვეთილი ხმამაღლა აღრიოდა. კარად გამოალო და თეფშები და ჭიქები კარს სათითაოდ დაუშინა. ჭურჭელი რომ გამოილია, კოვზებს, ჩანგლებს, ჯამებსა და ქვებებს დასწვდა და ფანჯრებს ესროლა. მინები ხმაურით იმსხვრეოდა. ყველა ფანჯარა რომ ჩაღწა, გისოსებთან მილასლასდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა: მიშველეთ, მიშველეთ. ძახილისგან ხმა ჩაეხრინა, მაგრამ საშველად არავინ მოსულა. ძალაგამოცლილი იატაკზე დანვა. რამდე-



ნესტან ეგეტაშვილი
ზღაპარი სიკვდილზე

— ეგ არაფერი, — გაიღიმა ქალმა, ასმას ერთი სამაჯური გამოაძრო და გაუნდა. — მოგწონს? — ჰკითხა. ელიმ თავი დაუქნია. მაშინ მოხუცმა აცანცახებული ხელით მაჯაზე გაუკეთა, — გრძელი დღე გქონდეს, მზიანი, — ამოიჩურჩულა და გზა გააგრძელა.

კაცი, რომელსაც ხელებზე ოდეკოლონის სურნელი ასდიოდა, კვირაში ერთხელ მოდიოდა. სახლში ჯერ იოში შემოვარდებოდა და სანამ მისი პატრონი სამზარეულოში პროდუქტებით სავსე პარკებს აწყობდა, ელის ხელებს ულოკავდა. მერე პატრონი იოშის პართენონებთან ოთახში კეტავდა. თვითონ ელის ჩაავლებდა ხელს და დასაკლავად გამზადებული ბატკანივით საძინებლისკენ მიჰყავდა. თავიდან კაცი ალტაცებული და ბედნიერი ჩანდა. შუადღემდე საძინებლიდან არ გამოდიოდა და არც ელის უშუებდა. ჩემო კამკამა ვარსკვლავო, დასძახოდა. მისი სინორჩით ალტაცებული სხეულის თითოეულ ნაწილს უკოცნიდა. ღლინებდა, სიყვარულზე ლექსებს უკითხავდა. ჩაცმულს ისევ აშოშვლებდა და შემოლილივით შესცქეროდა. მერე გულში იკრავდა და სიკვდილს შენ გადაეპარინე, ჩემო ქალღმერთო, ეჩურჩულებოდა. ელის ეშინოდა, ხმას ვერ იღებდა. გასაწყვეტად გამზადებული სიმებივით ეჭიმებოდა გულმუცელში ძარღვები. სუნთქვა არ ჰყოფნიდა. იხრჩობოდა. ხშირ-ხშირად ყლაპავდა ნერწყვს, რომ ყელში განხერილი ხორკლიანი ბურთი როგორმე გადაეყვანა. როცა საღამოს კაცი იოშისთან ერთად სახლიდან გადიოდა და ოდესღაც თეთრად შეღებილ კარს გარედან კეტავდა, მაშინვე საბაზანოში შერბოდა, ცხელი წყლის ქვეშ დგებოდა, ცხარე ცრემლებით ტიროდა და ტიროდა. სახლში გამოკეტილი თავის დაღწევა არსაიდან შეეძლო. ყველა ფანჯარას, საბაზანოს ჩათვლით, რკინის გისოსები ეყენა. ფანჯრებიდან მხოლოდ ამბროზიით აბიბინებული ეზო, რკინის მაღალი ღობე, მის იქით კი ტყეებისა და ვაშლის ხეების კენწეროები მოჩანდა.

თანდათან კაცი, ხელებზე ოდეკოლონის სუნით რომ ასდიოდა, შეიცვალა. ჩემო კა-

ნიმე დღე არც განძრეულა. დაბეჭილ სხეულში ტკივილი რომ მიუყურდა, მაშინ ადგა. დღეები არეული ჰქონდა და ყოველ დღილას კარში გასაღების ჩხაკუნს ეჩვენებოდა. არ იცოდა, რა ექნა, თავი როგორ გადაერჩინა. თავს მოვიკლავო, ფიქრობდა. ალბათ კვირაზე მეტი გავიდა, მაგრამ კაცი, ხელზე ოდეკოლონის სუნი რომ ასდიოდა, არ გამოჩენილა. ერთ ღამეს სიკვდილი მეორედ ეჩვენა. ძილ-ბურანში გახვეული ტახტზე იწვა, საძინებლის კარი რომ გაიღო და იქიდან თეთრწვერა მოხუცი გამოვიდა. ზურგზე უსულო კაცი ჰყავდა მოგდებული. კაცს სახე არ უჩანდა, ხელები უგრძობლად ჩამოეყარა, მოხუცს წინააღმდეგობას არ უწევდა.

— უნდა მოკლა? — ჰკითხა და თვითონაც გაუკვირდა, სიკვდილს ასე თამამად რომ დაელაპარაკა.

— უკვე მკვდარია, — თქვა სიკვდილმა, დახურულ კარში გაიარა და წავიდა.

მეორე დღილას გასაღები გადატრიალდა. კარი გაიღო და ოთახში იოში უცნობ ქალთან ერთად შემოვიდა. ელი ტახტზე წამოჯდა. ძალი მაშინვე მასთან მივიდა და დასერილი ხელების ლოკვა დაუნყო.

— აი, ვინ ყოფილა მისი ვარსკვლავი, — დამცინავად ჩაილაპარაკა თვალღებანი თელუბულმა ქალმა და ელის მოურიდებლად მიაჩერდა. დამსხვრეულ ჭურჭელზე გადაიარა, ფანჯარასთან მივიდა და ამბროზიით აბიბინებულ ეზოს გადახედა, — თავი ჩამოიხრჩო, — თქვა კარგა ხნის დუმილის მერე და სივარულს მოუკიდა, — ისეთი გამწარებული იყო ამ ცხოვრებაზე, რომ თოკი საწოლის თავს გამოაბა... ალბათ ბოლო მომენტში მანსი ჰქონდა, გადაეფიქრა, თავი დაეხსნა, მაგრამ ეს არ გააკეთა, — ელისკენ შემობრუნდა და სახეზე ზიზლით შეხედა, — არ ტირი? — ჰკითხა, — მე მთელი დღე ვტიროდი. მიყვარდა... ოდესღაც მასაც ვუყვარდი. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, ბოლო წლები, რაც პრობლემები დაენყო, მკურნალობდა, მაგრამ ვერაფერმა უშველა. დღესაც არ ვიცი, იმპოტენციამ გამოიწვია ფსიქიკური აშლილობა თუ პრიტივი. ძლიერ ანტიდეპრესანტებს სვამდა. მერე შენ ამოგიჩემე, მასთან გველაფერი კარგად მაქვსო, მიმტკიცებდა.

წამლებს თავი დაანება, მაგრამ შენც რომ იმედები გაუტრუე, სიკვდილის წინ წერილი დატოვა, მიხედო, შენზე მთხოვდა... ცხოვრება დაგინგრა და სიკვდილის წინ კარგი ტიპი გამოვიდა, მიხედო, გესმის? ნაბიჭვარი, — კბილებში გამოსცრა, სივარეტი ფანჯრის რაფაზე ჩააქრო და ეზოში მოიხროლა, — მეც დამნაშავე ვარ შენს წინაშე... ვიცოდი, რომ აქ ჰყავდი გამომწყვედელი, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარე. თითქმის შენხელა შვილი მყავს, ჩემს შვილს რომ ვინმე ასე მოექცეს, ხომ გამოვლადრე ყელი?! — ისე იღრიალა, იოში ფეხზე წამოხტა და შეუყვება, — რა გავაკეთო, როგორ გამოვიყვირო დანაშაული? — ელისთან მივიდა და შეშლილივით მიაჩერდა.

— აქედან გამიშვით, — ელიმ ძალიან ჩუმად თქვა და უსულოდ ჩამოყრილი ხელეები ისევ იოშის დაუთმო ასალოკად.

— თუ წასასვლელი არსად გაქვს, შეგიძლია, ცოტა ხანს დარჩე, სანამ ამ სახლს გავყვიდი... მერე კი, არ ვიცი, — პალტოს ჯიბიდან გასაღები ამოიღო, მაგიდაზე დააგდო და კარისკენ მთვრალივით რეტდასხმული წაბარბაცდა. სანამ გავიდოდა, შედგა — ჩემთან, დაუძახა იოში. ძალიან ერთი გახედა, მაგრამ ადგილიდან არ განიძრა, ისევ ელის ფეხებთან იყო მოკლათებული. შენც მასავით ნაბიჭვარი ყოფილხარო, თქვა, დამსხვრეული ჭურჭლის გროვას გადააბიჯა და სახლიდან გავიდა. ხის ოდესღაც თეთრად შეღებილი კარი ღია დარჩა.

მატარებელი გზას ისევ მთებს შუა მიიკვლევდა. ბინდებოდა. მზე წაბლისა და რცხილის კენწეროებს ეფარებოდა. ელი ისევ ძალაგამოლეული იჯდა. უცბად იგრძნო, რომ შიოდა. გაუკვირდა, ნუთუ მკვდარსაც შეიძლება, მოშივებოდა? შეეშინდა. გრძობდა, როგორ ცოცხლდებოდა. სიცოცხლე მის სხეულში ჯერ კიდევ ბორბავდა. ისევ პეკინის ქურჩა და ედიშის სახელოსნო გაახსენდა. იქაც ხომ ასე ნელ-ნელა ცოცხლდებოდა, დამზრალ გულს ედიშის თვალეები უღლიდა, თითქოს მზებრივად ეფერებოდა გუგებში. „მზე“ და „მზერა“ — როგორ ჰგავდა ეს სიტყვები მაშინ ერთმანეთს.

ის დღე გაახსენდა, სახელოსნოში საცხოვრებლად რომ გადავიდა. იოშიც თან წაიყვანა. დიასახლისმა ქალიშვილობის დროინდელი თავისი ჩემოდანი ათხოვა. არ სჭირდებოდა, სულ რამდენიმე ნივთი ჰქონდა წასაღები, მაგრამ ქალმა დაიჟინა და ელიმაც უარი ვერ უთხრა, ბოლოს და ბოლოს მის სანახავად მისასვლელი მიზეზი მანაც ექნებოდა. იოში ახალ სახლს მშვენივრად შეეგუა. სარტენი, წინა ოთახთან შედარებით, აქ მეტი ჰქონდა, კოჭლობით გაიქცეოდა და გამოიქცეოდა სახელოსნოს ერთი თავიდან მეორე ბოლოში.

— რატომ დარბის? — ეკითხებოდა ედიში და ელიც მხრებს იჩეჩავდა.

— საიდან გყავს ეს ცანცარა, სოფლიდან ჩამოიყვანე? — ერთხელ ესეც ჰკითხა. კიო, ელიმ უყოყმანოდ იცრუა.

— ფეხი როგორ იტკინა?

— მგელმა უკბინა, — თვალწინ თავისი შავთვალა დაუდგა.

იოშიმ თავიდანვე ელის ტყუილების კონა შეკრა, მერე კი ეს კონა ისევ იოშიმ დაშალა. ერთ დღილას, როცა ედიში იოშის ასეირნებდა, მათთან უცნობი ქალი მივიდა.

— იოში, იოში, — დაუძახა ძალღს და ისიც კუდის ქიცივით მიუახლოვდა.

— იცნობ? — გაიკვირვა ედიშმა.

— ვიცნობ? — ჩაიციხა ქალმა, — ჩემი ძალღია. უფრო სწორად ჩემი ქმრის. მისი სიკვდილის მერე მიმატოვა, ნაბიჭვრებმა ერთად დამტოვეს, — თმა სახიდან ნერვიულად მოიცილა, ჩაიშხვლა და იოშის ფერეხა დაუნყო, — და თქვეთან საიდან აღმოჩნდა, ამანაც ხომ იმ სანყალ ვარსკვლავზე გამცვალა? — ქალი ისევ გესლიანად იციწინოდა.

— ვინ ვარსკვლავზე, რას ამბობ? — ედიშმა ბრაზი ველარ დამალა და იოშის თავისთან უხმო. ქალი ნელში გაიმართა, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ედიშმა აღარ მოუსმინა და გზა განაგრძო.

იმ საღამოს ელიმ ედიშს საიდუმლო გაუმხილა. გულში ჩაგუბებულ ნაღველს თითქოს ჯებრი გამოეცალა და უფსკრულში შთანთქმა. თვითონაც გაუკვირდა, ისეთი შევება იგრძნო. მაგრამ როცა ნახა, კედელს შუბლმიყვრდნობილი ედიში როგორ ტიროდა, ნაღველი გულში ხელახლა ჩაუგუბდა.

„იგი წავიდა ხელუხლები, დაუხარჯავი, ვით მინაში დაფლული ზარი, ერთხელაც რომ არ დარეკილა.“
ბესიკ ხარანაული

მთელი დღე წვიმდა. ღამით შეწყდა, მაგრამ ატალახებულ მინდორში აღარ გაისვლებოდა და მეც ფანჯარასთან მიმჯდარი, ჩამოდევნილი თვალებით ვუყურებდი გზას, რომელიც თითქმის აღარ ჰგავდა გზას (აბა, რანაირი გზაა, არავინ თუ არ მოვა?). მთელი ღამე რომ არ გამოჩნდა, დასაძინებლად დავნეკი, თუმცა თვალი არ მომიხუჭავს. რაღაცაზე ვდარდობდი, ალბათ ჩემზე. შეიძლება იმაზე ვდარდობდი, ჩემზე რომ არავინ დარდობდა. რა ვიცი. გამთენიისას ისევ წამოვდექი და სწორედ მაშინ შემომესმა ხმები აქა-იქიდან. ხმები კაცებივით შემოდინდნენ სახლში, თავიანთი უჩინარ ფეხებს აბრაზუნებდნენ. ძახილს ჰგავდა, მაგრამ ძახილი არ იყო. ხმამალღალ დაჩვილებას ჰგავდა — არც ეგ იყო. ტანი ნაწილებად მქონდა დაშლილი, ოლონდ გარედან მთლიანს ვგავდი და ეს ნაწილები მტკიცეული ღრჭიალით დავახვავე კართან, სახელურს ჩამოვეყრდენი და სანამ გაიღებოდა, ყველა იმ სარქველმა დააფრინა პირი ჩემში, რომლის საგულდაგულოდ დავინყებასა და დახურვასაც ვიმედოვნებდი. ღიობებიდან დენა დაიწყო ამბებმა, ხალხმა, შიფრებივით რთულმა სიტყვებმა. ვილას ახსოვდა კარი და იმ კარის მიღმეთი მომავალი საფრთხობლები, როცა თავს შიგნით მწერებივით აფუთფუთდნენ პატარა საშინელებები.

საფრთხობლები პირდაპირ ყანებიდან მოდიოდნენ. მაინც მოდიოდნენ. თმებიც კი არ შეისწორეს, ვიდრე მოვიდოდნენ — თმებიც კი. დაფრენილი, ფერდაკარგული შარვლები ეცვალა და არაერთი ზომით დიდი პერანგები, გაღლილები და მახინჯები, სულ სხვისი ტანებისთვის შეკერილები და ტომრებივით ჩამოცმული იმით გამხმარ სხეულებზე. ზოგიერთს ერთი ძუძუ ამოსვლოდა, ზოგიერთი მძიმე თეძოებს მოარხევდა ჩემკენ, მაგრამ ამ ცვლილებით როგორ გამაკვირებდნენ, თავს როგორ მოვატყუებინებდი, ათასჯერ მყავდნენ ნანახი, როგორ აფრთხობდნენ ყვავებს, ქორებს, რა ქედმაღლურად გადმოჰყურებდნენ მდელოზე ფეტვის მარცვლებივით მიმოზნულ წინილებს და რა ავ მზერას გვაყოლებდნენ ჩვენ, ნამდვილებსა და მსუნთქავ მფუთქავებს. იყვნენ ისეთებიც, ღანვებზე რომ რუხი ბანჯგვლი ჰქონდათ მოდებული და ყელამდე ჩამოგრძელებულ წვერს ისწორებდნენ.

ტალახში მოტოპავდნენ ნაბიჯ-ნაბიჯ. თვალდაუხამხამებლად ვუყურებდი, არ მეშინოდა. შალის წინდებში ჩახარშული ფეხისგულებით მყარად ვიდექი საკუთარ სახლში, მისი დატოვებული ორი ზომით დიდი ფეხსაცმელები მეცვა. ჩიტვით იოლი დასაფრთხობი კი არ ვიყავი, ვიდექი და ველოდებოდი, მაგრამ ჩემი ფუყე გამბედაობა მაშინვე ჩამომეშალა, ჭიშკარს რომ მოუახლოვდნენ და მათ ხელში ჩაბლუჯულ ჯოხებში ცელები, ნალდები და წერაქვები ამოვიცანი. შიშმა დამიარა, გამაცია. სქელი, თბილი ჯემპრი შევისწორე და მზე ვინატრე, მცხუნვარე მზე. არა მზის სიყვარულით, არამედ ღიმილისმომგვრელი იმედით, იქნებ მზემ დაადნოს მათი შეუყვარებელი სხეულები და მხოლოდ მათ ხის ტანებზე შემოხვეული ძველმანები დატოვოს მეთქი.

ჭიშკარი რომ შემოაღეს, ვარდისფერკაბიანი საფრთხობელა დანინაურდა. ვიცანი. გადაღმა ქუჩაზე ორსართულიანი სახლის ეზოში მომეკრა მისთვის თვალი. კაბას თეთრი წინწკლები ჰქონდა და ისე უხერხულად გარღვეულიყო, საფრთხობელა გაშლილი ხელისგულით იფარავდა უფერულ კერტებს. თივა თმად ქცეულიყო, ღილები — თვალეზად, მიხატულ პირში ენა და რამდენიმე კბილი ამოზრდოდა და საზარლად ილრიჭებოდა. მუქარად ჟღერდა, თუმცა ფეხიც არ მომიცვლია. უარესებიც მახსოვდა და არ გავერბოდი, მაგრამ უკეთესებიც მახსოვდა და მეშინოდა.

— აქეთ გამოდი, — ხელის ნაცვლად ცელი გაიშვირა მინდვრისაკენ. მრგვალი, შავი თვალეზი ჩემს სახეზე ისე გადაატარა, თითქოს ცივი თითებით მომეფერა ვინმე ღანვებზე. სახლში შებრუნება და რამის აღება მინდოდა თავდასაცავად, მაგრამ ისე გავეყვი, თითქოს ოდითგანვე ასე ვიქცეოდი და მო-



რჩილებისთვის ვიყავი გაჩენილი. მძიმე, ტყავის ფეხსაცმელები გასვლისთანავე ტალახში ჩამეფლო. გავიხადე და იქვე დავყარე. მე რომ აღარ ვიქნები, ყვავილები ამოიზრდებიან იმ ფეხსაცმიდან — ასე ფიქრობდი. მაგრამ რომელიღაცამ გაფარჩხული, დაგრეხილი ფეხები ჩაყო შიგ და თვითონ მოირგო. რამდენიმე სხვა სახლში შევიდა და ჭურჭელი აახმაურა. ტეხისა და მსხვრევის ხმების მიღმა ყველა ჩემი საყვარელი ლარნაკი, ფინჯანი და ლამბაქი ამოვიცანი. როგორც ადამიანები არ ამერეოდნენ ხმებით, ისე — ნივთები.

— ნადი, რას ელოდები? — ზურგზე უხეში, ცივი ხელი შემეხო და უფრო ამ ხელის სუსხიან ძალას დავემორჩილე, ვიდრე ბრძანებას.

მივიდიოდი და ვფუფუნებდი — დღეს ჩამოვა და არ დავხვდები. სახლი დახვდება, ისიც, რაც სახლისაგან გადარჩება, მე არ დავხვდები. კვალს ვერ იპოვის, ჩემს კვალს დაანვიმს და ტალახი არაფერს შეირჩენს ჩემსას. არც იმ წყვილ ფეხსაცმელს დაინახავს, რომელიღაცას რომ აცვია და სადაცაა შემოხვევა. ვერც ამ სლუკუნს გაიგონებს, მე რომ წამსკდა.

— იარე! — ახლა დროდადრო მახსენებენ, რადგან ნაბიჯების გადადგმა მავიწყებდა. ხან იმიტომ მაინყვებდა, რომ მასზე ვფიქრობ, ხან იმიტომ, რომ თვალი სხვებისკენ გამიზრბის. ნელ-ნელა იზრდება საფრთხობელის ბრბო. სხვებიც ჩნდებიან, ადამიანები, ჩემიანები. თითქმის ყველა ფეხშიშველა და ტალახიანი ფეხებით მოტოპავს. ვისაც ფეხსაცმელი აცვია, უფრო

მძიმედ მოაბიჯებს, ხშირად ჩერდება. ერთმანეთს სახში არ ვუყურებთ, გვერდიდან ვავლებთ თვალს და წამშივე ვარიდებთ. ხანდახან ჩიტები გადამფრენენ და მათი საამო წამღერება გვაბრუნებს ერთმანეთთან. ძირითადად კი უბრალოდ მივდივართ. სულ ესაა დარჩა ჩვენგან: არა სახლები, არა ნივთები, არა ერთმანეთი, არამედ — ნასვლა. სხვა ყველაფერი გზად დაიკარგა. ვილაცებმა საყვარლისსურათიანი მედლიონები მოიხსნეს და გადაყარეს, ვილაცებმა ფეხსაცმელები მივატოვეთ, ვილაცებმა საბანში გახვეული ჩვილები უარყვეს, ვილაცებმა ბრახისაგან ტანსაცმელს იგლეჯენ. შიშვლები ვართ თუ არა, მაინც გვრცხვინია, რადგან ნასვლაში არაფერია საამაყო. ნასვლაც კი არ არის, გაყრაა. ჯერ იყო და რაღაც ჭურჭელი მოგვათავსეს და არსებობდა მონათლეს, მერე ადგნენ და ამოატრიალეს და ისე ამოცვივდით, როგორც განყვეტილი ყელსაბამის თვლები და სადღაც მივგორავთ. არავინაა ჩვენი შემგროვებელი.

რაც უფრო შორს მივდივართ, მით უფრო ვუშნოვდებით. სადღაა ჩემი ჩამოქნილი სხეული?! ყოველი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ვგრძნობ, როგორ ილრიცება ჩემი ტანი, როგორ კარგავს თითები სინაზეს, მკლავები — მოქნილობას. საფრთხობელეები ნელ-ნელა გვემსგავსებიან. მათ ფერმკრთალ სახეებს ვარდისფერი ედება, ღილებივით თვალეზი ანცი სინათლე უკიფებთ და გამართულები, თამამები მოაბიჯებენ. მოაბიჯებენ და ლამაზდებიან, მშვენდებიან, ერთმანეთს მოალერსე მზერით ამჩნევენ, ცხრებიან.



ის შეიძლება, მოვიდა. იქნებ სახლშია უკვე და ცარიელ გზებს ათვალიერებს, სახლებს, საიდანაც აღარც ხმები ამოდის და აღარც კვამლი. მხოლოდ იატაკზე მიმოზნული ჭურჭელი, რაღაცის მომსწრე უთქმელი სარკე, დანისლული ფანჯარა, მორღვეული ურდულები, მკვდარი პეპელა... ჩემი ჭრელი კაბა სანოლზე. სხვა არაფერი დახვდება.

როგორ ველოდი. მისი წერილები მტრედებივით შემოდინდნენ ჩემს ფიცრულ სახლში. მაგიდაზე იშლებოდნენ თეთრგულიანები და მეჩურჩულებოდნენ ქალაქის ამბებს. ვიდრე საგნები ფეხს აიდგამდნენ, ვიდრე თითოეულ ხესა თუ ქვას თავიანთი მოუსვენარი სულები ჩაუდგებოდათ, ჩვენ ერთმანეთი კოცნით უნდა გავცოცხლებინა. პირველად რომ შევხვდი და ჩემი ეზოდან ჭიქა წყალი გადავანოდე, იმისმა ფერმკრთალმა, ცივმა ხელმა მოხდენილად მოიხადა ჭილოფის ქუდი, თავი დამიკრა მადლობის ნიშნად და ვინრო ბილიკს ნელა გაუყვა. ცარიელი ჭიქა ქვაზე იდო და მე ვიდექი სველი ტანსაცმლით გავსებული თოკების გვერდით და ჩემს სახეს ეცემოდა ყვითელი ქვედაბოლოს მოკლე წრილი და სახლში რეკავდა ტელეფონი, დიდხანს რეკავდა. აზრადაც არ მომსვლია შიგნით შესვლა, ყურს ვუგდებდი, როგორ ჩაიარეს მისმა ნაბიჯებმა და როგორ ჩაჩუმდა სახლიც, მანამ ზარის წკრიალის ხმით აფორიაქებული. მზე მისი მხრების იქით ჩაინაცვალა.


ის დაბრუნდა იმავე ღამით და დაბრუნება მაშინ ვიგრძენი, როცა შიშვლები ვინეკით მოთიბულ ბალახზე, ვაშლის ხეების ქვეშ და დროგამოშვებით ფოთლები ეცემოდნენ ჩვენს სხეულებზე გადაფენილ ზენარზე. მეზობლების ეზოებში ჩადგმული საფრთხობლები ადამიანებივით ჩანდნენ სიბნელებში, საშობად წკრიალებდნენ თვლების ადგილას მიკერებული ფერადი ღილები. მაგრამ ეს შიში მერე იყო. მაშინ მხოლოდ გაკვირვების უნარი მქონდა, რომ, აი, თურმე ასეთია, როცა გკოცნიან. როცა მომავალ შეხვედრამდე გემშვიდობებიან. როცა დაახლოებული სხეულები ტანსაცმლით იმოსება და შენი ვრცელი ეზოდან გათენებამდე გადის, მერე კი დანანევრებული, ორგვერდიან წერილებად გიბრუნდება დროდადრო უკან. ეს მანამ იყო, ვიდრე საგნები ისწავლიდნენ გაცოცხლებას, ვიდრე ჩვენს საწოლებში სხვები ჩანვებოდნენ და ჩვენი ჟინით მოხვედნენ ერთმანეთს.

ახლა კი ერთად მივდივართ ყველანი. ისინი რაც უფრო გვემსგავსებიან, ჩვენ მით უფრო აღარ ვგავართ საკუთარ თავებს. აღარ ვაპარებთ თვალს ერთმანეთისკენ, აღარც სუნთქვა გვიძნელებდა დაღლილობისგან, აღარც ვაყინებდნენ ტერფებზე მიკრული ტალახი გვანუხებს. აღარც მისი მხრები მახსოვს, რომლებიც პირველები იგრძნობენ უსუსურობას, როცა აღარ დავხვდები. როცა არავინ აღარავის აღარ დახვდება.

ჩემი თვალეზი ღილებად იქცა, ტანი — ხის ნაფოტად, ტანსაცმელი — უხეირო ნაჭრებად, თმა — ჩალად. ჩემი ბაგეები მიხატულ მონაკვეთებს დაემსგავსებინა და გავჩუმდები. უკვე ვგრძნობ, როგორ ვიკავებ ჩემს ადგილას ყანის შუაგულში, როგორ ვშლი ხელებს ფრინველების დასაფრთხობად და როგორ ცარიელდება გონება სიტყვებისგან, რომელთა წარმოქმნაც აქამდე სულ ადვილად შემქმლო. უკანასკნელი სიტყვა, რომელიც მაინყვებდა, მისი სახელია. თითქოს შელოცვაა, თქმა მეშინია. ვაითუ, გამახსენდეს, რომ წლებია, ველარ ვეძახი. თეთრ მარმარილოზე მიწერილს ხეები კითხულობენ. მხოლოდ ნუხილი მრჩება და მსუსხავი ტკივილი ხის მკერდში, რომელიც აღარ ფეთქავს.

ჩემს დანახვაზე ფრთაჭრელი ჩიტები შეშინებულნი მიფრინავენ შორს. იმ კაბებს ჰგვანან, გოგობისას რომ ვიცვამდი, როცა გახდაში ყოველთვის ვილაცის ორი მოუსვენარი ხელი მეხმარებოდა. მიფრინავენ იმ ქალაქისაკენ, სადაც ის არის და საიდანაც არც ერთხელ ჩამოსულა ჩემს სანახავად. არც მისი წერილები ჩამოსულან, თეთრგულიანები. დაუკოცნელი დამრჩა ჩემი დამჭკნარი კანი. ამოუთქმელი დამრჩა უთვალავი კენესა.

კარი დავხურე, შუბლზე ჩამოყრილი ჭალარა თმის ღერები შევისწორე და ჩაბნელებული ოთახის სიღრმეში დავბრუნდი. ისევ განვიმდა. კიდევ კარგი, არ მოვა, თორემ როგორ დასველდებოდა.



მინის ფსალმუნად თეთრი ცხენი აკაკელ ბაკუნისა

თითქმის მთელი მუშაობის დროს ხდებდა მოქმედება აკაკელ ბაკუნის მოთხრობისა „თეთრი ცხენი“, რაკილა მეფეც იხსენიება და პირველი მსოფლიო ომიც, ფრონტზე გასაგზავნად რომ აგროვებს ცხენებს სომხეთის ხელისუფლება და ჩალის ფასად ართმევს მოსახლეობას.

მაგრამ ქრონოლოგიური გადანაცვლება ტაქტიკური მოსაზრებით უნდა იყოს გამოვლენილი და სინამდვილეში მწერალი წარმოსახავდეს თვალში დატრიალებულ დრამატულ მოვლენას — კოლექტივიზაციას, ასე უღმერთოდ რომ ართმევდნენ მოსახლეობას საქონელს კოლმეურნეობაში შესარეკად, და მათ შორის ცხენებსაც.

და თეთრი ცხენი, მოთხრობის სათაურად შერჩეული ეს სიმბოლიკა, უნდა განასახიერებდეს დაუმორჩილებლობასა და თავისუფლებას, და გულისხმობდეს იმ იმედს, რომ:

როგორი საზარელი, ჯოჯოხეთური პირობებიც უნდა იყოს დამკვიდრებული ქვეყანაში, მაინც გადარჩება თავისუფლების სული, შეუპოვრობის, სილალის განცდა, მეობის შენარჩუნების მადლი.


საგულისხმოა, რომ: ის, რაც სომეხ პროზაიკოსს ჩაეფიქრებინა მოთხრობაში, ქართულ პროზაში ოთარ ჩხეიძის ნოველაში უნდა შესხმოდა ხორცი: „ნისლა“ — კოლექტივიზაციის საზარლობას ნისლას ბედით რომ წარმოსახავდა — ხელისუფლების ფინით მის დასამორჩილებლად ანუ თავისუფლების სულის ჩასაკლავად, მაგრამ ნისლა უნდა გადარჩენილიყო სიმბოლოდ ეროვნული სწრაფვისა თვითმყოფადობის გადასარჩენად, ამავე როლად მწერალი კაცისა და ცხენის იმ პირველქმნილ ურთიერთობასაც რომ აღადგენდა, ერთმანეთისა ტოლსწორებით რომ ესმოდათ.

და ნისლას ხვედრში ჩააქსოვდა ბუნებასთან ადამიანის ზიარების იმ თავდაპირველ შეგრძნებასა და მადლს, რომელიც არ უნდა დაკარგულიყო, თორემ ბუნების წინააღმდეგ ამხედრება, სწრაფვა ბუნების დასამორჩილებლად, საბოლოოდ სავალალო, საბედისწერო ნაყოფს თუ გამოიღებდა ქვეყნისათვის.

აკაკელ ბაკუნისა ცნობდა ამგვარად უნდა განეცადა ბუნება და ამ განცდიდან ამოზრდილიყო თეთრი ცხენის სიმბოლოური და განზოგადებული სახეცაც.

ეს სახელი მწერლისა დიდხანს დარჩებოდა ტაბუირებული სომეხი მკითხველისათვის, როგორც რეპრესირებული, ბოლოსდაბოლოს მისი დროც რომ დადგებოდა, კაცისა, რომლის თვალწინაც უნდა ჩაეველო 20-30-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს, და კიდევ ექვსია მხატვრულ ქმნილებათა სერიად, მხოლოდ პროზას რომ არც იმყოფინებდა და კინოდრამატურგიაშიც წარმატებით მოსინჯავდა კალამს და პუბლიცისტიკაშიც, თუმც თავს უფრო მოხალისე მწერლად მიიჩნევდა, აგრონომობისაგან დაღლილ-დაქანცული წერით რომ ითქვამდა სულს.

კიდევ უფრო დაგვიანებით უნდა შემოეხსნა ქართული ლიტერატურის კარი გელაგელაშვილის მეგზურობით, ექვსი მოთხრობა რომ გაერთიანდებოდა ნიგნში, საერთო სახელწოდებადაც „თეთრი ცხენი“ რომ მოუხდებოდა ბუბა არაბულის ნახატი და მშენებელს („უნივერსალი“, 2021), და მწერლის ხელოვნება ერთხელ კიდევ დაგვარწმუნებდა, რაოდენ აუცილებელია უფრო ღრმად ვერკეოდე სომხური — და მას-



ან ერთად აზერბაიჯანული — ლიტერატურის მდინარეებში, მეტ ყურადღებას ვიჩენდეთ და მეტი სიახლოვეც ვიგრძნოთ.

მოვალენი ვართ, მთელი კავკასიური ფოლკლორიც და მწერლობაც ხელისგულზე გვედოს და ჭირსა და ლხინს ერთად ვიზიარებდეთ ჩრდილო და ამიერკავკასიელები.

ნიგნს დაერთვის მთარგმნელის მიერ მოძიებული ცნობები აკაკელ ბაკუნის შესახებ, აგრეთვე რედაქტორის — ლელა ოჩიაურის — წინათქმა, ამ მწერლის გამოჩენას აღმოჩენასთან რომ აიგივებს და არ ეთანხმება იმ კრიტიკებს, რომელნიც მწერალს სომხური სოფლის მომღერლად იხსენიებენ, რადგანაც იგი ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ სოფლის მომღერალი:

— მისი „სიმღერები“ სევდით, რომანტიკული ჭმუნვითა და ლირიკული ხმებითაა შეფერილი. ცხოვრების დრამატული და ამავე დროს, როგორც მშვენიერების აღქმითა და სიყვარულის დიდებულების შეგრძნებით.

ცხადია დრომოჭმულია პროზის დაყოფა „სოფლურად“ და „ქალაქურად“, რაკილა ამ ყაიდის კრიტიკებს პროზაიკოსის მოვალეობა ურიტუალურად დაჰყავთ და გარეგნული ფონი და ჟანრობრივი თავისებურება ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევიან. მათი თვალსაწიერით თუ გაეზომავეთ, თუნდ „ნატურის ხე“ სოფლური პროზის ნიმუში იქნება, გიორგი ლეონიძე კი — ქართული სოფლის მომღერალი.

ლელა ოჩიაურისავე დაკვირვებით: — მწერალი ქმნის იმ სამყაროს ხატოვან ატმოსფეროს, რომელიც დღეს აღარ არსებობს და შორეული დროის, გარდასული ადამიანებისა და ცხოვრების წესის, ყოფის უხვი არომატები მოაქვს, როგორც ალპურ იებს, მწვანე და მოთიბულ ბალახს, ხეხილის ბაღებსა და წვიმით დასველებული მიწის სურნელს.

ალპური იაც ღრმა სიმბოლოური სახეა მწერლისათვის, ამ შესიტყვებით დასათაურებულ მოთხრობასაც იმ იდუმალებით რომ განმსჭვალავდა, რაც ასე ნიშნდობლივია მისი მხატვრული აზროვნებისათვის და ასე ხელშესახებდა იჩენდა თავს თუნდ მოთხრობაში: „მთნაძირის „ავი სული“.

ამ სამი მოთხრობის გარდა „ხოზობიც“ რომ შედის კრებულში, „მორჩილი გოგოც“ და „შავი ხნულების მთესველიც“, სხვადასხვა კუთხიდან გვიტვალსაწიერებენ აკაკელ ბაკუნის მხატვრული ძიებების თავისებურებებს.

იმ დასაკარგად განწირული სამყაროს გადასარჩენად რომ ირჯებოდა მწერალი, სტილიური ხელოვნებითაც განაცდევინებდა სომეხ მკითხველს ნამდვილის სილამაზესაც და წარუვალობასაც. და ბუნებას მწვანე ფსალმუნად რომ აღიქვამდა, ფსალმუნადვე სურდა ამოეთქვა და კიდევ ამოეთქვამდა სატიკვარსაც და სასოებასაც.

და მთარგმნელსაც ეს მოეთხოვებოდა: განეცდევინებინა ქართული მკითხველისათვის ყველაზე სანუკვარისა და მოსაფრთხილებლის სილამაზეც და წარუვალობაც, ტკივილიც და სასოებაც.

და გელაგელაშვილი კიდევ მოიტანდა ჩვენამდე იმ მხატვრულ შთამბეჭდაობასა და ძალმოსილებას, არცთუ რთული სიუჟეტების იქით რომ უნდა განგვეცადა ის ბევრად მეტი, რაც საერთო ხდება ყველა ქვეყნისა და ეპოქის მკითხველისათვის.

„ალპური იას“ მინანური რომ დაერთვოდა, მთარგმნელი არ გაიზიარებდა სომხურ ლიტერატურულ წრეებში დამკვიდრებულ აზრს, თითქმის მოთხრობა ეძღვნებოდა თანამოკალმის — ელიშე ჩარენცის — გა-

როსტომ ჩხეიძე ციკლიდან „მთვარის ანარეკლი ტბაში“

რდაცვილი მეუღლეს; და უფრო სარწმუნოდ ცნობდა იმ ვერსიას, „ალპური იას“ შთამაგონებელი რომ უნდა ყოფილიყო შენია გიუზალიანი, მწერალსა და მის მუზას მეგობრობასთან ერთად ლიტერატურის სიყვარულიც რომ აკავშირებდათ, და 1926 წელს ერთად რომ იმყოფებოდნენ ბათუმში, მოთხრობა სწორედ იმ ბედნიერი დღეების გამოძახილი უნდა ყოფილიყო.

საგულისხმოა აკაკელ ბაკუნის ხანმოკლე ცხოვრების ის დეტალიც, 1919 წელს თბილისში რომ მოუწევდა გაჩერება, ჩაირიცხებოდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და ამავდროულად ობოლთა გიმნაზიაშიც იმასწავლებლებდა.

რედაქტორის საცხებით დამაჯერებელი ვარაუდისა არ იყოს:

რაკილა ჩართული გახლდათ XX საუკუნის დასაწყისის თბილისის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, როგორც მამინ ხდებოდა, თბილისელთა საგანმანათლებლო, სამეცნიერო თუ სახელოვნებო სფეროში არაერთი ნაცნობი თუ მეგობარიც ეყოლებოდა.

ისტორია აკი აკაკელ ბაკუნის არსებობაზეც დუმდა, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ხომ დაირღვეოდა ეს დუმილი.

და ის დუმილიც დაირღვევა, შეუძლებელია ქართველ მოღვაწეთა დღიურებსა, ეპისტოლეებსა თუ მემუარისტულ ჩანაწერებში ალაგ-ალაგ არ გაიეღვოს მისმა სახელმაც — ჯერაც ბევრი დოკუმენტური წყაროს გამოიმუხურებას ველოდებით.

ახალი დროის ფსალმუნებს მოასმენინებდა მკითხველს...

და ამახ შეიძლება იმ რწმენით, მოვალეობის იმ შეიძლება, ციხიდან გამოგზავნილ ბარათში რომ იწერებოდა:

— მე მწერალი ვარ და ჩემი ხალხის გვერდით უნდა ვიდგე, მის ცოცხალ სიტყვას უნდა ვისმენდე.

მისი მენდა, შეითვისებდა, შეიტკობდა და უკანვე უბოძებდა თავის ხალხს მწერლის ქურაში გამოტარებულ იმ ცოცხალ სიტყვას, ქართველ მკითხველამდეც ასე შთამბეჭდავდა რომ მოადნევედა ცოცხალი სიტყვის ის ფსალმუნური იდუმალება და მადლი, ფარული რიტმი და მუსიკა.

რიმი — ჩაწერული მშვენიერება თავიკ ალ-ჰაქიმის უცნაური დეტაქტივი

ბოჩა კუჭუხიძე იმედს გამოთქვამდა, რომ:

აღმოსავლეთის თავისთავადი სულის შეცნობაში არაბი მწერლის ეს პატარა რომანიც შეიტანდა თავის წვლილს:

თავიკ ალ-ჰაქიმის „პროვინციელი გამომძიებლის დეტაქტივი“.

მისი თარგმნა ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაენყო თავისი ლექტორის გია ბურჯანაძის შემოთავაზებით, არაბული ენის სემინარებისას რომ გააცნობდა თანდათანობით ამ რომანის თარგმნის პროცესს და ლექტორის მოსაზრებებსა და შენიშვნებსაც ითვალისწინებდა.

რომანი დაგვიანებითა გამოიცემოდა („ნიგნები ბათუმში“, 2016) და არც გამოხმაურება მოჰყვებოდა, თუმც რომანიც იმსახურებდა შესაფერის დაფასებას და თარგმნიც, ეგვიპტელი მწერლის სტილური თავისებურებას ასე თვალსაზრისით რომ განგვაცდევინებს, დღიურის იმ სტილისტიკას, მიუხედავად გარეგნული სინოფელისა, ბევრი რამ რომ რჩება დაფარული ავტორ-მოთხრობელის სულის მოძრაობისა — ის უმთავრესი, რასაც ადამიანები თავიანთ თავსაც არ უმხევენ.

თუმც მინიშნებებსა და ქვეტექსტებში, „უნებურად გაპარულ“ ფრაზებში მაინც ამოიცნობა ის „უფრო მეტი“, რაც საგულდაგულოდ იმალებოდა — ამოიცნობა ანარეკლად, მაგრამ მაინც...

ქვეტექსტებით გადაივსებოდა თავიკ ალ-ჰაქიმის რომანი, მთარგმნელი თხრობის მომხიბვლელობის ერთ უპირველეს ნი-

შნად სწორედ ამ მარჯვე და ფაქიზ მინიშნებებს რომ მიიჩნევდა, და კიდევ — იუმორსა და ირონიას, უბოროტოს, ხშირად საკუთარი თავისაკენ მიმართულს.

გამომძიებელს, რომლის დღიურებიცაა გამოყენებული რომანის ფორმად, ყოველთვის უყვარს ოქმის დალაგებით, წესისა და რიგის მიხედვით შედგენა, რადგანაც — მისი რწმენით — ოქმი არის უპირველესი, რაც კაცს თვალში გეცემა, ის არის ჭეშმარიტების სარკე, გამომძიებლის ჭკუისა და გამჭრიახობის მაჩვენებელი.

ვის რა უნდა ჰქონდეს ამ სიტყვების საწინააღმდეგო, საგამომძიებო ოქმი ყოველმხრივ მოწესრიგებულად რომ გამოიყურებოდეს?

მაგრამ მომდევნო ფრაზამ ამ წესრიგინობის მოჩვენებითობა, შინაგანი სიყალბე უნდა გააშიშვლოს:

— რაც შეეხება დამნაშავეს პოვნას, ეგ იმდენად არ აინტერესებთ ხოლმე.

გროტესკული პასაჟია, მომდევნო პასაჟმა კიდევ უფრო რომ უნდა გაამკვეთროს ქვეყანაში — და არამარტო საპოლიციო სისტემაში — გამეფებული ფორმალობა და ბიუროკრატია, წესრიგის მოჩვენებითობა, და რაც მთავარია — უკანონო განაჩენი როგორმე კანონიერად მოგაჩვენონ.

ერთხელ შემთხვევაზე რომ იმყოფებოდნენ, დაზარალებული სიკვდილის პირას იქნებოდა მისული. გამომძიებელი მისი ქაქის, ფეხსაცმლისა და ქუდის აღწერას შეუდგებოდა. ბოლოსდაბოლოს დაიხრებოდა დაჭრილისაკენაც, რათა დამნაშავეს ვინაობა ეკითხა და... სწორედ მაშინ აღესრულებოდა იგი...

და კიდევ ერთი დეტალი, გროტესკული სურათის დაგვირგვინებელი:

გულდასმით აღინერებოდა გარემო, გზა ლერწმინაში რომ შეჭრილიყო...

ისე კი გარემოს, ბუნების აღწერას, იქნებოდა ეს მშვიდი ღამეული პეიზაჟი, რომელშიც გამომძიებლისა და პოლიციის უფროსის მანქანები მიიწვინებდნენ, თუ ეგვიპტური სიციხით გადახრეული სოფლები, მთარგმნელი მწერლის დიდი ტალანტის გამოამკარავებდა მიიჩნევდა.

თავიკ ალ-ჰაქიმის პერსონაჟს ათქმევინებს სიტყვებს, რაც სინამდვილეში თვითონ მწერლის მხატვრულ და ესთეტიკურ მრწამსს წარმოაჩენდა და მისი სტილის თავისებურებაშიც გვახედებს:

— გამომძიებელს პატარა სახელმწიფოსთან აქვს საქმე. თუკი ამ სახელმწიფოში ყველაფრის დანახვას შეძლებს, თუ ადამიანის ბუნებას შეისწავლის, მაშინ იმ დიდ სახელმწიფოსაც კარგად დაინახავს, რომელშიც უხდება ცხოვრება. მერე კი მთელი ქვეყნიერებისა და კაცობრიობის სახესაც იხილავს.



ადამიანის ბუნების შესწავლა-გააზრების წყალობით მთელი კაცობრიობის შესწავლა-გააზრებისაკენ!..

ეს შეხედულება, ეს მსოფლგანცდა ახალი არ არის, თუმც ცხადია მწერლის ნიჭსა და უნარზეც ჰქვია, რამდენად ჩანდებოდა ადამიანის ბუნებას და მის ფონზე რამდენად განჭვრეტს კაცობრიობის სახესა და ყოფას, იმ არასახარბიელო რეალობას, დანაშაული „დიდ-დიდი“ მიზნებითაც რომ არის ჩადენილი, და ამგვარი დანაშაული უფრო ბევრი უბედურების მომტანია, ვიდრე უბადრუკი მიზეზებით გამოწვეული.

დიდი ცივილიზაცია ბოროტებას ვერ მოსპობდა, დანაშაული ვერ ამოძირკვავდა, სამაგიეროდ დიდ ბოროტებებსა და დიდ დანაშაულებებს წარმოქმნიდა.

გამომძიებლის დღიურია და რა გასაკვირია, დანაშაულის ძიებას აღწერდეს, მიუთმეტეს, დანაშაული დანაშაულზე ხდება — მკვლელობა, დაჭრა, თვითმკვლელობით შენიღბული მკვლელობა ერთმანეთსა გადაჭდობილი და შემცოდენიც მოჩანან სტრიქონსა და სტრიქონს შუა, მაგრამ ეს მკვლელობანი თუ მკვლელობის მცდელობა საბოლოოდ მაინც გაუხსნელი რჩება.

დეტექტივი და... გაუხსნელი საქმე? „პროვინციელი გამომძიებლის დღიურები“ ბოლომდე ისეც მიეძინება, სათაური რასაც მიგვიანიშნებს — და დეტექტიური



ჟანრის თხზულებას როგორც შექვეყნის, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ: ფინალში ყველაფერი ერთბაშად უნდა შემოტრიანდეს და დეტექტიური ძიება სადაც ჩაიძიროს, და არამცთუ გამოძიებულს მირჩეს გვერდით, მკითხველისთვისაც უინტერესო გახდეს.

და ყველაფერი გადაფაროს რიმის სახეობა, რომელიც სხვა სამყაროდან მოვლენილი, უცხო ქმნილების, რომელმაც ყველა, ჭკუით სავსეა და შეშლილიც, სიცოცხლის ხალისით უნდა ალაფსოს... აუფსოთ სულელები სიტყვით, თავისი წამიერი გაღვებებით გაახაროს... ცხოვრების გამოფიტულ და გამომხმარ სულიერ უდაბნოში, ამ გაუკაცრიელ უდაბნოში და გადახრობილებულ ნუთისოფელში უნაზეს ნიავევით ჩაუქროლოს ადამიანებს...

ყოფილი რეალობის ორომტრიანლში რიმი დამნაშავედაც ეჩვენება მკითხველს გამჭვირვალე ქვეტექსტების ფონზე:

მკვლევლების დამოკიდებულება, მკვლევლობის მცდელობა, და კიდევ — ეგებ შემცოდვეც დის წინაშე, საბოლოოდ მოკვლა არც მას რომ არ ასცდებდა, თავისი მოკლული დის ტრაგიკულ ბედს გაიზიარებს.

სულიერ პლანში კი: ის ღვთიური საჩუქარია კაცთათვის, დაფასება რომ არ შეუძლიათ გარემომყოფთ ამ წყალობისა და ამიტომაც იმეტებენ ასე უფსოვდ, მერედა რომ უნდა იგრძნონ სინანული, როდესაც ეს მშვენიერება და სიცოცხლის ხალისი ერთბაშად ჩაიფერვლება, გაქრება, თვალს მოეფარება...

რალა რიმი და რალა მარიტა — იქ, ლიტერატურის თვალსაზრისით სივრცეებში უსათუოდ რომ მოუწევთ შეხვედრა.

და თავიკალ-ჰაქიმისათვის ხელმისაწვდომი რომ ყოფილიყო გიორგი ლეონიძის „ნატურის ხე“, „პროვინციული გამოძიებლის დღიურს“ ეპიგრაფად ნაუმძღვარებდა ქართული თანამოქალაქის ამ სიტყვებს, ამ შეხმიანების დამსრულებელ საუკეთესო აკორდადაც რომ გამოდგება:

— მართლაც, საიდან მოდის სილამაზე? ან სად მიდის? სად იკარგება, თუ დროებით მიეფარება? ვინ იცის?!

როზალი: დაბრუნებული სამოთხის ხატად ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო და რევოლუციის სული

დიდი გაბედულება გესაჭიროება მწერალს, ვიქტორ ჰიუგოს შემდგომ ვანდესა და იმ მღვდელვარე დროებაზე დაწერო და „ოთხმოცდაცამეტ წელს“ შენი რომანი ამოუყენო გვერდით.

ამოუდგება კი? ადვილი შესაძლებელია იქვე ჩაიფშვანს და ჩაიკარგოს შენი მცდელობა, უკეთეს შემთხვევაში კი — ჯუჯად გამოჩნდეს იმ მონუმენტური ეპიკური ქმნილების გვერდით, იმ რომანტიკული, ბუმბერაზი ხასიათების ფონზე.

ამიტომაც ყოველი ასეთი შებედა ლიტერატურულ ძალადობაში უფრო გადადის, რაც იმთავითვე განწირულია.

მაგრამ... თუ ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო ხარ?

მაგრამ... თუ შეგიძლია შექმნა დიდ თხზულებათა ბადალი რომანი „რევოლუციების“ სახით?

მაშინ „ოთხმოცდაცამეტ წელს“ თავისი ღირსეული თანამოძმე ამოუდგება გვერდით, გოვენს, სიმურდენსა და მარკიზ დე ლანტენაკს ჟან მორო გამოუჩნდებათ შესაფერის მემკვიდრედ, ოჯახური მემკვიდრეების უწყვეტობის წყალობით საფრანგეთის ორსაუკუნოვანი ისტორია ცოცხალ განცდაში რომ უნდა შემოინახოს; და იქით ვიქტორ ჰიუგოსთან რომ გაიდება ხიდი, აქეთ მომავლისკენაც გაჭრას გზაბილიკი.

ნობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმულ სიტყვაში ლე კლეზიო, როდესაც გაიხსენებდა, თუ როგორ გააცნობიერებდა ბავშვობისას იმ ჭეშმარიტებას, წიგნები ბევრად უფრო ღირებულ განძს რომ წარმოადგენდა, ვიდრე უძრავი ქონება ან საბანკო ანგარიშები, ჩამონათვალში დასახლებულ ვიქტორ ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტ წელს“, „ზღვის მამკრანსა“ და „კაცი, რომელიც იცინის“, რომელთაც დამატებით კიდევ მოიხსენიებდა დიდ და განსაცვიფრებელ რომანებად.

ეს გამოსვლა დაედებოდა საფუძვლად მის ესეის „პარადოქსების ტყეში“, სხვა უცნაურ მოვლენათა გვერდით რომ დაასახელებდა რევოლუციის პარადოქსსაც, რომელიც — მწუხარე სახის რაინდის მოგზაურობის ეპოპეისა არ იყოს — მწერლის ცნობიერებაში ხდებოდა. და თუ მის კალამს ერთი ღირსება მაინც უნდა ჰქონოდა, მას არასდროს უნდა ემსახურა ძლიერთა ამა ქვეყნისათა ხობტა-დიდებისათვის, თვით უმცირესი მამებლობაც კი არ ეპატიებოდა.

„ოთხმოცდაცამეტ წელს“ თავისი ღირსეული თანამოძმე ამოუდგება გვერდითო...

და ეს თვალსაჩინო ქმნილება დღევანდლობისა კიდევ უნდა გამხდარიყო ქართული მწერლობის კუთვნილებაც, ჩვენში უკვე გამინაურებელი ლე კლეზიოს მადლს ერთხელ კიდევ რომ ვეზიარებოდით, და ამჯერად დალი და მატრონა იაშვილების წყალობით, „ინტელექტი“ კი თავისი მოღვაწეობის 25-წლოვან იუბილეს ამ დიდებულ რომანის გამოცემითაც დაამშვენებდა.

ხილული თუ უხილავი რიტმებით დანაღმული რომანი, რეალისტური და რომანტიკული სურათების მონაცვლეობითა თუ ისტორიული პარალელის მარჯვე გამოყენებით დიდი სივრცეებში გაჭრილი, თავის მხრივაც ძალუმად, თვალნათლივ განგაცდევინებს, თუ რარიგ აუცილებელია რევოლუციებისაგან თავდაღწევა და დაუსრულებელ არეულობათაგან გამოტაცებული კეთილშობილური თვისებების ისე მოვლა-პატრონობა, ბოლოსდაბოლოს დადგეს ჟამი ამ თვისებათა შესაფერისი მომძღვარებისა და კაცობრიობის სვლისაც ამ და მხოლოდ ამ გეზით, ამ სწრაფვით, ამ რწმენით.

ანოტაცია გვამცნობს, მთავარი გმირის ალტერ ეგო თვითონ ნობელიანტი მწერალი რომ ყოფილა, ჟან მოროსავით — ერთდროულად ინგლისელიც და ფრანგიც; ბრეტონელ წინაპართა ჩამომავალიც; საფრანგეთის რევოლუციის შემდგომ ილ-დე-ფრანსზე რომ დასახლებდებოდნენ, მოგვიანებით მავრიკიად წოდებულზე; ბავშვობა მასაც ნიცაში უნდა გაეტარებინა, თავისუფლებას მიჩვეულს საკმაოდ რომ გაუჭირდებოდა სკოლის გარემოსთან შეგუება; ალჟირთან ომის დროს მასაც უნდა დაეღწინა თავი სამხედრო სამსახურისათვის და ინგლისს შეფარებოდა; ისიც მექსიკაში გა-

მგზავრებულიყო და ისიც კაბილიელზე დაქორწინებულიყო.

აშკარაა: რომანი ავტობიოგრაფიული ყაიდისაა.

თუმც მწერალს არამარტო გამანძილება დასჭირდებოდა თავის სიყმანვილესთან, არამედ სულიერი მომზადებაც და მზადყოფნაც, შეებედა ქრესტომათიული თემისათვის, და ეს მოხდებოდა ასერიგად წარმატებული მწერლური დებიუტიდან ოთხი ათეული წლის ჩავლის შემდგომ — შემოქმედებით ძალთა სრულქმნილების ჟამს.

ვიქტორ ჰიუგოს გავლენას თავს დააღწევდა სტენდალის ხედვის მოშველიებით, სტენდალის გავლენაშიც რომ არ მოექცეოდა და რევოლუციების ხანას წარმოსახავდა განსხვავებული რაკურსით, იმ ყმანვილური ჟინის შენარჩუნებით, პაპიდასთან ურთიერთობისას იმ უჩვეულო განცდით, იმ თავისებური მადლით რომ აღივსება, გარდასულ ხანას უკვე თავისადაც გრძნობს, და ასეცაა, რაკიდა თავისი სულის ქურაში უნდა გამოატაროს და სულაც შეერწყას ისე, რომ თავისი ქვეყნის ბიოგრაფია თანდათან თავის ბიოგრაფიადაც განიცადოს, თითქოსდა წინაპართა კანსა და სულში შეძვრეს და ისე იხილოს ის დაკარგული სამყარო, როზალად გასიმბოლოვებული, რომლის ყველაზე ძვირფას მარცვალთა გადაჩენაც თავის უშუალო მოვალეობად უნდა ჩაითქვას.

მისი პეპერა თავის თავზე რომ გამოცდიდა რევოლუციის საზარლობას, კიდევ გამოერკვეოდა იმ ბურანიდან, ჭაბუკური ალტკინებით მომხილავ ფერებში რომ ეხატებოდა და მოხალისედაც ამიტომ ჩაენერებოდა, რევოლუციის მონაპოვარი რომ დაეცვა.

და სიზმრად დედას რომ აცნობებდა ამ გადაწყვეტილებას, ჩართულიყო სამხედრო მოქმედებებში, იმას ასე უნდა დაერიგებინა:

— კარგია, მაგრამ ნუ დაივიწყებ შენი წინაპრების რჯულს.

და ტყეში რომ გამოეღვიძებოდა წვიმის ბრავაბრეგში, მიხვდებოდა, რისი თქმაც სურდა დედას.

რისი და: რომ არსებობდა სხვა მხარეც ერის წინაღობი;

და რომ ეს მხარე უნდა ეტარებინა გულით და არასოდეს ეთქვა მასზე უარი.

ეს შეგონება აღმოაჩენინებდა პერსონაჟს, რომ:

რევოლუცია, რომელიც თითქოსდა დედამინის ყველა ხალხის გასათავისუფლებლად იღწოდა, ახლა გააფთრებით ზღუდავდა ამ თავისუფლებას, თითოეულს ართმევდა უფლებას აღესრულებინა თავისი ადამიანი და რელიგიური მრწამსი.

ესეც რევოლუციის ნამდვილი ბუნება — მისი აბსტრაქტულობა, მოჩვენებითობა, ძალადობის გამამართლებელი დემაგოგიურობა, სიყალბე, ამოება — ოღონდ უამრავი უბედურების მომტანი.

ასე უნდა გაქარწყლებულიყო ალექსანდრე მინიურის სამოთხის დამკვიდრებისა, პერსონაჟი ამ აყირავებული რეალობიდან გაქცევით რომ უშველიდა თავს, პირველყოფილი გარემოსაკენ წაესწრაფებოდა, იმ სხვა სამყაროსაკენ, სადაც ყველაფერი ახალი იქნებოდა, სადაც თავის ნებისად იმუშავებდა და იპოვიდა იმ თავისუფლებას, მის დასასჯელად ხელი რომ არ მიუწვდებოდათ პოლიტიკურ მეტაფორებსა თუ ყალბ პატრიოტებს.

უნდა ეპოვა კიდევ იდილიური გარემო, ჟან-ჟაკ რუსოს რომ ეოცნებებოდა და ბერნარდენ დე სენ-პიერი მის კვალბაზე შექმნიდა მოთხრობაში „პოლი და ვირჟინი“ რალაც ღვთიურ ატმოსფეროს, პეიზაჟისა მომხიბვლელიობის მისეულ აღწერას სავსებით რომ დაეთანხმებოდა ლე კლეზიოც, მინიური სამოთხის გარემოდ რომ მიიჩნევდა იქაურობას, მაგრამ... ვერ გაიზიარებდა რუსოისტულ სულისკვეთებას, რაკიდა რეალობა გაცილებით მკაცრი აღმოჩნდებოდა, ვიდრე მიაპტიური წარმოდგენა მასზე; და კიდევ გააშთშვლებდა უწმულის პარადოქსულობას:

ბუნებას კი უხვად დაებერტყა კალთა, მაგრამ ადამიანები იქნებოდნენ ძუნუნები, უსამართლონი და მხოლოდ თავიანთ კეთილდღეობასა და სიამოვნებაზე მოფიქრანნი.

რაო, არ განსჯიან სიყვარულს პოლისა და ვირჟინის მხარეში? მაგრამ ცხოვრება არ არის რომანი, ბე-

დნიერებას კი ზღვის, ცისა და ბუნების მომხიბვლელიობა რომ ჰქმნის, რევოლუცია მხოლოდ მის გასანადგურებლადაა მოვლენილი. და ვეღარ იქნები იმ გუნებასა თუ იმ განწყობაზე, ზღვას ციციანთელების სუფრასავით აღიქვამდე, რადგან ზღვა უკვე შეიძლება გახდეს მამველი რგოლი, ნეტარების კუნძულიდან გამოქცევას რომ გიშველის, თუმც რევოლუციის ხანგრძლივმა პროცესმა შენს შთამომავლობასაც უნდა უნის და პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჭრას კბილი.

თხრობაში ეპიზოდურად უნდა გამოჩნდეს რამსიტატანი, ამბოხების მეთაური, ღირსეული რომ ილუპება და მთავარ გმირსაც და მკითხველსაც ამასსოვრდება გამომეტყველებით იმ კაცისა, რომელიც ყოველთვის თავისუფალი გახლდათ.

უნდა გამოჩნდეს შარლ დე გოლიც, რომლის გადადგომაც პრეზიდენტის პოსტიდან აარიდებდა სტუდენტური ამბოხით გათანგულ პარიზს სისხლისღვრას, მის განდგომას მწერალი სიამაყის შესტად რომ შეაფასებდა, სწორედ სიამაყისა, რომელიც პატივისცემას იმსახურებდა. და დათმობა ამ შემთხვევაში ყველაზე დიდი ვაჟკაცობა რომ აღმოჩნდებოდა.

მაგრამ ამის შეცნობა მისტირიულ ენაზე თუ შეგვეძლება, იმ ენაზე, რომლის სულითა და სუნთქვითაც განიმსჭვალებოდა ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიოს თხრობა, ქართული ორეული სწორედ ამ მისტირიულ ენას რომ გვაზიარებდა და ერთხელ კიდევ დაგვარწმუნებდა, რომ:

სულაც არ არის საჭირო გამოგონება ამბების საწერად, არამედ — ისტორიას უნდა ვკითხულობდეთ სწორად და ის გადმოგვქონდეს ფურცელზე, რადგანაც რაოდენ სავსეც უნდა იყოს ტყე საიდუმლოებებითა და ჯადოსნობით, ერთადერთი ნამდვილი ჯადოსნობა მხოლოდ ისტორიაა.

ესეც ნობელიანტი მწერლის იდეურ-ესთეტიკური მრწამსი.

და მისი მხატვრული რეალობა, რომანტიზმისა და რეალიზმის გადაკვეთაზე ამ ოზრდელი სამყარო, იმ სიჩუმეში უნდა განიბანოს, მწერალს ისტორიის მახსენლად რაც მიაჩნია.

„რევოლუციები“ თავისებური აპოლოგიაა სიჩუმისა, რომელიც ხან დამაყრებელია და ხან მუქარაინიც, მაგრამ მაინც ის რჩება ყველაზე საიმედო თავშესაფარად იმ ჯაჭვისა, რომელიც ერთ სულ და ერთ ხორც უნდა შეჭკრას საფრანგეთი და დაკარგული ქვეყანა როზილი — სამოთხის დასადარი კუნძული — და მიგაგნებინოს ის ჭეშმარიტება, საფრანგეთშიც რომ შეგიძლია ჰპოვო ის ნანატრი მხარე და გადაკარგვა არასად დაგჭირდეს; უფალმა გადაგისწას სულიერ-სიმბოლური ზღვა და გიჩვენოს დიდი მიწისაკენ მიმავალი გზა.

და ის, რაც ყოფილი რეალობა გახლდათ წინაპრისათვის, გასულიერდეს და გასიმბოლოვდეს შთამომავლისათვის, როგორც აღსრულებდა იმ ანდერძისა, სიზმრად მოვლენილ დედას რომ უნდა დაეტოვებინა გზის მაჩვენებლად იმ ქვეყნისაკენ, რომელსაც კარგავ ყოფით სინამდვილეში, მაგრამ ხელუხლებლად ინარჩუნებ სულში, თუკი ეზიარები ისტორიის ჯადოსნურ მადლსა და იმ მისტირიულ მეტყველებას, „რევოლუციების“ რანგის ქმნილებებს რომ მოაქვს შენამდეც და იდუმალი ჯაჭვის სრულუფლებიან მონანილდაც გაქცევენ...

→
ჟან-მარი გუსტავ ლე კლეზიო
რევოლუციები

გოლგოთააღალი გოლგოთა
სოკრატეს აპოლოგია
ბაჩანა ბრეგვაძის მეგზურობით

პრცეპტი მონაკვეთები ჩაერთობოდა პლატონის „სოკრატეს აპოლოგიიდან“ ოთარ ჩხეიძის რომანში „ნაკრძალი“, და ერთ-ერთი პერსონაჟი ალტაცებით ასე იტყვოდა დიდ ფილოსოფოსზე:

— ერთი იყო და მოკვდა, მორჩა, მოთავდა, აღარ განმეორებულა მაგისი დამნეერი...

ხოლო იმ მონაკვეთების ჩართვას სიუჟეტის განვითარება რომ დაისაჭიროებდა, მწერალი დაეყრდნობოდა პეტრე ქავთარაძის იუდეურ თარგმანს, თუმც ალაგ-ალაგ ჩაასუფთავებდა, შედარებისათვის ბერძნულ ორიგინალშიც რომ ჩაიხედავდა, ფინალურ სტრიქონებს კი მთლად პლატონისავე ენაზე გაამეორებინებდა პერსონაჟს. და ასე შეიძლება ითქვას „ნაკრძალის“ კომენტარებში გამოცემისას:

— ამონარიდებისათვის „სოკრატეს აპოლოგიიდან“ გამოყენებულია პეტრე ქავთარაძის თარგმანი, ოთარ ჩხეიძის რედაქციით.

მაშინ ჯერ არ ამეტყველებინა ეს ძეგლი ქართულად ბაჩანა ბრეგვაძეს, თორემ მწერალს ოდნავი ჩარევაც არ დასჭირდებოდა ტექსტში, პირდაპირ გადმოიტანდა, სიტყვა-სიტყვით, გახარებული, რომ ასეც მიაგებდა პატივს მისთვის უაღრესად პატივსაცემ მოღვაწეს, მის კოლოსალურ გარჯას თავგანწირვას რომ უტოლებდა.

ბოლოსდაბოლოს ეს ქართული ორეჟულიც უნდა შემატებოდა პლატონის თხზულებათა ბაჩანა ბრეგვაძის იუდეურ ვერსიას, თუმც ცალკე წიგნად გამოცემულს ახლავს ვიზილავდით „კარპე დიემის“ მეშვეობით, „კრიტიკონი“ რომ ამოუდგებოდა გვერდით და დამატებდა დაერთვოდა ოლიმპიოდორეს „პლატონის ცხოვრება“.

თქმაც აღარ უნდა, გამოცემა ბაჩანა ბრეგვაძის წინათქმებითა და კომენტარებით რომ განყოფილა.

„პლატონის ცხოვრება“ დაინერგებოდა ფილოსოფოსის გარდაცვალებიდან ცხრა საუკუნის შემდგომ, ამიტომაც მასში ხშირად იჩენდა თავს ცალკეული შეცდომები თუ უზუსტობანი. და ბაჩანა ბრეგვაძე კომენტარებში გაასწორებდა ამ ხარვეზებს, ზოგ შემთხვევაში კი პლუტარქეს, დიოგენე ლაერტილისა და სხვა ბერძენ მწერალთა შრომებზე დაყრდნობით განავრცობდა ოლიმპიოდორეს ტუნე ცნობებს, რათა მკითხველს უფრო სრული წარმოდგება შექმნილიყო ამ რჩეული მოაზროვნის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

ეს კომენტარები ანუ ხარვეზთა ეს გასწორებანი მოცულობით ლამის ოთხჯერ აღემატება ოლიმპიოდორეს ტექსტს და... ბაჩანა ბრეგვაძეს პოსტმოდერნისტული მეთოდისათვის რომ მიემართა, შეეძლო ბერძენი ბიოგრაფოსის ძეგლი შეეტანა თავისი შევსება-შენიშვნებით, უფრო ზუსტად — თავის ტექსტში ჩაერთო ოლიმპიოდორეს ნაწერი და ერთ მთლიანობად ექცია.

ნეტა რომელი პოსტმოდერნისტული თხზულება შეედრებოდა ამგვარად გარდასახულ „პლატონის ცხოვრებას“!..

სხვა კი არაფერი მოემოქმედა, მეთოდად ექცია ის ხერხი, რომელსაც მიმართავდა „სოკრატეს აპოლოგიისათვის“ ნამძღვრებულ ვრცელ წინათქმაში (გრიგოლ ნერეთლის ნათელ ხსოვნას რომ მიუძღვნიდა), რომლის პირველ აბზაცშიც ზაფხულის დილასა და ათენის სანახებს რომ აღწერდა, სიტყვა-სიტყვით გაიმეორებდა და გადააბამდა ერთმანეთს პლატონის დიალოგებიდან თუ ბერძენ ტრაგიკოსთა ქმნილებებიდან ამოკრებილ სტრიქონებს.

ეს ის დღეა, როდესაც სიერის მონყურებული ბრბო მიემართება არა დიონისეს „დიდი თეატრისაკენ“, ოცდაათი ათას მაყურებელს რომ იტყვის, არამედ აგორასაკენ, სადაც მდებარეობს სამსჯავრო და — ამ მოხდენილი განსაზღვრებისა არ იყოს — ქალაქმა უნდა გაასამართლოს ის, ვინც მანამდე თვითონ ასამართლებდა ქალაქს. რამი სდებენ ბრალს სოკრატეს და:



მკრეხელობაში, ვინაიდან არ აღიარებდა ქალაქის ღმერთებს, შემოჰყავდა ახალი ღვთაებანი და რყვნიდა ახალგაზრდობას.

სასჯელად სიკვდილი შეეფარდებინათ. და ეს ის კაცი, რომელსაც გარეგნულად ამსგავსებდნენ მოქანდაკეთა სახელოსნოებში გამოფენილ სილენებს, რომელთ-

როსტომ ჩხეიძე

ციკლიდან

„მთვარის ანარეკლი ტბაში“



აც დემიურგოსნი სირინგებს ან ფლეიტებს აჭერინებდნენ ხელთ, ხოლო პლატონის დახასიათებით:

საკმარისი იყო სულში ჩაგვხედათ ამ სილენისათვის, რომ ღვთაებათა ხატებას იხილავდით შიგნით.

კაცობრიობის ისტორიაში ამ მართლაც ერთ-ერთ ყველაზე უსამართლო მსჯავრს ბრალდებული ჩვეული სიმშვიდითა და აუმღვრეველობით შეხედებოდა, აპოლოდორე, მისი ერთი უერთგულესი მონაფე კი მწარედ ამოიგმენდა:

— ჩემთვის ყველაზე ძნელი ასატანი ისაა, რომ უსამართლოდ მოგისაჯეს სიკვდილი.

და გულიანად იცინებდა სოკრატე: — ნუთუ შენ გერჩია, ჩემო ძვირფასო აპოლოდორე, რომ სამართლიანად მოესაჯათ?

მის გამოსვლებს კი — საბრალდებო სიტყვების შემდგომს, დამნაშავედ ცნობისა თუ სასიკვდილო განაჩენის გამოტანისა — ღიმილი გაანათებდა, და ამიტომაც არ შეიპყრობდა აღშფოთება, როდესაც თანამოქალაქეთა საბედისწერო გადაწყვეტილებას მოისმენდა. ეს განაჩენი მოულოდნელი არ იქნებოდა მისთვის. გაცილებით უფრო გააკვირვებდა ურთიერთსაპირისპირო ხმების რაოდენობა, მათ შორის ესოდენ უმნიშვნელო განსხვავება რომ აღმოჩნდებოდა. თურმე კმაროდა ოცდაათი კენჭი აქეთ ჩაეგდოთ და არა იქით, რომ სამართლის სასწორი მისკენ გადმოხრილიყო და არა მის ავისმდომილებისაკენ.

ნურავის ეგონებოდა, თითქოს იმიტომ მიესჯებოდა სიკვდილი, რომ სიტყვები არ ჰყოფნოდეს თავდასაცავად.

და თუ არ ეყოფოდა რაიმე, არა სიტყვები, არამედ... თავხედობა, უტიფრობა და სურვილი იმის თქმისა, რაც ასე საამოდ მოელამუნებოდა თანაქალაქელთა სმენას. არ იკადრებდა ცრემლთა ფრქვევას, მღუღარებას, მოთქმა-გოდებას, ერთი სიტყვით ყოველივე იმას, რისთვისაც ასე შეეჩვიათ ათენელნი სხვა ბრალდებულთ.

არა და არა, ეს სოკრატეს არ შეშვენიოდა.

და მაშინაც, როცა საფრთხე ემუქრებოდა, უღირსად მიიჩნევდა მონურ ქცევას,



და არც ახლა ნანობდა, რომ ამნაირად იცავდა თავს; რადგანაც ერჩინა სწორედ ასე ემართლებინა თავი და მომკვდარიყო, ვიდრე ცრემლთა ფრქვევით გამოეძალა მოწყალეობა.

და ჩაგონებოდათ ათენელებს, რომ: არც ისე ძნელი გახლდათ სიკვდილისაგან თავდაღწევა.

გაცილებით უფრო ძნელი იყო: თავი დაგეღწია სულიერი სიკვდილისათვის.

სასტიკად ცდებოდნენ მისი თანაქალაქელნი, როდესაც ეგონათ, სიკვდილის შანთით ამონავადნენ და ამოძირკვავდნენ მათი უსამართლობისა და უკეთურობის მამხილებელთ. ცუდი ხერხი აერჩიათ თავდასაცავად, ცუდი და არასაიმედო, ხოლო თუკი ინებებდნენ, სოკრატე ასწავლიდათ ყველაზე სანდო და ყველაზე მარტივ ხერხს: სხვას ნუკი სწრიდნენ პირში ბურთს, ეცადათ თვითვე გამხდარიყვნენ უკეთესნი.

და ამ წინასწარმეტყველებით გამოემშვიდობებოდა თავის გამწირველთ, საშინელ უბედურებას რომ ვერ ასცდებოდნენ.

და უამრავი უპასუხო კითხვა რომ იტრიალებდა მთამომავლობის გონებაში, თურატომ არ აეცილებინა სოკრატეს სასიკვდილო განაჩენი, ბაჩანა ბრეგვაძე ამ კითხვების ორომტრიალიდან იმ ერთადერთი პასუხით გამოიყვანდა მკითხველს, თვითონ სოკრატეს როგორც აეხსნა თავისი გამომწვევი ქცევა სამსჯავროს წინაშე:

ასეთი და მხოლოდ ასეთი გახლდათ მისი დემონის ნება.

იმ პირთა შორის, რომელნიც მზად იყვნენ ფული გადაეხადათ მკრეხელობაში ბრალდებული სოკრატეს გამოსახსნელად, გახლდათ კრიტიკონიც, სოკრატეს თანამოასაკე და თანადემოსელი, რომელიც დაწერდა ჩვიდმეტ დილომს და ერთ წიგნად მოუყრიდა თავს, თუმც მათგან ერთიც ვერ მოაღწევდა ჩვენს დრომდე.

სამაგიეროდ მოაღწევდა პლატონის დიალოგი „კრიტიკონი“, გადმოცემი იმ ამბისა, კრიტიკონი დილასისხამზე რომ შეაღწევდა საპრობილემში და აუწყებდა ტუსაღს, რომ მისი სიცოცხლის ნუთები დათვლილი იყო.

და შესთავაზებდა გადარჩენას, რადგა-

ნაც სოკრატეს დაღუპვით მხოლოდ ერთი უბედურება კი არ დაატყდებოდა თავს, უძვირფასესი მეგობრის დაკარგვა რასაც ნიშნავდა, არამედ ყველა იფიქრებდა, რომ მას თავი არ შეენუხებინა მეგობრის დასახსნელად, რაც შეეძლებოდა, თუკი არ იძუნებდა და ფულს არ დაინანებდა; ხოლო ვისი სირცხვილი შეედრებოდა სირცხვილს იმ კაცისა, რომელზეც იფიქრებდნენ, ფული არჩია მეგობარს?!

მაგრამ შეურყეველია სოკრატეს გადამწყვეტილება, არაფრისდიდებით რომ არა თანხმდება საპრობილიდან გაქცევას, რადგანაც:

ამით უღალატებდა არამარტო თავის თავს, არამედ ნათესაებს, ახლობლებს, მეგობრებსა და მონაფეებსაც, რომელთაც ათენიდან განდევნა და ქონების ჩამორთმევა მოელოდათ. ან რაღა ფასი შეიძლებოდა ჰქონოდა სამშობლოდან გადახვენილი და ლუკმაპურისა და თავშესაფრის ძიებაში ქალაქიდან ქალაქში მოხეტიალე სოკრატეს სიცოცხლეს?

ღირსების, სიამაყის, პატიოსნების ნაცვლად — სირცხვილი, პირფერობა და ქვემეთრობა, რასაც განუმზადებდა მასაც პოლიტიკური ემიგრანტის უბადრუკი და უსიხარულო ხედვრი.

სოკრატე ასე ალაპარაკებდა კანონებს, და მერე უკვე ისეთი მონუსხული მოუსმენდა მათ მბრძანებლურ კარნახს, როგორც ალტკინებული კორიზანტი — საკრავთა ხმას, და მათი ექო ისე გუგუზუნებდა მის არსებაში, რომ სხვას ველარაფერს არჩევდა და აღარაფერი ესმოდა.

უსამართლოა ნაფიც მსაჯულთა გადამწყვეტილება?

სოკრატე თავის ზნეობრივ მოვალეობად მიიჩნევს:

ბოლომდე ათენის სახელმწიფოს კანონთა ერთგულ აღმასრულებლად დარჩენის, მათი მძლეთამძლე ნების მონა-მორჩილად.

და ბაჩანა ბრეგვაძე თავს როგორ შეიკავებდა დითირამბისაგან:

ეს ნებაყოფლობითი მორჩილება სოციალური წესრიგის უზენაესი გარანტის მიმართ, ეს უდრტივინველი ქედმოდრეკილობა კანონთა წინაშე მოქალაქეობრივი სიქველისა და ზნეობრივი სისპეტაკის უქრობი შარავანდედით მოსავს სოკრატეს ნათელ სახესო.

და კიდევ:

კანონიერებას საზოგადოების კოლექტიურ სინდისთან აიგივებს, ხოლო პიროვნული სინდისი და საზოგადოებრივი სინდისი მისთვის ერთი და იმავე ზნეობრივი სანყისის ორი სხვადასხვა გამოვლენაა. კანონიერება, სამართალი მისთვის უსულო და აბსტრაქტული ცნება კი არ არის, არამედ ცოცხალი, ხორცშესხმული, ქმედითი ძალა, სათაყვანებელი და საესავი კერპიო.

ალტკინებული კორიზანტივით უსმენდა სოკრატე იდუმალ საკრავთა ხმას.

მათი ექო უგუგუზუნებდა მთელს არსებაში, სხვა ყველაფრის ხილვისა თუ მოსმენის უნარს რომ უკარგავდა.

და ეს იმიტომ:

ზეცისა და მიწის ძახილს შერთვოდა, მათი ჰარმონიაში განზავებულიყო, მათი ფარული კავშირის მაღლითა და წყალობით იბადებოდა ხელმოკრედ მითოსური გამირივით, და სიკვდილის განაჩენი აბა რაღას შეაკრთობდა.

ბაჩანა ბრეგვაძეც თითქოს იმ იდუმალ საკრავთა ხმას მიყურადებია.

ან რაღა თითქოს — მიყურადებია და ეგაა, ალტკინებული კორიზანტისაგან რომ აღარც განირჩევა, პლატონის შემწეობით ნაფიც მსაჯულთა სამსჯავროზე მოხვედრილი თვალდათვალ რომ შეჰყურებს გოლგოთამდელ გოლგოთას და, იმ ექოთი ატანილი, სხვას ველარც ველარაფერს ხედავს და ველარც ველარაფერს უსმენს.

ეს ექო აღწევს ჩვენამდეც ქართული სიტყვით მაღლმოსილი, პირზე ღიმილმფენი სოკრატე ასე რომ გამოემშვიდობებოდა მის გამწირველთ:

— თუმცა უკვე დროა ნავიდეთ: მე — რათა მოგკვდე; თქვენ — რათა იცოცხოოთ. ხოლო ვისი ხვედრია უკეთესი, არავინ უწყის, გარდა უფლისა.

აღწევს იმ იდუმალ საკრავთა ხმებში გამოვლილი — შეუბლაღავი და წარუხოციელი!.. სოკრატეს შარავანდით გაბრწყინებული!..

ლევიან ხაინდრავას რომან „უამი მეექვსეს“ კითხვისას თან მდევდა ფიქრი ქართული წარმომავლობის, სისხლით და ხორციტ ქართველთა, მაგრამ რუსულენოვან მწერალთა ბედზე ჩვენს ქვეყანაში. არაქართულენოვან მწერლებად ისინი თავიანთი ბიოგრაფიამ, ცხოვრებამ ჩამოაყალიბა: ან უცხოეთში იშვებენ და გაიზარდნენ, ანაც საბჭოთა რესპუბლიკებში რუსული ენის პრივილეგიურობამ — იმან, რომ რუსულ ენაზე გამართულად წერა და მეტყველება ცხოვრების კარგად მოწყობის ერთ-ერთი გარანტიც გახლდათ (ქართველი მწერლები ხშირად კენწლადნენ საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთ მესვეურს, რომელსაც პიროვნებათა შეფასების ასეთი კრიტერიუმი ჰქონდა: „კარგი კაცია ეგ, ძალიან ნიჭიერი და განათლებული: ხომ ვხედავთ, როგორ იცის რუსული!“).

ლევან ხაინდრავა საქართველოდან შორს — ხარბინში — დაიბადა. იქვე — არაქართულ გარემოში — აღიზარდა. ძალიან ხატოვნად უთქვამს ტარიელ ჭანტუიას: „ლევან ხაინდრავამ სამშობლო მოიპოვა.“ დიახ, იგი ეძებდა სამშობლოსაკენ სავალ გზებს და იპოვა ის, რასაც დაეძებდა. ეს მიღწევა ციხედ და გადასახლებად დაუჯდა — იაპონიის ჯაშუშობა დასწამეს. კარგად მახსოვს ეს საამო სახილველი, ერთობ ინტელიგენტური იერსახის კაცი. უმეტესწილად კოსტიუმითა და ჰალსტუხით რომ გამოჩნდებოდა მწერალთა კავშირსა თუ საზოგადო საკრებულოებში. ამბობდნენ, დიდგვაროვანთა ჩამომავლობისა გახლავით. ამას მისი სიტყვა-პასუხი, მეტყველების კულტურა და ქცევებიც ადასტურებდა. უფროსი თაობის მწერლებთან — უმეტესწილად, კონსტანტინე გამსახურდიასთან ურთიერთობდა.

რუსულენოვანი ქართველი მწერლები ჩვენში ერთეულები თუ იყვნენ და ვერ გახდებოდნენ მკითხველთა დიდი ინტერესის საგანი. ალბათ, ასევე გახლდათ სხვა ეროვნულ რესპუბლიკებშიც. ეს სავსებით ბუნებრივად მიმართა — საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში ექცეოდა ის, რასაც ქართველი მწერლები მშობლიურ ენაზე ქმნიდნენ. ცხადია, ქართველი მკითხველი რუსულ მწერლობას, რუსულ ენაზე თარგმნილ უცხოელ მწერალთა შემოქმედებას კითხულობდა — დაინტერესებული გახლდათ, მაგრამ ყურადღების ცენტრში მაინც ის ნაწარმოებები, მწერლები ჰყავდა, რომლებიც მშობლიურ ენაზე ქმნიდნენ და ეროვნული კაზმულსიტყვაობის განვითარებას მსახურებდნენ. რესპუბლიკებში მოღვაწე რუსულენოვანი მწერლების მდგომარეობას ისიც ართულებდა, რომ მათ არც მეტროპოლისის მწერლობა მიაგებდა სათანადო პატივს. მოწყალე „ნაჩალნიკის“ თვალთა კი გადმოხედავდნენ, მაგრამ ლიტერატურული პროცესის სრულფასოვან ნაწილად არ მიიჩნევდნენ.

ქართულმა ლიტერატურულმა სამყარომ „ვერ შეამჩნია“ ან შეამჩნია და მაინც დუმლილით აუარა გვერდს ლევან ხაინდრავას რომანს „უამი მეექვსე“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული კაზმულსიტყვაობის წარმომადგენლები მას რუსულ ნაწარმოებად მიიჩნევდნენ. არადა, თავისი თემატიკით, იმ ყოფის ერთობ გააზრებული ანალიზით — საგულდაგულო და ავტორიტეტული განსჯით, რომლითაც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის საქართველო ცხოვრობდა, სტალინური — ამ ჩურჩულის ეპოქის — მხატვრულ მატთან და ქცევით, ლევან ხაინდრავას ეს ნაწარმოები, სერიოზული ყურადღების საგანი უნდა გამხდარიყო. „უამი მეექვსე“ უთუოდ იმსახურებს არა მხოლოდ ლიტერატურული კრიტიკის, არამედ ფართო მკითხველის ყურადღებას.

ეს რომანი ადრეულ წლებში იმ ენაზევე გამოუციათ, რომელზეც დაინერა — რუსულად. ამ ცოტა ხნის წინათ კი ქართულად ითარგმნა ელზა მეტრეველისა და ნინო ქუთათელაძის მიერ და „უნივერსალმა“ გამოსცა. რედაქტორი და ვრცელი წინასიტყვაობის ავტორი ამირან გომართელი გახლავით.

ჭეშმარიტების გვერდის ავლა იქნებოდა იმის თქმა, რომ სტალინური ეპოქის რეპრესიების თემა უცხოა ჩვენი პროზისათვის. არჩილ სულაკაურმა, ნოდარ დუმბაძემ, ლადო სულაბერიძემ, სხვა ქართველმა მწერლებმა, თავიანთ ნაწარმოებებში იმ ეპოქის დრამატიზმით აღვსილი ეპიზოდები შექმნეს — ჩინებულად დაგვანახეს ის

უკაცრესი, მწარე სუსხით გამორჩეული ეპოქა. ასე რომ, „უამი მეექვსეს“ პრობლემატიკა ქართული მწერლობისათვის მოულოდნელი არ გახლავით. თუმცა ხსენებულ ნაწარმოებებსა და „უამი მეექვსეს“ შორის არის პრინციპული სხვაობა: ზემოთ მოხსენიებული ქართველი მწერლებისათვის სტალინური ეპოქის სისასტიკეთა განსჯა მთავარი, ნამყვანი, თემა არ იყო: პერსონაჟებმა — ძირითადად მოზარდებმა — ეს ეპოქაც გაიარეს და სრულიად სხვადასხვა რაკურსით, სრულიად სხვადასხვა დოზით ნაწარმოებებშიც აისახა. მივიღეთ ერთობ დასამახსოვრებელი, ემოციური სურათები ეპოქისა. ლევან ხაინდრავასთვის კი სტალინური რეპრესიები გულს სამუდამოდ დაჩენილი თემა გახლდათ. თითქოს ქვეყნი-

გურამ ბათიაშვილი


სასტიკი ეპოქის მატიაწა

ერებას იმისთვის მოვევლინა, რომ შეექმნა და დაეტოვებინა ლიტერატურული დოკუმენტი, რომელიც, შესაძლოა, ეპოქის მხატვრულ განაჩენადაც კი იქნას მიჩნეული. დღეს ამ რომანის ქართულ ენაზე გამოჩენა მნიშვნელოვნად მიმართა და, აი, რატომ: ცხოვრების ასპარეზი დატოვეს, ან ამქვეყნიურ ყოფას თანდათან ეცლებიან იმ ეპოქის შვილები — რეპრესიათა მსხვერპლი, შემოქმედნი, მოწმენი — უმეტეს შემთხვევაში ერთ სასაფლაოზე (ვისაც ეს ეღირსა!) არიან ჯალათნიცა და რეპრესიების ეპოქას მსხვერპლად შეწირული ადამიანებიც. ყველა ამ საზოგადოებაში ტრიალებდა, ჩვენთვის ნაცნობ და საყვარელ ქუჩებში დადიოდნენ. დღევანდელი ქართველობისათვის ის ეპოქა შორეული წარსულია, შორეულია არა დროის საზომით, არამედ ცხოვრების წესითა და ნირით. დღევანდელი საქართველო სრულიად სხვა, თითქმის საპირისპირო ხასიათის ყოფას ეწევა და, უმეტეს შემთხვევაში, წარმოდგენაც კი არა აქვს იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდნენ მათი ბები-ბაბუები, ბიძები, თუ ბიძაშვილები. იქნებ, ეს კარგიც იყოს — საფიქრალ-საზრუნავი ჩვენი დროის ქართველობას ისედაც თავზე საყრელი აქვს. ლევან ხაინდრავას რომანი კი უქუნიანზე ანთებულ ყვირთელ ნათებას მაგონებს — არა მხოლოდ ესოდენ შორეულად ქცეულ ახლო წარსულზე გვესაუბრება, გვაფრთხილებს: ცხოვრების მდინარეებამ, შესაძლოა, გეზი იცვალოს — რეპრესიები სახეცვლილი მოგვიბრუნდეს.

ვაშინგტონში, დიდი საქალაქო ბიბლიოთეკის წინ, მოედანზე ამერიკის შეერთებულ შტატებში იმ მწერლების ვარსკვლავები ამოუკვეთავთ, რომლებიც ამერიკულ ლიტერატურაში დიდი კვალი გაავლეს. ამ ვარსკვლავთა იერ-სახე ასეთია: ვარსკვლავში ჩასმულია მწერლის ფოტო, სახელი გვარი, დაბადება-გარდაცვალების წლები და ერთი ფრაზა მისი ნაწარმოებებიდან — ფრაზა, რომელიც მნიშვნელოვნად მიაჩნიათ მემორიალის შემქმნელებს. ამ მოედანზე ბევრი თქვენთვის საყვარელი მწერლის გვარ-სახელი შემოგანათებთ. ერთი მწერლის ფრაზა განსაკუთრებით დამამახსოვ-

რდა. მინდა, შენდობა ვთხოვო იმ მწერალს, რომლის ფრაზა დამამახსოვრდა, გვარ-სახელი კი — არა. ფრაზა ერთობ უბრალოა და მრავლისმეტყველი: „პროზაში მთავარია ამბავი.“

ლევან ხაინდრავასთან ამბავი, როგორც ასეთი, მნიშვნელოვანია. ავტორი დინჯი, აუჩქარებელი მთხრობელია. შემთხვევითი არ გახლავით ის, რომ ნაწარმოები თერთმეტი წელიწადი (1958-69 წლებში) იწერებოდა. იგი ეპიკოსია — წერის, სიუჟეტის თხზვის, პერსონაჟთა ყოფის, ოცნებებისა თუ სოციალურ პოლიტიკური შეხედულებების გადმოცემის მისეული მანერა მე-19 საუკუნის მწერალთა სტილს მოგვაგონებს. „უამი მეექვსე“ არ დაწერილა იმათთვის, ნიგნებს აჭრიალებული ტრამვაის



ძელ-საკამზე ან მეტროს ვაგონების დაგადუგში რომ კითხულობენ. თანამედროვე ავტორი, მკითხველიც, რომანის ბევრ პასაჟზე იტყოდა უარს — ფანქრითა თუ კალმით გადასახვავდა, ნაწარმოებს შეკუმშავდა; ლევან ხაინდრავას კი მტკიცედ სწამს იმისა, რასაც და რაზეც წერს — ეპიკოსის ჯიუტი აუჩქარებლობით ძერწავს სათქმელს.

ამბავი? ამბავი მიმზიდველია: ცხოვრება, ოცნებები, შეცდომები წინა საუკუნის 40-50-იანი წლების თბილისელი მოზარდისა, მანამ, სანამ 1956 წლის 9 მარტის ტრაგიკული მოვლენებისას, როცა ქართველი საზოგადოებრიობა იმის ღირსებას იცავდა, ვინც ისეთი რეჟიმი შექმნა, ხალხის ღირსებას რომ არაფრად აგდებდა, ერთმა „სალაგა“ რუსმა ჯარისკაცმა სიცოცხლე არ მოუსწრაფა. დღეს ხშირად გვესმის, ვკითხულობთ: იმ დღეებში ქართველობა შელახული ეროვნული ღირსების დაცვის გამო დაისაჯაო. შესაძლოა, ეს გარემოებაც განაპირობებდა წინააღმდეგობის ჟინს,



ბრძოლას, მაგრამ 1956 წლის მარტის ტრაგედიის უწინარესი განმაპირობებელი ეროვნული სულის დაუმორჩილებლობა, თავსმოხვეულ რეჟიმთან ბრძოლის სულისკვეთება უნდა იყოს. თუმცა ამ ტრაგედიის სათავე ცოტა პარადოქსული ხასიათისაც გახლავით: სტალინის — მომწესხველი პიროვნების სიყვარული. ხალხმა ვერ შეძლო, სანაგვეში მოესროლა იმის ხსოვნა-სახელი, რომლის სიყვარულსაც აკენიდანვე ჩასძახოდნენ. ნოდარ ბრეგაძეს, მის წინათაობსაც სტალინის სიყვარულს ლამის იავნანად უმღერდნენ. აქ საინტერესოა მწერლის ერთი ხაზი: მთავარი პერსონაჟი — ნოდარ ბრეგაძე, იხილა, განიცადა რა, სტალინური რეპრესიების გავლენა პიროვნებათა ბედზე ერთობ კრიტიკულად გახლდათ განწყობილი ბელადისადმი. თანატოლებში ამ საკითხზე ხშირად კამათობდა და ცდილობდა თავისი თეზის დაცვას, მაგრამ სიცოცხლე მაინც მისი ღირსების დაცვას შესწირა — ისიც იმათ შორის იდგა, ვინც ბელადის ღირსების დასაცავად სტალინის ძეგლთან გამოსულიყო.

გამეორება მიწვევს: ნოდარ ბრეგაძის ასაკის მოზარდებზე ქართულ პროზაში არაერთი ჩინებულ ნაწარმოები შექმნილა. ნოდარ ბრეგაძე განსხვავებული ტიპია: რომანტიკოსი? ძნელია, დაბეჯითებით თქვა — ერთობ ყოფითი საკითხებისაკენ უჭირავს თვალი. ამათ შორისაა საჭოჭმა-ნო საქციელი, როცა ეს მოზარდი — ახლახან სკოლადაშთავრებული, უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებზე ჩააბარებს და ნაცვლად იმისა, რომ უნივერსიტეტში მერხს მიუჯდეს, შორეულ ყაზახეთს გაემგზავრება, რომ ძვირფას ადამიანს — ნანას — ჩააკითხოს და მასთან წლების განმავლობაში რჩება, რათა გადასახლებულმა ნანამ და იმსა დედამ — მარიაშა — უცხო გარემოში მიუსაფრობა არ იგრძნონ. ცხოვრობს გადასახლებამისჯილთა ცხოვრებით. შესაძლოა, მოზარდის ასეთი საქციელი საკამათო იყოს, დაისვას არატიპურობის საკითხიც, მაგრამ ლევან ხაინდრავა თავად ქმნის ტიპურობის საშუალებას, თავად ქმნის პერსონაჟს, რომელიც ხვალ, შესაძლოა, ბევრისთვის მისაბაძი ლიტერატურული პერსონაჟი გახდეს. ეს ხაზი კი მნიშვნელოვანია — ავტორი ყაზახეთის ტრამალებში გადასახლებულ ქართველთა და სხვა ერის შვილთა ყოფის აღწერით ხატავს სტალინისთვის არსს და ავლენს ამ ყოფის არა მხოლოდ კარგად ცოდნას, შემოქმედებით ოსტატობას. რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს, სკოლადაშთავრებული, უმაღლესში ჩარიცხული ჭაბუკის ასეთი გადაწყვეტილება, გადასახლებულთა ყოფა და, აქედან გამომდინარე, სტალინისთვის დისკოპია, საკმაო დამაჯერებლობითაა აღწერილი.

ნოდარი ხშირად ცდილობს, გაიცნობიეროს, გაანალიზოს ის, რაც მის ირგვლივ ხდება. ეძებს მის გამომწვევ მიზეზს. კი, სტალინის მიმართ საშინელია, არაადამიანური, მაგრამ მიზეზი? რა განაპირობებს ამას? ან რა გახლავით მიზეზი ასეთი ყოფისა? ამდენად, იგი ანალიტიკოსია. სწორედ აქ იღებს სათავეს მისი სურვილი, იყოს გაცნობიერებული, ყოველ წერილმანში ჩახედულიც კი. ქვეყანაში შიშის ატმოსფეროს და მკვიდრება? ალბათ. შიშდარეულთა მართვა უფრო იოლად მისაღწევია, ვიდრე თავისუფალი, ძლიერი საზოგადოებისა. ასეთია სახელმწიფოებრივი პოლიტიკა. მიზანიც მიღწეულია. გადასახლებულთა შორის კი არიან კონსტრუქციულად მოაზროვნე ადამიანები, რომლებიც მოვლენებს გონივრულად აფასებენ. ნოდარი და მისი თაობის ყმაწვილები ამათი პირმშონი არიან — მათგან იღებენ სულიერ საზრდოს და ეს მიმართა ავტორის სწორი ხედვის დასტურად.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: დღეს ჩვენ არცთუ იშვიათად ვეცნობით სტალინისა და მისი თანამედროვე მაღალმოხელეთა ქება-დიდებას. როგორც ჩანს, ამგვარ დეტალებზე ყურადღების გამახვილება მაინც რეპრესიებისაგან დისტანცირებულ ადამიანს ძალუძს, ლევან ხაინდრავას კი ასე აღქმის, მსგავსი ეპიზოდების წინააღმდეგობა მორალურ უფლებას განვიღივებთ არ მისცემდა. ეს იქნებოდა ცინიზმი ყაზახეთის ტრამალებში ძვლებჩაყრილი ადამიანების მიმართ.

ლევან ხაინდრავამ თავისი სინდისის ხმას მიუგდო ყური და შექმნა ლიტერატურული დოკუმენტი სტალინის ეპოქისა...

„რა დარჩენია აქ მოხუცებს“.
უილიამ ბატლერ იეიტსი

ინგლისელი იტყვიან, სპიკერიო, მე ჩვენებურს ვარჩევ, ამჯერად ლირიკულ გმირს ვიტყვი და ვიტყვი, რომ ლირიკული გმირი პოეტის ფალავანია და პოეტი ჯერაც წინასწარმეტყველია და მუზას ესაუბრება და ის კი, ირეალური და ირაციონალური, აფრთხილებს ლირიკულ გმირს, მოუწოდებს, ჩასჩინებს:

„გაიქეცი, გაიქეცი ბაბილონიდან!“
და მართლაც რა დარჩენია ლირიკულ გმირს ბაბილონში?

უილიამ ბატლერ იეიტსის ლირიკული გმირი, მოხუცი ხელოვანი, ბიზანტიისაკენ გაცურავს, რათა თავი დააღწიოს გამატირებელ, სულიერებისაგან დაცლილ ყოფას, წავიდეს იქ, სადაც ხელოვნება უფრო მეტია, ვიდრე ხორციელება, იქ, სადაც მხატვრული რეალობა უფრო მეტია, ვიდრე რეალურობა ამქვეყნიური.

ლირიკული გმირი ბაბილონიდან უნდა გაიქცეს, თავისი ბაბილონიდან; წინათ ერთი ბაბილონი იყო, ახლა მრავალია და ამას თავისი აქვს და აქედან უნდა გაიქცეს, რადგან აღარაფერი დარჩენია... ხმაურია, ყაყანია, რაღაც კრებაზეა, ყველა ერთად ლაპარაკობს, ინტერნეტიც ცუდად მუშაობს და უეცრად ჩაესმის ხმა:

„გაიქეცი, გაიქეცი ბაბილონიდან!“
თავისუფალი ლექსით იწყება, ოლონდრიტმენარჩუნებული, ხმადაუკარგავი, მკლერი სტრიქონით და პოსტკრიპტუმში ათმარცვლიანი შემოდის მისთვის ჩვეული ვარიაციითა და ანჟამბემანით; ამ ბოლო დროს თერთმეტმარცვლიანი შემოიტანა ახალი ინტონაციითა და ხმით, თუმცა კი სხვაში არ შეგეშლება, მაგრამ ეს მერე და, ახლა კი, ისმის მონოდება და ფიქრი უნდა გაკრთეს:

— რა დამრჩენია მე, პოეტის გმირს, ქალაქში, სადაც ადამიანობადაკარგულ „მოქალაქეებს“ ერთმანეთის არა ესმით რა და სადაც სიტყვა გაცვდა?!

„უნდა ითქვას, რომ ხატები იბადებიან პოეზიაში, გამოიყენებიან პროზაში და ბოლოს ხანგრძლივი, ნელი სიკვდილით კვდებიან ჟურნალისტურ ენაში“ — შოთაყვარელია ტომას ერნესტ ჰიუზის საუკუნის წინ და რომ სცოდნოდა, რა დაემართა სიტყვას/ხატს ასი წლის შემდეგ, აისხამდა პოეტის აბჯარს და მხარში ამოუდგებოდა ჩემს ფალავანს ამ ოპუსში, პოეტის ლირიკულ გმირს, რომელიც ამხელს პოლიტიკოსს, რომელიც სიტყვას „გასცვთს, როგორც ბორდელში მძაფრს / და მერე უკვე სუნთქვადაკარგულ / სიტყვათა ცხედრებს გაუნოდებს / პოლიტიკოსთა ახალ თაობას / მრავალჯერადი მოხმარებისთვის.“

„სუნთქვადაკარგულ სიტყვათა ცხედრები“ — შემზარავია!

ლირიკული გმირი დგას ქალაქში, როგორც მორგში და მის წინაშე ასვენია მირიადი მკვდარი სიტყვა; ეგებ უკმაყოფილოდაც გამოხედოს პოეტს, ეს რამ მოგაფიქრებინა, რას მერწოდო, რა სანახაობის მონაგამი გამხადე, რად შემაშფოთე ამ შენი ნეკროფილური წარმოსახვითო, მაგრამ პოეტის მისთვის არ სცალია — მან „პოლიტიკაში მოკლული სიტყვა“ უნდა გააცოცხლოს და სუნთქვა გააგრძელებინოს, რადგან იცის, რომ მოდის და დგება „პოსტ-ჰუმანიზმის“ ეპოქა, სადაც ეგებ ადამიანი აღარც სჭირდებოდეს და სიტყვა ხომ სრულიად უქმი გახდება.

ბაბილონში კი ქალაქის მერმა ბიუჯეტი გაიტაცა, „როგორც მიმინომ ხობობი“ და როგორ ამაყად დაიარება, როგორ გაჰკივის ისტერიულად, რადგან ისტორიული სიმბოლი ერგო, მიმინოსი და ხობობისა ანუ ქალაქის სიმბოლო არგუნა პოეტმა და ლირიკულ გმირს რაღა დარჩენია, უნდა გადასცეს, მაგრამ არა სურს, უარზეა და ეგებ მართლაც გაიქცეს.

აბა, რა ჰქნას ამ საბრალო ლირიკულმა გმირმა? საკუთარი თვალთ ხედავს, თუ როგორ სთხოვენ პოეტს CV-ს და პოეტი გაკვირებული პასუხობს:

— მე პოეტი ვარ!



პაატა ჩხეიძე

რა დარჩენია ბაბილონში?

— მერე რა მოხდა, CV ხომ ყველას უნდა ჰქონდეს, მერე რა, თუ პატივცემულ მოქალაქეებს არ გააჩნიათ „ბიოგრაფიის ერთი, თუნდაც კოჭლი სტრიქონი“, აქეთ მოზრძანდით და დაიკავეთ რიგი CV-ისა, თორემ დაგინუნებთ და მერე ნულარ დაგვემდურებთ, ისედაც დიდად არ მოგვინხართ, რა არის, აბა, „სამშობლოს სიყვარული / განწირულია ცალმხრივობისთვის“ — ეს რა ფრაზაა? სრულიად არაინკლუზიური და თანაც არასექსუალური! და „მსხვერპლად შეწირვა“ რაღა არის? უფლებებს გვირღვევთ! ან ის რა იყო, „უპისტოლეში“ — „უპატ-ცემობას თქვენდამი ჩვენსას / ვალდებული ხართ, რომ სცეთ პატივი“? აქაც რომ გადმოგიტანიათ, იქ არ კმაროდა? და რატომ გადმოგაქვთ სხვა ლექსებიდან სტრიქონები ახალ ლექსებში, იმ ძველის უფლებას ხომ არ არღვევთ, როგორც იმ ტალღის უფლება დაარღვიეთ, ბავშვი რომ მიჰქონდა?

და, აქ კი მე, ოპუსის ავტორი, ჩავერევი: როცა პოეტი თავის პოეტურ პასაჟებს სხვადასხვა ლექსში იმეორებს, იმიტომ კი არ იქცევა ასე, რომ ილბიანი და ეფექტური მიგნებებით სურს თავმოწონება, არამედ იმ აუცილებელი ნიშანსვეტებს (signposts) ალაგებს, რომლებიც მას, როგორც საზოგადოების ნევრსა და მის მოყურადეს, მსმენელებისათვის აუცილებლად გასამეორებელ საჭიროებად მიაჩნია, ჩასაგონებლად და სამახსოვროდ, რომ ყველაფერი არ დაკარგულა.

და, როგორც ვერჯილ ნემოიანუ იტყვის, ლიტერატურა დროის კომპანის იმიტომ მისდევს, რომ ერთი თავთავი მანაც გადაარჩინოს, გამოსტაცოს პოსტ-ჰუმანიზმს, სადაც არ ვიცით, ადამიანის ადგილი თუ დარჩება სადმე.

და მერე ისევ ისინი ესხმიან თავს საბრალო ლირიკულ გმირს:

და იმდენი ალუზია რაღას ნიშნავს „ექსპედიციასა“ თუ „უპისტოლეში“? გნებავთ, დემოსმა ვერ გაიგოს თქვენი ლექსები? რატომ ართულებთ? ხომ შეგიძლიათ, უბრალოდ თქვენი ფსიქიკური აშლილობის ამბავი, ანდა სქესობრივი გასაჭირი ამცნოთ მკითხველს, ან თუნდაც ქართული ბუნებითა და ნანგრევებით, იმით, თუ როგორ გვიყვარს საქართველო და როგორ ვაშენებთ დემოკრატიას, დაინტერესოთ ტურისტე-

ბი? თქვენ მტერი ხართ დემოკრატიის? „მძინვარებს ნჯეო-ს ხალხი, ბეიჯზე LIBERTY-ს საშვით...“

„გაიქეცი, გაიქეცი ბაბილონიდან!“
არადა, რატომ უნდა გაიქცეს ლირიკული გმირი?! განა ისეთს რას ითხოვს? თავისუფლება უნდა, თავის სჯულში ცხოვრება, ლექსებში სირთულე სურს, როგორც ჯეფრი ჰილს სურდა. აი, თუნდაც, დათო ნერედიანის ნიგნი შეგვახსენებს გოეთეს სიტყვებს, „მხოლოდ კანონი მანიჭებს თავისუფლებას“ და ლირიკულ გმირს ასხენდება პოეტის სიტყვები — „თუ ყველაფერი დაშვებულია, — აკრძალულია თავისუფლება“ და იტყვის, „შემინდოს დიადმა კლასიკამ!..“

ლირიკულ გმირს სურს, იშვას მისი ოცნება ისე, როგორც ამერიკული ოცნება იშვა, კანონის მცველით „ორფრთიან კართან“ და ამ ყველაფერს, თავის საკუთარ თავისუფლებას, სხვაგვარად, არაენჯიოურად, ამქალაქურად გაიზრებს.

ლირიკულ გმირს ახსოვს, რომ ნიცშეს ეგონა, ღმერთი მოკვდა, ადამიანში მოკვდა ღმერთი და სხვა კაცი-ზეკაცი უნდა მოედეს; ისიც ახსოვს, რომ ადამიანის მტრებს მეტი არა უნდოდათ რა, შესძახეს, ჩვენ ვართ ზეკაციო და დადგა სისხლის ნიაღვრები, მაგრამ, აი, აღმოჩნდა, რომ ნიცშე მოუკვდა ღმერთს, დადგა ახალი ეპოქა, ეპოქა თანასწორობისა, დაბალ-მალის, ნიჭიერუნჩქოს გათანასწოებისა, „სალიერი მიესალმა მაესტროს სიკვდილს“, გაქრა society, რომელიც განსაცდელისას ღირსებას ინარჩუნებს და საპროტესტოდ აგზნებულმა მასებმა გმირების პორტრეტები მოიმარჯვეს „როგორც ძახილი... როგორც სამხილი... როგორც მახვილი“ და მიზნად დაუსახავთ, გაცეითონ სიტყვა „ღირსება“ და მოსპონ society. ყველაფერს იზამენ ამისათვის...

ამ დროს კი:
„...უკრაინა ცეცხლის ალშია და რუსეთი დასავლეთს უტევს... და ვიდრე
ევროსაჯარისო ფორმირებაში
საკუთარ სქესში გაერკვევიან,
ორთავიანი არნივის მზერა
ვაითუ მისწვდეს
დასავლეთსაც,
აღმოსავლეთსაც.“

ამიტომ: „გაიქეცი, გაიქეცი ბაბილონიდან!“

ლირიკულმა გმირმა იცის, რომ დრო არ გადის, დრო არ იცვლება; მაჯის საათის ხელიდან მოხსნა და გადაგდება ვერ გიშველის; არც წარსულია და არც მომავალი; ისეა, როგორც მის წინაპარ ლირიკულ გმირებთან, რომლებიც არსად წასულან, გარს ერტყმიან და აჩერებენ და ეუბნებიან, რომ გაქცევა არ ღირს, რომ მარადიულ ან-მყოფი ვართ და „არარატის პორტს“ რომ მიადგები და „ნოეს კანოეს“ ბილეთს აიღებ, მიხვდები, ვერსაით გაიქეცი — ირგვლივ ყველგან ბაბილონია; ამიტომ უნდა დარჩე ქალაქში „როგორც მეხანძრე“ და შორეული სალაში გაუგზავნო ოკეანის გაღმელ სულიერ ძმას და „ერთი ბავშვი მანაც გაარიდო“:

„ულმერთობის ელვარე ხანძარს,
რომ მერე იქნებ,
ბაბილონის მოქალაქენი
დავესიზმროთ კეთილ სიზმარში.“

და, მანაც, როგორ უნდა მოიქცეს ლირიკული გმირი, რომელმაც გადაწყვიტა, რომ არ გაიქცეს და დარჩეს ბაბილონში? თავისი საქმე უნდა აკეთოს, გარდა მეხანძრეობისა, უნდა დანეროს თემა „გადარჩენისთვის...“ და გაუგზავნოს კომპოზიტორს და გაეშუროს მისკენ, როგორც მხსნელისკენ, რადგან, აქ, აბა, რა დარჩენია, იეიტსისა არ იყოს, ამ სულიერებისაგან დაცლილ, გამატირებულ ყოფნაში?!

P.S. ვერ გაიგეთ ხომ ვერაფერი ამ ბუნდოვანი ნაწერიდან? არც ხოტბა წერია და არც ძაგება — ლექსს ვკითხულობ და მოგინდებთ, თქვენც წაიკითხოთ; სამი პერსონაჟი გამოვარჩიე ლექსში, თუმცა მეტიც შეიძლებოდა და მეოთხედ მე დავემატე, ოპუსის ავტორი; ეგებ მკითხველი განვარისხო და ავტორი გავანაწყენო, მაგრამ თვითონ ლექსმა მიბიძგა, რადგან ის მონოდება:

„გაიქეცი, გაიქეცი ბაბილონიდან!“
ყველას გვეხება!
ხოლო რაც შეეხება ლექსს:
იხილეთ „ლიტერატურული გაზეთი“,
15-28 აპრილი, 2022, დათო მალრადე, „გაიქეცი ბაბილონიდან!“ და აგრეთვე, იმავე პოეტის, „მეტაფიორა“, „პოეტის საშობაო ეპისტოლე“, „ექსპედიცია“ და სხვა...

ლიტერატურული გაზეთი
საქართველოს კულტურის, საორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
საქართველოს მხარეთმცოდნეობის სახელი
რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ჟურული
მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com
ISSN 2346-7940
9 1 7 7 2 3 4 6 1 7 9 4 0 0 4